

178

1969/2.



# სახვრთთა სამკრთაღი

საქკრთვრლს კკ სწწკრღღკი კრმღვღვის ზკრმსწკრღღ

1969

2





# საბჭოთა სამართალი

## № 2

მარტი—აპრილი

1969 წელი

გამოცემის XVI წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საკონსტანტო საკავშირეო იურიდიული კომისიის ორგანო  
**ო რ თ ე უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი**

### ზ ი ნ ა ა რ ს ი

მ. ლომიძე — საქართველოს სსრ საჭრწინო და საოჯახო კოდექსის პროექტის ზოგიერთი სიახლე და თავისებურება	3
ო. გამყრელიძე — ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება და დანაშაულის სუბიექტი	10
ს. ქაჯაია, გ. მოსესიანი — გავაძლიოთ ბრძოლა წვრილმან ხულიგნობასთან	22
ა. პაიჭაძე — განუხრელად დავიცოთ საბჭოთა კანონის მოთხოვნები	29
ა. ხაჩიძე — საქართველოს სსრ მოხლეობის კვლავწარმოების საკითხისათვის	38
ნ. ქახრაკია — მეტი ყურადღება საერთოებრივი ცოდნის პროპაგანდას	48
დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ	56

11.09.93

### შ ა რ თ უ ლ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ს ი ს ო რ ი ა

ზ. რატიანი — ბექა-აღბულას სამართლის წიგნისა და მისი დანართი მუხლების საკითხისათვის	65
ე. იოფურია — გლეხთა საკითხიართულ საკანონმდებლო ძეგლებსა და სამეფო სიველგუჯრებში XVIII ს. საქართველოში	75
ოფიციალური მასალა	81

### რ ო მ ა ნ ო

გ. ჩიოჯი — მოწმენი არ იქნებიან	92
--------------------------------	----





## СОДЕРЖАНИЕ

М. Ломидзе — О новых нормах и особенностях пункта кодекса о браке и семье Грузинской ССР	3
О. ГамкRELИДзе — Общественная опасность деяния субъект преступления	10
С. Каджаиа, Г. Мосесян — Усилить борьбу с мелким улитанством	22
Ак. Пайчадзе — Неуклонно соблюдать требования детского закона	29
А. Хачидзе — К вопросу воспроизводства населения грузинской ССР	38
Н. Чахракиа — Больше внимания пропаганде правых знаний	48
Положение о постоянных комиссиях Верховного Совета Грузинской ССР	56

## ИСТОРИЯ ГРУЗИНСКОГО ПРАВА

З. Ратиани — К вопросу о судебнике Бека и Агбуга добавочных его статьях	65
Е. Топуриа — Крестьянский вопрос в законодательных памятниках и царских грамотах в Грузии XVIII века	75
Официальные материалы	81

## РОМАН

Д. Чейз — Свидетелей не будет	92
-------------------------------	----

### სარედაქციო კომისია

შეგ. № 597  
ტირაჟი 16.000  
შე 06102

თ. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), გ. აბაშმაძე,  
თ. ბაკურაძე, ბ. ბარათაშვიდი, პ. ბერძენიშვილი,  
თ. დადიანი, გ. ინწკირვილი, მ. ლომიძე,  
ვ. მაისურაძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09-62

გადაეცა წარმოებას 19/II-69 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/VI-69 წ., ქალაქის  
ზომა 70X108 1/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4.

საქ. კვ ტყ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

# საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის პროექტის ზოგიერთი სიახლე და თავისებულება

მ. ლომიძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული  
იურიდიული კომისიის თავმჯდომარე

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1968 წლის 27 ივნისს დაამტკიცა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები. მის მიღებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქორწინო და საოჯახო ურთიერთობის კიდევ უფრო უკეთესად მოწესრიგებისათვის.

სკკპ ახალ პროგრამაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას, სამართლებრივი ნორმების სრულყოფას, რომლებიც აწესრიგებენ სამეურნეო-ორგანიზატორულ და კულტურულ-აღმზრდელით მუშაობას, ხელს უწყობენ კომუნისტური ამოცანების გადაჭრას და პიროვნების ყოველმხრივ გაფურჩქინებას“.

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლები მთელ რიგ საკითხებს ოჯახისა და ქორწინების შესახებ წყვეტენ ახლებურად, ისე, როგორც ამას მოითხოვს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ინტერესები. მასში გათვალისწინებულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საბჭოთა პრესის და ცალკეულ მოქალაქეთა შენიშვნები და წინადადებანი საოჯახო კანონმდებლობის მოწესრიგებისა და დღევანდელ პირობებთან მისი შეფარდების შესახებ. საფუძვლები კანონმდებლობის ამ სფეროდან მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტას ანდობენ მოკავშირე რესპუბლიკებს.

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლებთან სრული შესაბამისობით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ მოამზადა საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის პროექტი. მის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მეცნიერი იურისტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტიდან, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს, საქართველოს პროფსაბჭოს, ადვოკატურის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. კოდექსის პროექტი მომზადდა ქართულ და რუსულ ენებზე, დაიბეჭდა სტამბური წესით და დაეგზავნა რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს, სამინისტროებს და სხვა ცენტრალურ დაწესებულებებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს, სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებს, ადვოკატურას, შემოქმედებით კავშირებს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთაც ეთხოვათ აცნობონ იურიდიულ კომისიას თავიანთი შენიშვნები და წინადადებანი.

საქორწინო და საოჯახო კოდექსის პროექტის პირველ მუხლში ჩამოყალიბებულია კოდექსის ამოცანები. ეს ამოცანებია: შემდგომი განმტკიცება საბჭოთა ოჯახისა, რომელიც ემყარება კომუნისტური მორალის პრინციპებს, საოჯახო ურთიერთობის დამყარება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით საქორწინო კავშირზე, ოჯახის ყველა წევრის მატერიალური ანგარიშისაგან თავისუფალი ურთიერთობა, დაფუძნებული სიყვარულის, მეგობრობისა და პატივისცემის გრძნობებზე, საზოგადოებრივ აღზრდასთან ორგანული შეხამებით ოჯახის მიერ ბავშვების აღზრდა სამშობლოსადმი ერთგულების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით და ბავშვების მომზადება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის, დედისა და ბავშვის ინტერესების ყოველმხრივი დაცვა და თვითეული ბავშვისათვის ბედნიერი ბავშვობის უზრუნველყოფა, საოჯახო ურთიერთობაში წარსულის მკვნივადმონაშთებისა და ჩვეულებების საბოლოოდ აღმოფხვრა, ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის დანერგვა.

კოდექსის პროექტის მე-2 მუხლში განსაზღვრულია ის ურთიერთობანი, რომლებსაც აწესრიგებს საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი. მასში ნათქვამია, რომ საქორწინო და საოჯახო კოდექსი ადგენს საქორწინების წესსა და პირობებს, აწესრიგებს პირად და ქონებრივ ურთიერთობას, რომელიც ოჯახში წარმოიშობა მეუღლეთა შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, ურთიერთობას, რომელიც წარმოიშობა შვილად აყვანასთან, მეურვეობასა და მზრუნველობასთან, ბავშვების აღსაზრდელად აყვანასთან დაკავშირებით, განქორწინების წესსა და პირობებს, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესს.

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი, რომელიც 201 მუხლისაგან შედგება, თავისი შინაარსითა და მიზანდასახულობით მთლიანად და საესებით გამომდინარეობს მის წინაშე მდგომი ამოცანებიდან. მთელი რივი საკითხი ახლებურად არის გადაწყვეტილი.

1944 წლის 8 ივლისის კანონით ბავშვის მამობის დადგენა ისეთ შემთხვევაში, როდესაც მშობლები რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდნენ, შეუძლებელი იყო და სააქტო ჩანაწერების წიგნებში მამის შესახებ ცნობების გრაფა ცარიელი რჩებოდა. ბავშვი რეგისტრაციაში ტარდებოდა დედის გვარით, ხოლო მამის სახელი ეძლეოდა დედის მითითებით. ეს გარემოება, ერთი მხრივ, ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვან ტრავმას აყენებდა ბავშვებს, ხოლო, მეორე მხრივ, მათ უფლება არა ჰქონდათ მოეთხოვათ მამისაგან სარჩო და მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ უფლებებს მამების მიმართ.

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის პროექტის 47-ე მუხლის შესაბამისად ბავშვის წარმოშობა იმ მშობლებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ქორწინებაში არ არიან, დადგინდება მშობლების ერთობლივი განცხადების შეტანით მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში. თუ მშობელთა ერთობლივი განცხადება არ არის, მამობა შეიძლება დადგენილ იქნას სასამართლოს მიერ ერთ-ერთი მეუღლის ან ბავშვის მეურვის (მზრუნველის), აგრეთვე სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ თვით შვილის სარჩელით.

მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იდებს ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ფაქტიურ ცხოვრებას და ბავშვის დაბადებამდე საერთო

მეოჯახეობას, ბავშვის ერთად აღზრდასა და რჩენას ან დამამტკიცებელ საბუთებს, რომლებიც სავსებით ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ მოპასუხე ამ ბავშვის მამაა.

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ ადრე მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებით ახალი კანონმდებლობით ცოლის ორსულობის დროს ან ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის შიულებლად აღძრას საქმე განქორწინების შესახებ.

სასამართლოს წესით განქორწინებასთან ერთად ახალი კანონით დაშვებულია განქორწინება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილების (ბიუროს) მიერ.


კოდექსის პროექტის 35-ე მუხლის თანახმად მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილების მიერ ხდება იმ მეუღლეთა განქორწინება, რომელთაც არა ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და თანაც ორივე მეუღლე თანახმაა განქორწინდნენ. ასეთ შემთხვევაში განქორწინება გაფორმდება და განქორწინების შესახებ მოწმობა გაიცემა სამი თვის გასვლის შემდეგ განცხადების შეტანის დღიდან. ეს ვადა სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საფუძვლებით არის დადგენილი და მიზნათ იმას ისახავს, რომ ამ ხნის განმავლობაში მეუღლეებმა კარგად მოიფიქრონ და ყოველმხრივ აწონ-დაწონონ განქორწინების საკითხი.

განქორწინება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილებაში (ბიუროში) ხდება აგრეთვე: ა) თუ ერთ-ერთი მეუღლე კანონით დადგენილი წესით აღიარებულია უკვალოდ დაკარგულად; ბ) თუ ერთ-ერთი მეუღლე სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილია არაქმედუნარიანად; ვ) თუ ერთ-ერთ მეუღლეს სასამართლოს მიერ მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ სამი წლის ვადით. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ თუ ასეთ შემთხვევებში დავა წარმოიშვა, განქორწინება ხდება სასამართლოს მიერ.

საბჭოთა კანონმდებლობაში პირველად არის გათვალისწინებული ქორწინების ვაბათილება, როცა იგი ოჯახის შექმნის მიზანს არ ისახავს ან როდესაც ქორწინება მომხდარია კანონის საწინააღმდეგოდ (კოდექსის პროექტის 38-43 მუხლები). ამასთან საჭიროა აღინიშნოს, რომ ქორწინების ბათილად ცნობა გავლენას არ ახდენს ასეთი ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვთა უფლებებზე.

მნიშვნელოვანი სიახლენია კოდექსის პროექტის იმ ნორმებში, რომლებიც შეეხება საალიმენტო მოვალებებს.

ქორწინებისა და ოჯახის შესახებ საფუძვლების შესაბამისად საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 71-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ არასრულწლოვანი შვილის სარჩენი ალიმენტის ოდენობა სასამართლომ შეიძლება შეამციროს, თუ მშობელს, რომელიც მოვალეა იხადოს ალიმენტი, ჰყავს სხვა არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც მათი მშობლების მიერ ალიმენტის გადახდის შემთხვევაში შეიძლება მატერიალურად უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილნი აღმოჩნდნენ, ვიდრე ის შვილები, რომლებიც ალიმენტს იღებენ. ალიმენტის წილის შემცირება დასაშვებია აგრეთვე იმ შემთხვევებში, თუ მშობელი,



რომელსაც ალიმენტს ახდენენ, პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდებს თუ შვილები მუშაობენ და საკმარისი შემოსავალი აქვთ.

ახლებურად გადაწყვეტილია აგრეთვე მთელი რიგი საკითხები, რომლებიც შეეხება ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალებებს (პროექტის 85-92 მუხლები).

კოდექსის პროექტის 100-ე მუხლის თანახმად იმ ბავშვის შვილად აყვანა, რომელსაც ათი წელი შეუსრულდა, დაუშვებელია ბავშვის თანხმობის მიუღებლად. ბავშვის თანხმობის გამოვლინების წესს დაადგენს დებულება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების შესახებ.

მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ კოდექსის პროექტის 110-ე მუხლი ითვალისწინებს შვილად აყვანის საიდუმლოების კანონით დაცვას.

შვილად ამყვანის თანხმობა თუ არ იქნა, მისი გარდაცვალების შემთხვევაში კი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობა თუ არ არის, აკრძალულია მოქალაქეობრივი აქტების წიგნებიდან ისეთი ამონაწერების გაცემა, საიდანაც გაირკვევა, რომ შვილად ამყვანი შვილად აყვანილის ღვიძლი მშობელი არ არის.

ის პირი, რომელიც გაამყვანებს შვილად აყვანის საიდუმლოებას შვილად ამყვანის ნება-სურვილის წინააღმდეგ, პასუხს აგებს კანონით დადგენილი წესით.

პროექტის ეს ნორმა მთლიანად და სავსებით შეესაბამება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების სათანადო ნორმას. გამოაცხადა რა შვილად აყვანის საიდუმლოება კანონით დაცულად, კანონმდებელს მხედველობაში აქვს ის დიდი საზოგადოებრივი საშიშროება, რაც შესაძლოა შედეგად მოჰყვეს ასეთი საიდუმლოების გაამყვანებას.

აღრე მოქმედი კანონით დაშვებული იყო მხოლოდ გვარისა და სახელის გამოცვლა. ახალი კოდექსის პროექტის 190-ე მუხლი ითვალისწინებს აგრეთვე მამის სახელის გამოცვლის შესაძლებლობას.

გაფართოებულია იმ პირთა წრე, რომლებსაც არა აქვთ შვილად აყვანის უფლება, აგრეთვე რომლებიც არ შეიძლება დაინიშნონ მეურვეებად და მზრუნველებად (მუხლები 96 და 134). ამ წრეში შედიან ალკოჰოლიკები, ნარკომანები და ის პირები, რომლებსაც ავადმყოფობის ან სხვა პათივსადები მიზეზების გამო არ შეუძლიათ შეასრულონ მეურვის ან შვილად ამყვანის მოვალეობა.

ახლებურად არის მოწესრიგებული წილის განსაზღვრა მეუღლეთა საერთო საზიარო ქონების გაყოფის შემთხვევაში. კოდექსის პროექტის მე-18 მუხლის თანახმად საერთო საზიარო ქონების გაყოფის შემთხვევაში მეუღლეთა წილი თანაბარია, მაგრამ ცალკეულ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვანი შვილებისა ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს.

თუ აღრინდელი კანონით განქორწინებული, შრომისუუნარო მეუღლის სარჩენი ალიმენტის გადახდის ვალდებულება სამი წლის ვადით იყო განსაზღვრული, საფუძვლებით და მათ შესაბამისად საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის პროექტით შრომისუუნარო მეუღლეს, რომელსაც დახმარება სჭირდება, მეორე მეუღლისაგან სარჩოს მიღების უფლება აქვს განქორწინების შემდეგაც, თუ იგი შრომისუუნარო ვახდა განქორწინებამდე ან არაუგვიანეს ერთი წლისა განქორწინების დღიდან. ეს მოვალეობა ვადით შეზღუ-



დული არ არის. ამასთან თუ მეუღლენი ხანგრძლივად იმყოფებოდნენ ქორწინებაში, სასამართლოს შეუძლია ალიმენტი გადაახდევინოს იმ შემთხვევაშიც, როცა მეუღლეს საპენსიო ასაკი შეუსრულდა ერთი წლის გასვლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ხუთი წლისა განქორწინების დღიდან (მუხლი 24).

მთლიანად ახალია კოდექსის პროექტის მეხუთე კარი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ ქორწინებასა და ოჯახზე საბჭოთა კანონმდებლობის გამოყენების შესახებ.

პროექტში შენარჩუნებულია ადრე მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები იმის შესახებ, რომ მეუღლეთა უფლება-მოვალეობას წარმოშობს მხოლოდ დაქორწინება, რომელიც მოხდა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ სახელმწიფო ორგანოში. ქორწინების რეგისტრაცია წესდება როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, ისე მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით (მუხლი 9).

დაქორწინებისათვის აუცილებელია დასაქორწინებელ პირთა თანხმობა და მათ მიერ საქორწინო ასაკის მიღწევა. პროექტის მე-18 მუხლის თანახმად საქორწინო ასაკად დადგენილია 18 წელი. გამონაკლისს, ცალკეულ შემთხვევაში მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ საქორწინო ასაკი ქალებისათვის შეამცირონ, მაგრამ არაუმეტეს, ვიდრე 2 წლით.

პროექტის მე-14 მუხლში ჩამოთვლილია ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებანი. დაქორწინება არ დაიშვება: იმ პირისა, რომელიც ქორწინებაშია სხვა პირთან, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი ნათესავების, ღვიძლი და არაღვიძლი ძმებისა და დებისა, შვილად ამყვანისა და შვილად აყვანილის, აგრეთვე შვილად ამყვანის შვილისა და შვილად აყვანილისა, იმ პირებისა, რომლებიც სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ცნობილი არიან არაქმედუნარიანად, მზრუნველისა და მზრუნველობაში მყოფი პირისა, ვიდრე მათ შორის არ მოიხსობა მზრუნველობის საფუძველზე აღმოცენებული ურთიერთობა.

კოდექსის პროექტის მე-15 მუხლის შესაბამისად დაქორწინების დროს მეუღლეებს უფლება აქვთ თავიანთი სურვილისამებრ აირჩიონ თავიანთ საერთო გვარად ერთ-ერთი მეუღლის გვარი ან დაიტოვონ თავისი ქორწინებამდელი გვარი. ვარდა ამისა, ადრე მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებით ამ მუხლში ის სიახლეა, რომ მეუღლეებს უფლება ექვლევათ თავიანთ გვარს შეუერთონ მეორე მეუღლის გვარი, მაგრამ შეერთების შედეგად მიღებული გვარი არ უნდა შედგებოდეს ორზე მეტი ნაწილისაგან.

განქორწინებულ მეუღლეთა შენახვის საკითხის მოწესრიგებისათვის დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს პროექტის 25-ე მუხლს, რომლის თანახმად იმ პირს, რომელიც ქორწინებაში ხანმოკლედ იმყოფებოდა ან ქორწინებაში ყოფნისას ჩაიღინა უღირსი საქციელი, დაქორწინების დროს დაფარა ავადმყოფობა, ან რომლის ბრალითაც დაიშალა ოჯახი. შეიძლება სასამართლომ ჩამოართვას ყოფილი მეუღლისაგან ალიმენტის მოთხოვნის უფლება ან ვადით განისაზღვროს ეს უფლება.

პროექტის 65-ე მუხლი არეგულირებს მშობლის უფლებებში აღდგენის საკითხებს. მასში მითითებულია, რომ მშობლის უფლების აღდგენა არ დაიშვება იმ პირის მიმართ, რომელიც შვილად აყვანილია სხვა პირის მიერ, თუ შვილად

აყვანა გაუქმებული ან ბათილად ცნობილი არ არის. ითვალისწინებს ნორმას, საქორწინო და საოჯახო კოდექსის პროექტს მხედველობაში აქვს როგორც შვილად აყვანილის, ისე შვილად ამყვანის ინტერესები. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის კოდექსების პროექტები ასეთ ნორმას არ შეიცავენ.

იმის გამო, რომ პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სამეურვეო პირს აქვს ქონება არა იმ დასახლებულ პუნქტში, სადაც ის მუდმივად ცხოვრობს, არამედ სხვაგან, ხოლო ასეთ ქონებაზე მეურვეობის განხორციელება მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან ძნელია. პროექტის 137-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ თუ პირს, რომელზეც დაწესებულია მეურვეობა ან მზრუნველობა, აქვს ქონება, რომელიც სხვა ადგილას მდებარეობს, აუცილებლობის შემთხვევაში მეურვის ან მზრუნველის თანხმობით ამ ქონებაზე შეიძლება დაინიშნოს მეურვე ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების პროექტებთან შედარებით საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის პროექტში მთელი რიგი საკითხები განსხვავებულად არის გადაჭრილი. მაგალითად, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ქორწინებისა და ოჯახის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების მე-10 მუხლის თანახმად საქორწინო ასაკად, როგორც წესი, დადგენილია 18 წელი. მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შესაძლებელია საქორწინო ასაკის შემცირება, მაგრამ არაუმეტეს, ვიდრე ორი წლით. გამოდიან რა აქედან, საქორწინო ასაკის საკითხი მოკავშირე რესპუბლიკების საქორწინო და საოჯახო კოდექსების პროექტებმა სხვადასხვაგვარად გადაწყვიტეს. ჩვენი რესპუბლიკის კოდექსის პროექტის მე-13 მუხლით გამოჩაკლის შემთხვევებში დაშვებულია მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებით საქორწინო ასაკის შემცირება ორი წლით მხოლოდ ქალებისათვის. რსფსრ-ის კოდექსის პროექტი ითვალისწინებს საქორწინო ასაკის შემცირებას ორი წლით როგორც ქალებისათვის, ისე ვაჟებისათვის, უკრაინის სსრ კოდექსის პროექტით საქორწინო ასაკად ქალებისათვის, როგორც წესი, დაშვებულია 16 წელი, ხოლო აზერბაიჯანის სსრ კოდექსის პროექტით საქორწინო ასაკად დადგენილია 18 წელი და მისი შემცირება გათვალისწინებული არ არის.

რსფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, სომხეთის სსრ, მოლდავეთის სსრ კოდექსების პროექტების თანახმად შვილად ამყვანს სასამართლომ შეიძლება დააკისროს ბავშვის შესანახი ალიმენტი იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა მიზეზით მოხდა შვილად აყვანის გაუქმება. ჩვენი კოდექსის პროექტის 117-ე მუხლი, ისევე როგორც აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ და ლატვიის სსრ კოდექსების პროექტების შესაბამისი მუხლები, ადგენს, რომ შვილად აყვანის გაუქმებისას შვილად ამყვანს ბავშვის შესანახი სარჩო შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ შვილად აყვანა გაუქმდა შვილად ამყვანის მიერ ბავშვის აღზრდის მოვალეობის არასათანადოდ შესრულების გამო.

მე-19 მუხლით მეუღლეთა განკერძოებულ ქონებად ითვლება ქონება, რომელიც თუმცა დაქორწინების შემდეგ არის შექმნილი, მაგრამ იმ ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული სახსრებით, რომელიც მეუღლეს დაქორწინებამდე ეკუთვნოდა.

პროექტის 142-ე მუხლში მოცემულია ამომწურავი ნუსხა იმ გარიგებებისა,

რომელთა დადებისათვის საჭიროა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ნებართვა. ამ ნუსხაში შეტანილია ქონების დაგირავებისა და გაქირავების გარეგნებები, რომლებიც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების პროექტებით არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის პროექტის 69-ე მუხლის შესაბამისად მშობლებისა და შვილების ქონება მათ საერთო წილობრივ საკუთრებას წარმოადგენს იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლები და შვილები თავიანთი შრომით, ხელფასით ან სხვა სახსრებით მონაწილეობას იღებდნენ ამ ქონების შექმნაში. რსფსრ, ლატვიის, სომხეთის, აზერბაიჯანის კოდექსების პროექტები არ შეიცავენ ამ ნორმას.

ანალოგიურ ნორმას შეიცავს მხოლოდ ბელორუსიისა და მოლდავეთის კოდექსების პროექტები.

ამ წერილში ჩვენ არ ვასაბუთებთ, თუ რა მოსაზრებით დაადგინენ საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის პროექტის ავტორები ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტის დროს სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებულ პოზიციას. დაე, თვით მკითხველმა გააკეთოს ანალიზი და გამოთქვას თავისი მოსაზრება.

ერთ სტატიამში შეუძლებელია შევეხოთ ყველა იმ ნორმას, რომლებსაც შეიცავს საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის პროექტი. როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, კოდექსის პროექტი განსახილველად დაეგზავნა რესპუბლიკის ყველა სამინისტროს, უწყებებს, სასამართლოს, პროკურატურის ორგანოებს, მშრომელთა დეპუტატების სარაიონო, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში უკვე შემოდის ამ ორგანიზაციებიდან შენიშვნები და კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც გულდასმით იქნება განხილული და საფუძვლად დაედება კოდექსის პროექტის გაუმჯობესებას.

## ქვეროლის საზოგადოებრივი საშიშროება და დანაშაულის სუბიექტი

თ. ზამხალიძე

საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული დებულების თანახმად, „საზოგადოებრივი საშიშროება (მართლწინააღმდეგობა) ყოველი დანაშაულის ობიექტურ სოციალურ-პოლიტიკურ თვისებას წარმოადგენს“<sup>1</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ ამა თუ იმ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება მდგომარეობს არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობებისადმი ამ ქმედობის ობიექტურ წინააღმდეგობაში. ქმედობის ობიექტური წინააღმდეგობა საზოგადოებრივი ურთიერთობებისადმი, სუბიექტური წინააღმდეგობისაგან განსხვავებით, ხასიათდება იმით, რომ მოცემული ქმედობა ზიანს აყენებს საზოგადოებას იმისდა მიუხედავად, თუ როგორ აფასებდა ინდივიდი თავის ნამოქმედარს. უკეთეს ინდივიდს მიაჩნია, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედობა საზოგადოებრივად საშიში და დასჯადია, მაგრამ მისი წარმოდგენა სინამდვილეს არ შეესაბამება, მაშინ გვაქვს *delictum putativum* — ქმედობის საშიშროება და დანაშაულებრიობა არსებობს მხოლოდ ინდივიდის წარმოდგენაში და ამიტომაც პასუხისმგებლობა არ დადგება მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო. ხოლო, თუ ინდივიდი ფიქრობს, რომ ქმედობა არ არის საზოგადოებრივად საშიში და ამის გამო არც დასჯადია, ნამდვილად კი იგი ცდება, მაშინ ობიექტურად ჩადენილია უმართლობა და პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია ბრალის არსებობა-არარსებობაზე.

იბადება კითხვა: რა განსაზღვრავს საზოგადოებრივი საშიშროების ობიექტურ ხასიათს? როგორც ცნობილია, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება გამოიხატება იმაში, რომ მას ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის ან ქმნის ასეთი ზიანის მიყენების საფრთხეს. ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი საშიშროების ობიექტურ ხასიათს განსაზღვრავს ობიექტური მომენტი — დამდგარი ან მოსალოდნელი ზიანი. არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ხელყოფის ობიექტის სოციალურ ღირებულებას და ინდივიდის მოქმედებით შექმნილი საფრთხის ინტენსივობას. ძირითადად ეს სამი მომენტი, აღებული არა იზოლირებულად, არამედ ურთიერთკავშირში, განსაზღვრავს ქმედობის სოციალურ საშიშროებას<sup>2</sup>. მაგრამ ამით საკითხი ამოწურულად ვერ ჩაითვლება. იმისათვის, რომ ეს საკითხი გადაწყვეტილად ჩაითვალოს, აუცილებელია კიდევ გაირკვეს: 1) სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნების და 2) დანაშაულის სუბიექტური მხარის დამოკიდებულება ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებისადმი. უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ დამოკიდებულების გარკვევაში მდგომარეობს მართლწინააღმდეგობის, როგორც ობიექტური კატეგორიის ნამდვილი პრობლემატიკა. ამ

<sup>1</sup> А. А. Пионтковский, Учение о преступлении, М., 1961 с. 164.

<sup>2</sup> იხ. ამ საკითხზე დაწერილებით თ. წერეთელი, დანაშაულის მოზადება და მცდელობა, თბ., 1961, გვ. 196-201.

ორი საკითხიდან წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეხებით მხოლოდ პირველ სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნების მნიშვნელობას აღნიშნული თვალსაზრისით, რაც შეეხება მეორე საკითხს — დანაშაულის სუბიექტური მხარის მნიშვნელობას, ის დამოუკიდებელ შესწავლას მოითხოვს და ამიტომაც მისი აქ განხილვა აუცილებელი არ არის.

უკანასკნელი წლების საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში შეიძლება გაბატონებულად ჩაითვალოს თვალსაზრისი, რომ საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის თვისებაა და განისაზღვრება მისი ყველა ელემენტით<sup>3</sup>. „დანაშაულის ყველა ნიშანთა ერთობლიობის არსებობა — წერს ამ თვალსაზრისის ერთ-ერთი დამცველი ვ. კულრიავეცი — მოწმობს, როგორც საერთო წესი, საზოგადოებრივი საშიშროების არსებობასაც“<sup>4</sup>. ვ. კულრიავეცი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ცნებას ანსხვავებს „მოქმედების ხერხის ობიექტური საშიშროების“ ცნებისაგან. ახდენს რა ამ ცნებათა განსხვავებას, იგი აღნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენის ხერხის ობიექტური საშიშროება ერთ-ერთი იმ სიდიდეთაგანია, რომლებიც ერთობლივად ქმნიან დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებას. ეს უკანასკნელი კი „დამოკიდებულია არა მხოლოდ მოქმედების ხერხზე, არამედ აგრეთვე დანაშაულის ობიექტზე, სუბიექტზე და სუბიექტურ მხარეზე“<sup>5</sup>. მაშასადამე, ვ. კულრიავეცის დანაშაულის სუბიექტი საზოგადოებრივი საშიშროების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნიშნად მიაჩნია.

ბ. ნიკიფოროვის აზრით, სოციალურ ელემენტებს მიეკუთვნება ყველა ის ნიშანი, რომელიც განსაზღვრავს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას და მის ხარისხს. ესენია დანაშაულის ობიექტის, ობიექტური მხარის და სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ამ ელემენტების რიცხვს არ მიეკუთვნება სუბიექტური მხარის ნიშნები, რადგანაც განზრახვა და გაუფრთხილებლობა წარმოადგენენ არა ასახვის საგნებს, არამედ გამოხატავენ დამოკიდებულებას ასახვისადმი<sup>6</sup>.

ამრიგად, თეორეტიკოსთა უმრავლესობა სუბიექტისათვის დამახასიათებელ ნიშნებს (რასაკვირველია, სხვა ნიშნებთან ერთად) ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების განმსაზღვრელ ელემენტებად მიიჩნევს. მაგრამ აქვე უნდა გავიხსენოთ გაბატონებული დებულება, რომ მართლწინააღმდეგობა წარმოადგენს საზოგადოებრივი საშიშროების იურიდიულ გამოხატულებას და ამ ცნებათა და-

<sup>3</sup> **А. Б. Сахаров**, Ответственность за должностные злоупотребления по советскому уголовному праву, М., 1956, с. 164; **А. Н. Трайнин**, Общее учение о составе преступления, М., 1957, с. 78; **ა. ვაჩიშვილი**, დანაშაულის სუბიექტური მხარე საბჭოთა სისხლის სამართალში, თბ., 1957, გვ. 263; **В. Н. Кудрявцев**, Объективная сторона преступления, М., 1960, с. 100; Теоретические основы квалификации преступлений, М., 1963, с. 88 — 9; **Я. М. Брайнин**, Уголовная ответственность и ее основание в советском уголовном праве, М., 1963, с. 158; **Б. С. Волков**, Мотив и квалификация преступлений, Изд. Казанского университета, 1968, с. 16; **Б. С. Никифоров**, Об умысле по действующему уголовному законодательству, «Сов. государство и право», 1965, № 6, с. 31; Курс Советского уголовного права, ч. общая, Изд. Лен. унив., 1968, с. 318.

<sup>4</sup> **В. Н. Кудрявцев**, Теоретические основы квалификации преступлений, с. 89.

<sup>5</sup> **В. Н. Кудрявцев**, Объективная сторона преступления, с. 100; ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროებისაგან ანსხვავებს აგრეთვე **ვ. პროხოროვი**. „დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროება — წერს ვ. პროხოროვი — ესაა თვისება ყველა მისი ობიექტური და სუბიექტური ნიშნებისა: სუბიექტისა და სუბიექტური მხარის, ობიექტისა და ობიექტური მხარის“, Курс Советского уголовного права, Ч. общая, т. 1, Изд. Лен. университета, 1968, с. 318;

<sup>6</sup> **Б. С. Никифоров**, Мотив, ნაშრომი, «Советское государство и право», 1965, с. 31;

მოკიდებულება „შეიძლება გამოიხატოს როგორც დამოკიდებულება ქმედობის სამართლებრივ ფორმასა და მის მატერიალურ სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსს შორის“<sup>7</sup>. რაკი საზოგადოებრივი საშიშროება მართლწინააღმდეგობის მატერიალურ შინაარსს წარმოადგენს, ხოლო მართლწინააღმდეგობა, როგორც ცნობილია, დანაშაულის ცნების ერთ-ერთი ნიშანია, აქედან ცხადი ხდება, რომ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებაც დანაშაულის ერთ-ერთ კომპონენტად უნდა ჩაითვალოს<sup>8</sup>. აშკარაა, რომ ეს დებულება პირდაპირ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი საშიშროების იმ გავრცელებულ განსაზღვრას, რომელიც ზემოთ იყო ჩამოყალიბებული. მართლაც, თუ საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ყველა ელემენტთა ერთობლიობით განისაზღვრება, მაშინ როგორღა შეიძლება ის დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანი იყოს? მაშასადამე, ან უნდა ვაღიაროთ, რომ აქ წინააღმდეგობაა, ანდა დაევშვათ საზოგადოებრივი საშიშროების ორი ცნების არსებობა. ცხადია, საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ იქნებოდა მართებული. მეორე მხრივ, თუ საზოგადოებრივი საშიშროება ობიექტური კატეგორიაა, როგორ ხდება, რომ ამ ობიექტურ კატეგორიას სუბიექტის „განსაკუთრებული თვისებებიც“ განსაზღვრავს? რით აიხსნება, რომ ნიშნებს, რომელთაც მხოლოდ წმინდა პერსონალური ხასიათი აქვთ, თითქოსდა უნარი შესწევთ ზეგავლენა მოახდინონ არაპერსონალურ, ობიექტურ კატეგორიაზე? ხომ არ არის აქაც რაიმე წინააღმდეგობა? როგორც ჩანს, საკითხი სერიოზულ შესწავლას მოითხოვს. რადგან ამ საკითხის გადაწყვეტას არა მარტო თეორიული, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ამიტომაც საჭიროდ მიგვაჩნია კონკრეტულად დავახსიათოთ სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნები და მხოლოდ ამის შემდეგ გავაკეთოთ დასკვნა ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროებისადმი ამ ნიშნების დამოკიდებულების შესახებ.

როგორც ცნობილია, სუბიექტისათვის დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენენ: შერაცხადობა, ასაკი, სპეციალური სუბიექტის ნიშნები, უბრალო განმეორება და რეციდივი. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ აღნიშნული ნიშნები ვერ მოახდენენ რაიმე გავლენას ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებაზე. ამ დებულების სისწორის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ეს ნიშნები თავის თურთღიულ მნიშვნელობას იძენენ მხოლოდ პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების არსებობა კი არ არის დამოკიდებული იმაზე, დგება თუ არა პასუხისმგებლობა ამ ქმედობის ჩადენის გამო. სახლისათვის ცეცხლის წაკიდება საშიშია იმისდა მიუხედავად, თუ ვინ ჩაიდენს მას — მცირეწლოვანი, რომელსაც მოქმედი კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება; თუ მოზრდილი, რომელმაც უკვე მიაღწია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის დაწესებულ ასაკს. ძალადობა შეშლილის მხრივ ისევე საშიშია, როგორც ძალადობა, ჩადენილი გონებრივად სრულიად ჯანმრთელი და საღად მოაზროვნე ადამიანის მიერ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ არც მცირეწლოვანი და არც შეურაცხი პასუხს არ აგებს საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის. სრულასაკოვანი და შერაცხადი პირები კი პასუხს აგებენ, რასაკვირ-

<sup>7</sup> А. А. Пионтковский, მით. ნაშრომი, გვ. 160;

<sup>8</sup> А. А. Пионтковский, მით. ნაშრომი, გვ. 29; Т. В. Церетели, К вопросу о понятии вины, Вестник, Отд. общественных наук АН Груз. ССР, 1960, № 1, с. 135;

ველია, თუ იქნება სხვა აუცილებელი პირობები<sup>9</sup>. იგივე ითქმის განმეორების და რეციდივის ნიშნების თაობაზეც. განმეორებას არ შეუძლია განსაზღვროს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება, მაგრამ ზოგჯერ ამ ნიშანს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლით ისჯება სამხედრო ვალდებულის მიერ სასწავლო შეკრებისათვის განმეორებით თავის არიდება, 219-ე მუხლით — სამხედრო ვალდებულის ან ახალწვეულის მიერ სამხედრო აღრიცხვის წესების განმეორებით დარღვევა და სხვ. ორივე შემთხვევაში განმეორება მხოლოდ დასჯადობის ნიშანია, რადგანაც სამხედრო ვალდებულის მიერ სასწავლო შეკრებისათვის თავის არიდება ისევე, როგორც სამხედრო ვალდებულის ან ახალწვეულის მიერ სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევა საზოგადოებრივად საშიშოა მათი პირველად ჩადენის დროსაც, მაგრამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკავშირდება ამ ქმედობათა განმეორებით ჩადენას.

ცნობილია, რომ რეციდივი უბრალო განმეორებისაგან განსხვავდება ნა-სამართლობის ნიშნით, მაგრამ ამ გარემოებასაც არ შეუძლია რაიმე როლი ითამაშოს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების წარმოქმნაში. როგორც უბრალო განმეორება, ისე რეციდივი წმინდა პერსონალურ ნიშნებს წარმოადგენს და ამ პერსონალური ხასიათის გამო არ ძალუძთ ზეგავლენა მოახდინონ საზოგადოებრივი საშიშროების ობიექტურ კატეგორიაზე. „დანაშაულის განმეორებით ჩადენა წმინდა პირადი გარემოებაა. კანონმდებელი თვლის მას სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად იმის გამო, რომ დანაშაულის განმეორებით ჩადენა მოწმობს პიროვნების მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას“<sup>10</sup>. ქმედობის სასარგებლო ან საზიანო ხასიათი არ განისაზღვრება იმით, ჩაიდენს მას რეციდივისტი თუ იშვიათი მორალური თვისებების მქონე ინდივიდი, რომელსაც მანამდე არასდროს არ ჩაუდენია რაიმე სამართალდარღვევა. როგორც სწორად შენიშნავს ვ. კუდრიაცვევი, „კანონი უშვებს იმ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას, რომელიც ადრე არაფრით არ იყო შეზღუდული“<sup>11</sup>.

დასასრულ, უნდა განვიხილოთ ე. წ. სპეციალური სუბიექტის ნიშნები. დანაშაულის სპეციალურ სუბიექტებად იწოდებიან სუბიექტები, რომლებიც აღჭურვილი არიან არა მხოლოდ დანაშაულის ყველა სუბიექტისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნებით, არამედ დამატებით საგანგებოდ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი თვისებებით<sup>12</sup>. ესენი არიან, მაგალითად, თანამდებობის პირები, სამხედრო მსახურნი, ტრანსპორტის მუშაკები, ექიმები და ა. შ. დამახასიათებელია, რომ ადამიანთა მოღვაწეობის განსაზღვრული სფეროსათვის სპეციფიკური ქმედობა შესაძლოა ჩაიდინოს მხოლოდ საგანგებოდ ამ სფეროში დასაქმებულმა ინდივიდმა. სატრანსპორტო წესების დარღვევის სუბიექტია ტრანს-

<sup>9</sup> ა. ტრაინინი სწორად აღნიშნავდა, რომ „შერაცხადობა — აუცილებელი სუბიექტური პირობაა, სუბიექტური წანამდგარია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა. სისხლის სამართლის კანონი სჯის დამნაშავეს არა იმის გამო, რომ ის ფსიქიურად ჯანსაღია, არამედ იმ პირობით, რომ ის ფსიქიურად ჯანსაღია“. **А. Н. Трайнин**, მით. ნაშრომი გვ. 74. ასეთ-სავე აზრს გამოსთქვამს ა. ტრაინინი ასაკის თაობაზეც, იქვე, გვ. 76.

<sup>10</sup> თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 218.

<sup>11</sup> **В. Н. Кудрявцев**, Теоретические основы квалификации преступлений, М., 1963, с. 198;

<sup>12</sup> **В. С. Орлов**, Субъект преступления, М., 1958, с. 138;

პორტის მუშაკი, ქრთამის ალებისა — მხოლოდ თანამდებობის პირი, სამხედრო დისციპლინის დარღვევის — მხოლოდ სამხედრო მსახური და ა. შ. ხომ არ მიგვანიშნებს ეს ფაქტი იმაზე, რომ სპეციალური სუბიექტის ნიშანი აფუძნებს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას, ვინაიდან თანამდებობრივი დანაშაული, მაგალითად, წარმოუდგენელია თანამდებობის პირის გარეშე? ცხადია, მსგავსად ზემოთ განხილული სხვა ნიშნებისა, სპეციალური სუბიექტის ნიშნებსაც არ ძალუძთ დააფუძნონ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება. სპეციალური სუბიექტის ნიშნები მხოლოდ მიგვითითებენ, თუ ვინ შეიძლება ჩაიდინოს ესა თუ ის საზოგადოებრივად საშიში ქმედობა. ზოგჯერ განსაზღვრული ქმედობის ჩადენაზე ხელი მიუწვდება არა ყველას, არამედ, როგორც უკვე ითქვა, საგანგებოდ ამ სფეროში დასაქმებულ ინდივიდს. „დანაშაულის სპეციალური სუბიექტი — წერს ვ. კუდრიავეცი — წარმოადგენს მხოლოდ შედეგს აღნიშნულ დანაშაულთა გამოყოფისა ობიექტის სპეციფიკურ ნიშნებთან დაკავშირებით“<sup>13</sup>. მაშასადამე, ამა თუ იმ ქმედობის საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს განსაზღვრავს არა სპეციალური სუბიექტის ნიშნები, არამედ თავისთავად საზოგადოებრივად საშიში ქმედობა შესაძლოა ჩადენილი იქნეს მხოლოდ სპეციალურ სუბიექტთა ზუსტად განსაზღვრული წრის მიერ. აკრიტიკებენ რა ბ. უტევსკის, ტ. სერგეევას და სხვებს, რომელთა აზრითაც დანაშაულის შემადგენლობა არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძველს და ამიტომაც სიმძიმის ცენტრი ქმედობიდან მოქმედზე უნდა გადავიტანოთ, ნ. ალექსეევი, ვ. სმირნოვი და დ. შარგოროდსკი სავესებით სწორად შენიშნავენ, რომ „...შეუძლებელია ისეთი მდგომარეობა, როცა ერთდროულად ხასიათის ქმედობა, ჩადენილი ერთი პირის მიერ, განიხილება როგორც დანაშაული, ხოლო ჩადენილი მეორე პირის მიერ, არ განიხილება ასეთად“<sup>14</sup>.

ამგვარად, ზემოთქმულის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ სუბიექტისათვის დამახასიათებელ ნიშნებს არ ძალუძთ დააფუძნონ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება. მაგრამ გასარკვევია კიდევ ერთი საკითხი. მართალია, აღნიშნული ნიშნები არ აფუძნებენ საზოგადოებრივ საშიშროებას, მაგრამ ხომ არ ახდენენ ისინი ზეგავლენას მის ხარისხზე? ეს საკითხიც ასევე საგანგებო განხილვას მოითხოვს.

მოქმედი საბჭოური სისხლის სამართლის კანონმდებლობით განმეორება, როგორც უკვე ითქვა, ზოგჯერ დასჯადობის კონსტრუქციულ ნიშანს წარმოადგენს. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 174 მუხლის პირველი ნაწილით ისჯება მგზავრების გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა მოქალაქის კუთვნილი ავტომანქანით, ჩადენილი ანგარებით ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც დამნაშავეს ასეთივე მოქმედებისათვის აღმინისტრაციული სასჯელი დაედო. განმეორება, როგორც კონსტრუქციული ნიშანი დას-

<sup>13</sup> В. Н. Кудрявцев, Теоретические основы квалификации преступлений, с. 202;

<sup>14</sup> Н. С. Алексеев, В. Г. Смирнов, М. Д. Шаргородский, Основание уголовной ответственности по советскому праву «Правоведение», 1961, с. 76; მ. ნეკიპელოვი და ვ. ბელაიევი აკრიტიკებენ რა ა. სახაროვს, წერენ: „უდავო ურთიერთკავშირი ამ ცნებებისა (დამნაშავესა და დანაშაულისა — ო. გ.) სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ქმედობის საშიშად აღიარება შეიძლება განპირობებული იყოს სუბიექტის საშიშროებით“, რეცენზია ა. სახაროვის წიგნზე «О личности преступника и причинах преступности в СССР, М., 1961, «Правоведение», 1962, № 2, с. 174;



ჯაღობისა გვხვდება აგრეთვე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 175, 216, 217, 218 და 219 მუხლებში და ა. შ.

ხშირად განმეორება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად გვევლინება. მაგალითად, განმეორება, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, შეტანილია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150, 151, 152, 153, 154 მუხლების მეორე ნაწილში და ა. შ. იგივე უნდა ითქვას რეციდივის შესახებ. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-9 პუნქტში გათვალისწინებულია განზრახი მკვლელობა, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, რაც ისჯება სასჯელის უმაღლესი ზომით. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მეორე ნაწილით ცილისწამების რეციდივი აგრეთვე მიჩნეულია პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად.

უკეთეს განმეორება ან რეციდივი საგანგებოდ არ არის გათვალისწინებული კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ამა თუ იმ მუხლით, როგორც მაკვალიფიცირებელი ნიშნები, მაშინ ამ ნიშნებს მაინც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ პასუხისმგებლობის ხარისხზე ერთი და იმავე კვალიფიკაციის ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ამძიმებს პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებზე დაყრდნობით. ამ მუხლით, სასჯელის დანიშვნის დროს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება:

1. დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, ვისაც ადრე აქვს ჩადენილი რაიმე დანაშაული. სასამართლოს უფლება აქვს არ მისცეს პირველ დანაშაულს მისი ხასიათის მიხედვით დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა;

2. დანაშაულის ჩადენა ერთი წლის განმავლობაში დამნაშავის მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შეფარდების შემდეგ მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის.

როგორც ვხედავთ, განმეორებისა და რეციდივის ნიშნებს ფრიად დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ სასჯელის დანიშვნის დროს პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრისათვის. ამიტომაც აუცილებელია გავარკვიოთ შემდეგი საკითხი: რის გამო ხდება პასუხისმგებლობის გაძლიერება განმეორების ან რეციდივის შემთხვევაში — პიროვნების მომეტებული საშიშროების თუ ქმედობის გაზრდილი საშიშროების გამო? ამ საკითხის გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სხვა, სისხლის სამართლის თეორიისა და სასამართლო პრაქტიკის არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისათვის.

ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულად უნდა ჩაითვალოს შეხედულება, რომ განმეორება, სხვა ნიშნებთან ერთად, ზრდის ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. მაგალითად, ა. ლუნიოვი წერს: „ადმიხისტრაციული სამართალდარღვევა სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედობად გადაიზრდება ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების გამაძლიერებელ ისეთ პირობებში, როგორცაა სამართალდარღვევის განმეორება...“<sup>15</sup>. ამავე აზრს იზიარებს ო. შიშოვიც: „საზოგადოებრივი საშიშროება, ეს არის ობიექტური თვისება ყველა სამართალდარღვევისა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ამ თვისების გამოვლინების ხარისხით, ამიტომაც ისეთი რაოდენ-

<sup>15</sup> А. Е. Лунев, Административная ответственность за правонарушения, М., 1961, с. 35;



ნობრივი მაჩვენებლები, როგორცაა განმეორება, ზიანის ოდენობა და სხვ. შეიძლება მოწმობდნენ სამართალდარღვევის არსებითად განსხვავებულ ბუნებას<sup>16</sup>. ა. ალიოხინი მიუთითებს „დარღვევის განმეორებაზე და სხვა ფაქტორებზე“, რომლებიც განსაზღვრავენ „ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს“<sup>17</sup>.

დამახასიათებელია, რომ აღნიშნულ დებულებას, როგორც წესი, იშვიათად თუ ვინმე ასაბუთებს. აქ უნდა დავასახელოთ ნ. კუზნეცოვა, რომელსაც მიაჩნია, რომ „განმეორების ან სისტემატურობის ნიშნები და დანაშაულის ჩადენა ხელობის სახით არ ატარებენ დამოუკიდებელ ხასიათს და მიყენებული ზიანის სიმძიმისაგან მოწყვეტით არ ძალუძთ დისციპლინური სამართალდარღვევის გარდაქმნა დანაშაულად... ადმინისტრაციული ან დისციპლინური გადაცდომის უბრალო განმეორებას არ შეუძლია მოგვეცეს დანაშაული“<sup>18</sup>.

ნ. კუზნეცოვას მიერ წამოყენებული დებულება, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, პირდაპირ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 217 მუხლით ისჯება „იმ პირის უბასეპორტოდ ცხოვრება, რომელიც კანონით ვალდებულია ჰქონდეს პასპორტი, ჩადენილი ერთი წლის განმავლობაში ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადების შემდეგ...“ ამ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საკმარისია ამ ქმედობის უბრალო განმეორება ყოველგვარი „მიმე ზიანის“ გარეშე. მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება მოქმედი კანონმდებლობიდან.

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ სუბიექტის ნიშნებს არ შესწევთ უნარი დააფუძნონ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება. საზოგადოებრივი საშიშროება ქმედობის ობიექტური თვისებაა და მისი არსებობა-არარსებობა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს ინდივიდის დადებით ან უარყოფით თვისებებსა თუ ნიშნებზე. აქედან გამომდინარე, ძნელი არ არის იმის დასაბუთება, რომ სუბიექტისათვის დამახასიათებელ ნიშნებს არ შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ აგრეთვე ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზეც. მხოლოდ იმ მომენტებს შეუძლიათ იმოქმედონ საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე, რომლებიც განსაზღვრავენ ამ საშიშროებას. და მართლაც, განმეორებას (რეციდივს) იმიტომ არ შეუძლია გაზარდოს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, რომ ის არასოდეს არ აფუძნებს ქმედობის აღნიშნულ თვისებას. ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების დამაფუძნებელი გარემოებების ანალიზი ნათლად ამტკიცებს აქ წამოყენებული დებულების სისწორეს.

<sup>16</sup> **О. Ф. Шишов**, Преступление и административный проступок в советском праве, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук, М., 1962, с. 7;

<sup>17</sup> **А. П. Алексин**, Административная ответственность за правонарушения на транспорте, М., 1967, с. 10; იხ. აგრეთვე **Н. Ф. Кузнецова**, Преступление и проступок, «Советская юстиция», 1967, № 11, с. 23; ჩეხოსლოვაკიის 1961 წლის სისხლის სამართლის კოდექსის § 3-ში სხვა სუბიექტურ და ობიექტურ მომენტებთან ერთად დასახელებულია „დამნაშავის პიროვნებაც“, როგორც ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის განმსაზღვრელი გარემოება.

<sup>18</sup> **Н. Ф. Кузнецова**, Значение преступных последствий, М., 1958, с. 184; **В. П. Малков**, Повторность проступка и уголовная ответственность, Казань, 1968, с. 22.

საქართველოს  
საზოგადოებრივი საშიშროება

ზემოთ ჩვენ დავასახელებთ ის სამი ძირითადი მომენტი, რომელთაც შეუძლიათ განსაზღვრონ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება. ასეთი მომენტებია: 1) დამდგარი ან მოსალოდნელი ზიანი, 2) ხელყოფის ობიექტის სოციალური ღირებულება და 3) შედეგის დადგომის ხელშეწყობის ხარისხი ანუ ინდივიდის მოქმედებით შექმნილი საფრთხის ინტენსივობა. თუ ეს სამი ძირითადი მომენტი, აღებული „არა იზოლირებულად, არამედ მათს ერთობლიობაში“ განსაზღვრავს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას, მით უმეტეს შეუძლიათ მათ ზემოქმედება მოახდინონ მის ხარისხზეც. მაგალითად, სხვა თანაბარ პირობებში საზოგადოებრივი საშიშროების ესა თუ ის ხარისხი შეიძლება დამოკიდებული იყოს დამდგარი ან მოსალოდნელი ზიანის ოდენობაზე. ორი ადამიანის მკვლელობა სოციალურად უფრო საზიანოა, ვიდრე მკვლელობა ერთი ადამიანისა. მეორე მხრივ, საზიანო შედეგის განხორციელებისათვის „პირის მიერ შექმნილი საფრთხის ხარისხს“ შეუძლია განსაზღვროს მეტი ან ნაკლები საზიანობა მოქმედებისა. შორეული მოსამზადებელი მოქმედება, ჩადენილი, ვთქვათ მკვლელობის მიზნით, წარმოქმნის საზოგადოებრივი საშიშროების უფრო მცირე ხარისხს შედარებით მცდელობასთან იმიტომ, რომ პირველი, ე. ი. მოსამზადებელი მოქმედება უფრო შორს არის დასახული მიზნისაგან, ხოლო მეორე ქმნის შედეგის განხორციელების უშუალო საფრთხეს. არსებითად იგივე ითქმის ხელყოფის ობიექტის სოციალურ ღირებულებაზე; მაგრამ ხომ უაზრობა იქნება იმის მტკიცება, თითქოს მოსამზადებელი მოქმედება ნაკლებად საშიშია მცდელობასთან შედარებით იმის გამო, რომ მას სჩადის ინდივიდი, რომელსაც ადრე არ ჩაუდენია რაიმე დანაშაული, ან კიდევ; ვთქვათ, მიყენებული ზიანის ოდენობა დამოკიდებულია მოქმედის პირად თვისებებზე და ა. შ.

10923

აქ შესაძლოა წამოიჭრას ასეთი საკითხი: ხშირად გვხვდება ისეთი ობიექტური გარემოება, რომელიც, მართალია ზოგჯერ არ აფუძნებს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზეგავლენას ახდენს მის ხარისხზე. ასეთ გარემოებებს მიეკუთვნებიან, მაგალითად, დანაშაულის ჩადენის ვითარება, ადგილი, დრო, საშუალება. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 157 მუხლის მეორე ნაწილში ლაპარაკია პირადი ქონების განზრახ განადგურებაზე ან დაზიანებაზე, რომელიც „ჩადენილია ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით“. ამავე კოდექსის 219 მუხლის II ნაწილით ისჯება სამხედრო ვალდებულის ან ახალწვეულის მიერ სამხედრო აღრიცხვის წესების დარღვევა, რომელიც ჩადენილია „ომიანობის დროს“ და ა. შ. მოტანილ მაგალითებში დანაშაულის ჩადენის საშუალება და დრო თავისთავად არ აფუძნებენ ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზემოქმედებას ახდენენ მის ხარისხზე. იგივე ითქმის დანაშაულის ჩადენის ვითარებისა და ადგილის თაობაზე. ხომ არ ეწინააღმდეგება ეს ფაქტი ჩვენს მიერ წამოყენებულ დებულებას, რომ მხოლოდ ის მომენტები ზრდიან ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს რომლებიც განსაზღვრავენ მის საშიშროებას? საქმე ის არის, რომ ჩამოთვლილ გარემოებებს თავისთავად არ გააჩნიათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა ისეთი ობიექტური მომენტისაგან მოწყვეტით, როგორცაა მიყენებული ან მოსალოდნელი ზიანი. ქონების განადგურების ან დაზიანების დროს მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი იზრდება, თუ იგი ჩადენილია საყოველთაოდ საშიში ხერხით, რადგან ასეთი მოქმედების ჩადენას აღნიშნული სა-

საბ. საბ. საბ.

შუალებით შესაძლოა მოჰყვეს უფრო მეტი ზიანი, ვიდრე ამ საშუალებების გამოყენებით. ხოლო ზიანი, თავის მხრივ განსაზღვრავს ქმედობის საზიანო ხასიათს. იგივე ითქმის დროის, ადგილისა და დანაშაულის ჩადენის ვითარების თაობაზეც.

ამრიგად, ჩვენ გამოვიკვლიეთ სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნების იურიდიული ბუნება და დავასაბუთეთ, რომ აღნიშნული ნიშნები არ განსაზღვრავენ ქმედობის სოციალურ საზიანობასა და მის ხარისხს. ეს დებულება ახლა საფუძველს გვაძლევს გავაყეთოთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი დასკვნა.

1) უწინარეს ყოვლისა, ზემოთქმულიდან ის უცილობელი დასკვნა გამომდინარეობს, რომ, თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს ყოველთვის საზოგადოებრივად საშიში ქმედობა წარმოადგენს, პასუხისმგებლობის ზომაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს პიროვნების დამახასიათებელმა ნიშნებმა (განმეორება, რეციდივი). მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომა განისაზღვრება, ერთი მხრივ, ქმედობის საზიანობის ხარისხით, ხოლო, მეორე მხრივ, პიროვნების საშიშროების ხარისხით, თუმცა პირველი, ე. ი. ქმედობა როგორც ითქვა, პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს. საბჭოთა კავშირში ამჟამად მოქმედი სისხლის სამართალი ქმედობის სისხლის სამართალია<sup>19</sup>, რომელიც დანაშაულს განსაზღვრავს როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს კანონმდებელი ყურადღების გარეშე სტოვებდეს დამნაშავეს პიროვნებას. „საფუძვლების“ 32-ე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს „დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათსა და ხარისხს, დანაშაულის პიროვნებას და საქმის სხვა გარემოებებს“...

2) მეორე მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, სამართალდარღვევათა გამიჯვნას შეეხება. ზემოთ ჩვენ დავიმოწმეთ სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული მუხლები, სადაც განმეორებადსა და საზოგადოების კონსტრუქციული ნიშანია, ე. ი. როცა განმეორებით ჩადენა ისეთი ქმედობისა, რომელიც გამოცხადებულია ადმინისტრაციულ გადაცდომად, იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. რახან სუბიექტის ნიშნები არ განსაზღვრავენ ქმედობის სოციალურ ღირებულებას, ხოლო განმეორება ერთ-ერთი ამ ნიშანთაგანია, ამიტომ ირღვევა საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში დღეისათვის დამკვიდრებული შეხედულება, რომ დანაშაული ადმინისტრაციული გადაცდომისაგან განსხვავდება მხოლოდ და მხოლოდ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით. ამრიგად, აქაც ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ, მართალია, როგორც წესი, ქმედობის საშიშროების ხარისხი ამ ორი სახის უმართლობის გამიჯვნის კრიტერიუმს წარმოადგენს, მაგრამ ხშირად გადამწყვეტი როლი ეკუთვნის პიროვნების საშიშროების ხარისხს, თუნდაც ქმედობის საშიშროების ხარისხი იგივე დარჩეს. აქაც ძალაში რჩება დებულება, რომ ჩვენი სისხლის სამართალი ქმედობის სისხლის სამართალია. მართალია, ამ შემთხვევაში პიროვნების საშიშროების ხარისხი დას-

<sup>19</sup> აღრე მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იცავდა ამ პრინციპს. მაგალითად, საქართველოს სსრ 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლში ვკითხულობთ: „იმ პირს, ვისაც სოციალურად საშიში ქმედობა ჩაუდენია, ან ვინც დამნაშავეთა წრესთან კავშირის გამო ან თავისი დანაშაულებრივი წარსულის გამო საფრთხეს წარმოადგენს, შეეფარება სოციალური დაცვის ღონისძიება“ (ხაზგასმა ჩემია ო. გ.).

ჯადობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, მაგრამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიში ქმედობა და არა პიროვნების სოციალური საშიშროება.

3) სუბიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნების იურიდიული რელევანტობის ვარკვევას დიდი სიძაბედ შეაქვს აგრეთვე იმ გარემოებათა წრის განსაზღვრაში, რომლებიც განზრახვის საგანს შეადგენენ. როგორც ცნობილია, განზრახვის აუცილებელ ელემენტს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება წარმოადგენს. ამიტომ განზრახვის არსებობისათვის მნიშვნელობა აქვს არა ყველა იმ მომენტის გათვალისწინებას, რომელიც რაიმე გავლენას ახდენს პასუხისმგებლობის ხარისხზე, არამედ საკმარისია მხოლოდ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების განმსაზღვრელი გარემოებების გათვალისწინება. რაკი ზემოთ იმ დასკვნამდე მივდივით, რომ სუბიექტის ნიშნები არ განსაზღვრავენ ქმედობის საშიშროებას და მის ხარისხს, ამიტომ პრაქტიკულად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ამ ნიშნების გათვალისწინების დადგენას. მოსამართლე აღნიშნულ გარემოებებს მხედველობაში მიიღებს ისე, რომ ერთხელაც არ იკითხავს, თუ რამდენად ითვალისწინებდა მათ ინდივიდი, როცა დანაშაულს სჩადიოდა. სავსებით სწორად შენიშნავს ვ. მაყაშვილი, რომ ის „მომენტები, რომლებიც შემადგენლობის გარეთ არიან, მიუხედავად მათი მნიშვნელობისა პირის პასუხისგებაში მიცემის საკითხის გადაწყვეტისათვის, არ შეიძლება შეადგენდნენ განზრახვის საგანს. ასე, მაგალითად, განზრახვის არსებობისათვის არაა აუცილებელი პირის მიერ იმის შეგნება, რომ იგი დანაშაულის ჩადენის მომენტში შერაცხადი იყო.“<sup>20</sup>

4) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დასკვნა გამომდინარეობს ზემოთქმულიდან თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ ყოველი თანამონაწილე პასუხს აგებს იმ ზომით, რა ზომითაც ის ითვალისწინებდა აღმსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებს. ვრცელდება თუ არა ბრალისმიერი პასუხისმგებლობის პრინციპზე დამყარებული ეს სწორი დებულება იმ გარემოებებზეც, რომლებიც აღმსრულებლის ან რომელიმე თანამონაწილის პიროვნებას ახასიათებს? ეს საკითხი ლიტერატურაში საკამათოდ ითვლება. გავრცელებული შეხედულებით, პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშნები გავლენას ახდენენ მხოლოდ იმ თანამონაწილის პასუხისმგებლობაზე, რომელსაც ეს ნიშანი პირადად ახასიათებს. თუ აღმსრულებელი რეციდივისტია, ეს წმინდა პიროვნული გარემოება იმოქმედებს მხოლოდ აღმსრულებლის პასუხისმგებლობაზე. თანამონაწილეთს შეეცავებათ აღმსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის მხოლოდ ობიექტური გარემოებანი, რასაკვირველია, მათი გათვალისწინების ფარგლებში<sup>21</sup>.

ამ შეხედულების წინააღმდეგ გაილაშქრა ა. ტრაინინმა. ა. ტრაინინის აზრით, მთავარია არა ის, თუ რა ხასიათის გარემოებებთან გვაქვს საქმე, არამედ არსებითი და გადამწყვეტია შემადგენლობის ნიშნების გათვალისწინების მო-

<sup>20</sup> В. Г. Макашвили, Понятие умысла в уголовном праве, Мацне, Вестник отд. общественных наук АН Груз. ССР, № 6, с. 78;

<sup>21</sup> Уголовное право, Общая часть, М., 1939, с. 244; Уголовное право, Общая часть, М., 1948, с. 421; Советское уголовное право, Часть общая, М., 1952, с. 304; В. Солнарж, Соучастие по уголовному праву чехословацкой социалистической республики, М., 1962, с. 241; თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965, გვ. 218; Уголовное право, Часть общая, М., 1966, с. 307 და სხვა.

მენტი. თუ რომელიმე გარემოება, რომელიც აღმსრულებლის მხარეზეა, შემადგენლობის ნიშანს წარმოადგენს, მაშინ საკმარისია ამ ნიშნის გათვალისწინება დანარჩენი თანამონაწილეების მიერ, რათა ის მათაც შეერაცხოს.<sup>22</sup> არსებითად ასეთივე პოზიცია დაიკავა 1964 წელს გამოცემულმა სისხლის სამართლის სახელმძღვანელომ. იქ აღნიშნულია, რომ „აღმსრულებლის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენა თანამონაწილესაც შეერაცხება, თუ მას ეს პირადი თვისება, რომელსაც კვალიფიციური ნიშნის მნიშვნელობა აქვს, გათვალისწინებული ჰქონდა“. მაგრამ თუ დანაშაულს განმეორებით სჩადის არა აღმსრულებელი, არამედ თანამონაწილე, მაშინ ეს გარემოება შეერაცხება მხოლოდ ამ თანამონაწილეს, დანარჩენები კი პასუხს არ აგებენ ამ გარემოების გამო, თუნდაც მათ ეს მაკვალიფიცირებელი ნიშანი წინასწარ გათვალისწინებული ჰქონდეთ.<sup>23</sup> გარდა ამისა, პრინციპულად ამ დასკვნამდე უნდა მივიდეს ყველა ის თეორეტიკოსი, რომელიც პიროვნებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების (მართლწინააღმდეგობის) განსაზღვრელ ნიშნებად მიიჩნევს.

ჩვენ ამ მოსაზრებას, რასაკვირველია, ვერ გავიზიარებთ. აქ საკითხი ასე უნდა დაისვას: რა შეიძლება იყოს საერთო ყველა თანამონაწილისათვის? თუ ამ კითხვაზე სწორ პასუხს ვაცემთ, მაშინ ძნელი არ იქნება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტაც. ჩვენი აზრით, ერთადერთი სწორი პასუხი ამ კითხვაზე ასეთი უნდა იყოს: ყველა თანამონაწილისათვის საერთოა ის, რაც ობიექტურია და არ არის პერსონალური, სუბიექტური; ასეთი ობიექტური კატეგორიაა საზოგადოებრივად საშიში (მართლსაწინააღმდეგო) ქმედობა, მართლაც, დანაშაულში თანამონაწილეობის არსი ის არის, რომ ორი ან მეტი პირი განზრახვით ერთობლივად ანხორციელებს მართლსაწინააღმდეგო ქმედობას. მაშასადამე, აქაც ისევე, როგორც სხვა შემთხვევაში, ჩვენ უნდა გამოვიდეთ იქიდან, რომ თანამონაწილეს შეერაცხება ყველა ის გარემოება, რომელიც განსაზღვრავს ქმედობის საშიშროებას და მის ხარისხს. აქედან ცხადი ხდება, რომ პიროვნებისათვის დამახასიათებელი ნიშანი შეერაცხება მხოლოდ იმ თანამონაწილეს რომელსაც ეს ნიშანი პირადად ახასიათებს, რადგან, როგორც ზემოთ გაიჩვენა, ასეთი გარემოება არავითარ ზეგავლენას არ ახდენს ქმედობის საშიშროებასა და მის ხარისხზე. მაშასადამე, მთავარია არა გათვალისწინების მომენტი, როგორც ეს ა. ტრაინინსა და ზოგიერთ სხვასაც<sup>24</sup> მიაჩნია, არამედ გადაწყვეტია იმ გარემოების ხასიათი, რომელსაც თანამონაწილე ითვალისწინებდა. უკეთეს თანამონაწილე ითვალისწინებდა მართლწინააღმდეგობის ნიშანს, მაშინ ეს გათვალისწინება აისახება მის პასუხისმგებლობაზე (სულ ერთია, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ თუ შემამსუბუქებელ გარემოებებთან გვაქვს საქმე). რაც შეეხება ერთ-ერთი თანამონაწილის ან აღმსრულებლის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ნიშანს, ის სხვა თანამონაწილეებს არ შეერაცხებათ იმ შემთხვევაშიც, როცა მათ ეს ნიშანი წინასწარ გათვალისწინებული ჰქონდათ. თუ, მაგალითად, მკვლელი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტია, დამხმარე კი ამ თვისებით არ ხასიათდება, მაშინ აღმსრულებ-

<sup>22</sup> А. Н. Трайнин, Мит. ნაშრომი, გვ. 286;

<sup>23</sup> Советское уголовное право, часть общая, М., 1964, с. 216.

<sup>24</sup> მ. შეიდეტის და მ. კოვალოვის შეხედულებათა კრიტიკა იხ. თ. წერეთლის დასახელებულ წიგნი თანამონაწილეობის შესახებ, გვ. 217-218;

ლის მოქმედება დაკვალიფიცირდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104 მუხლის მე-9 პუნქტით, რომელიც ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას, ჩადენილს განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, ხოლო დამხმარე დაისჯება იმავე კოდექსის 105 მუხლით, რასაკვირველია, თუ არ იქნა სხვა დამამძიმებელი გარემოება. მეტად საგულისხმოა ამ მხრივ რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება ჩუდინოვისა და ნიკოლაევის საქმეზე. ნიკოლაევმა მონაწილეობა მიიღო ჩუდინოვის მიერ ჩადენილ ძარცვაში. სვერდლოვსკის საოლქო სასამართლომ ნიკოლაევის ქმედობა დააკვალიფიცირა რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17 და 145 მუხლის მეორე ნაწილით იმიტომ, რომ ასევე დაკვალიფიცირდა აღმსრულებლის (ჩუდინოვის) ქმედობა, რომელმაც ძარცვა განმეორებით ჩაიდინა. რსფსრ სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1967 წლის 16 დეკემბრის განჩინებით ნიკოლაევის ქმედობა გადააკვალიფიცირა 17, 145 მუხლის პირველ ნაწილზე. განჩინებაში აღნიშნულია, რომ „მაკვალიფიცირებელი გარემოება, რომელიც აღმსრულებლის პიროვნებას ახასიათებს (დანაშაულის ჩადენა განმეორებით, განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ), არ შეეარაცხება თანამონაწილეს, თუნდაც ეს გარემოება მას გათვალისწინებული ჰქონოდა, რადგანაც აღნიშნული გარემოება ახასიათებს მხოლოდ დამნაშავის პიროვნების საზოგადოებრივ საშიშროებას და შეიძლება დაამძიმოს მხოლოდ აღმსრულებლის პასუხისმგებლობა, ე. ი. იმ პირისა, რომელსაც ის უშუალოდ ახასიათებს“<sup>25</sup>.

როგორც ვხედავთ, ნიკოლაევის ქმედობის პირვანდელი კვალიფიკაციის შეცვლას კოლეგიამ სრულიად სწორი მოსაზრება დაუდო საფუძვლად. თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის საკითხის ასეთი გადაწყვეტა უთუოდ სამართლიანია და სავსებით შეესაბამება ჩვენი სისხლის სამართლის პრინციპებს.

<sup>25</sup> Бюллетень Верховного суда РСФСР, 1968, № 6, с. 14.

## გავაძლიეროთ ბრძოლა წვრილმან ხელიგნობასთან

ს. შაჰანიძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის

პირველი მოადგილე

ბ. მოსხსიანი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფროსი კონსულტანტი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, გაითვალისწინა რა მოქალაქეთა არაერთგზის გამოთქმული სურვილები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინადადებები, თავისი 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულებით გააძლიერა პასუხისმგებლობა ხულიგნობისათვის, მათ შორის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობა წვრილმანი ხულიგნობისათვის.

ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები სამართლიანად მოითხოვენ, რათა ხულიგნებსა და დებოზორებს მკაცრად აგებინონ პასუხი, რადგან ისინი დიდ ზიანს აყენებენ საზოგადოებას, შეუტარცხყოფენ საბჭოთა მოქალაქეების პატივსა და ღირსებას. ხულიგნობის ნიადაგზე ხდება აგრეთვე ბევრი სხვა მძიმე დანაშაული, ყველა ამ გარემოებამ დღის წესრიგში დააყენა ამოცანა — შეიქმნას ისეთი ვითარება, რომ ხულიგნობის თვითეული შემთხვევა გადაჭრით აღკვეთონ სახელმწიფო ორგანოებმა და საბჭოთა საზოგადოებრიობამ. ამრიგად, ხულიგნობასთან ბრძოლის გაძლიერება წარმოადგენს არა მარტო მიზანს, არამედ საშუალებასაც დამნაშავეობის ლიკვიდაციისათვის.

რესპუბლიკის სასამართლოებმა გააძლიერეს ბრძოლა წვრილმანი ხულიგნობის წინააღმდეგ. ამის შედეგად 1967 წლის პირველ ნახევარში წვრილმან ხულიგნობაზე განხილულ საქმეთა რიცხვი 1966 წლის მეორე ნახევართან შედარებით შემცირდა 19,1 პროცენტით, 1967 წლის მეორე ნახევარში — 28,7 პროცენტით, 1968 წლის პირველ ნახევარში — 31,4 პროცენტით, ხოლო ამავე წლის მეორე ნახევარში — 28,1 პროცენტით.

მაგრამ, წვრილმანი ხულიგნობის ფაქტები ჯერ კიდევ გვხვდება. უფრო მეტიც — სასამართლო სტატისტიკური მონაცემებისა და საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონის სახალხო სასამართლოების სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგები მოწმობენ, რომ ამ დანაშაულობასთან ბრძოლა ჯერ კიდევ სუსტად წარმოებს.

მილიციის ორგანოები ყოველთვის დროულად და სწორად არ გზავნიან სახალხო სასამართლოებში საქმეებს წვრილმანი ხულიგნობის შესახებ. ხშირად მასალები იგზავნება ვადის დარღვევით, ისე რომ მიღებული არ არის სამართალდამრღვევა განმარტებანი, დადგენილი არ არის მათი ვინაობა, კერძოდ, იყვნენ თუ არა ისინი ადრე ნამყოფი პასუხისგებაში სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით, ან ეს ცნობები ნაჩვენებია თვით სამართალდამრღვევა ჩანაწერის მიხედვით და სხვ. ეს იწვევს საქმეების გაჭიანურებას. ზოგჯერ კი პირს ამის გამო ადმინისტრაციულ პასუხისგებაში აძლევენ ნაცვლად იმისა, რომ მას პასუხი აგებინონ სისხლის სამართლის წესით.



1967 წლის მეორე ნახევარში, აგრეთვე 1968 წლის პირველ და მეორე ნახევარში რესპუბლიკის მოსამართლეებმა მილიციის ორგანოებს დამატებითი შემოწმებისათვის დაუბრუნეს შესაბამისად წვრილმან ხულიგნობაზე მიღებული მასალების 2,5, 2,1 და 1,5 პროცენტით.

მილიციის ორგანოების ზოგიერთმა მუშაკმა, თავი რომ აერიდებინა სახალხო მოსამართლეების მითითებათა შესრულებისათვის, შესაძლებლად ცნო თვით გამოეყენებინა ამ სამართალდამრღვევთა მიმართ ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომები. ამას გარდა ზოგჯერ მოსამართლენი წვრილმანი ხულიგნობის შესახებ მასალებზე იძულებული ხდებიან აღძრან სისხლის სამართლის საქმე, ხოლო ზოგჯერ წარმოებით წყვეტენ.

მაგრამ, როგორც აღნიშნულ, ისე სხვა დარღვევებს ყოველთვის ვერ ავლენენ. ამიტომ არ ეხმაურებიან დარღვევებს კერძო დადგენილებათა გამოტანით. ზოგჯერ მოსამართლენი თვითონ უშვებენ არსებით დარღვევებს. ყოველივე ეს კი ასუსტებს წვრილმან ხულიგნობასთან ბრძოლას.


მაგალითად, ა. ასუნინას მიერ ჩადენილი ხულიგნობის მასალები მოწმობდნენ, რომ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ის ანალოგიური დარღვევებისათვის უკვე მიცემული იყო ადმინისტრაციულ პასუხისგებაში და დაპატიმრებული 15 დღით. მაგრამ მიუხედავად ამისა ქ. თბილისის მილიციის პირველი მაისის რაიონულმა განყოფილებამ ეს მასალა სახალხო სასამართლოს გაუუზღავნა და ასუნინას კვლავ შეეფარდა პატიმრობა წვრილმანი ხულიგნობისათვის.

ასეთი დარღვევები ზოგჯერ სისხლის სამართლის საქმეების განხილვის დროსაც არის.

გუდაუთის რაიონის სახალხო სასამართლოს 1968 წლის 23 აპრილის განაჩენით ს. ა. კერესელიანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის პირველი ნაწილით, მაგრამ სახალხო სასამართლომ, ხოლო შემდეგ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ კერძო განჩინებით არ მიაქციეს სათანადო ორგანოების ყურადღება იმას, რომ წარსულში ს. ა. კერესელიანი ერთი წლის განმავლობაში ორჯერ იყო ადმინისტრაციულ პასუხისგებაში წვრილმანი ხულიგნობისათვის, რითაც მას საშუალება მიეცა მესამედ ჩაედინა უკვე სისხლის სამართლის დანაშაული.

ზოგიერთმა მოსამართლემ ხულიგნობასთან ბრძოლის გაძლიერება გაიგო როგორც დროებითი კამპანია, რის გამო უკანასკნელ ხანს შეასუსტა ზემოქმედების ზომები. თუ 1966 წლის მეორე ნახევარში წვრილმანი ხულიგნობისათვის დაპატიმრებული იყო სამართალდამრღვევთა 71,8 პროცენტი, გამასწორებელი სამუშაოები შეეფარდა 4,7 პროცენტს და დაჯარიმდა 19,6 პროცენტი, 1968 წლის პირველ და მეორე ნახევარში შესაბამისად პატიმრობა შეეფარდა მხოლოდ 59,3 და 60,6 პროცენტს, გამასწორებელი სამუშაოები — 10,5 და 11,7 პროცენტს, დაჯარიმდა სამართალდამრღვევთა 25,0 და 23,0 პროცენტი.

ცნობილია, რომ მასალებს წვრილმანი ხულიგნობის შესახებ პირველად განიხილავს მილიციის განყოფილების უფროსი ან მისი მოადგილე, რომელიც ან აჯარიმებს დამრღვევს ან მასალას უგზავნის სახალხო მოსამართლეს. ეს არ გამოირიცხავს სახალხო სასამართლოში სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესაძლებლობას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ რადგან ეს უფლება მილიციის ორგანო-



საც აქვს, მისი გამოყენება სახალხო სასამართლოში უფრო იშვიათად უნდა ხდებოდეს.

წინათ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ცალკეული ავტორები შეუფასებლობას იჩენდნენ გამასწორებელი სამუშაოებისადმი, როგორც წვრილმანი ხულიგნობისათვის ადმინისტრაციული ღონისძიების ერთ-ერთი ზომისადმი<sup>1</sup>. მაგრამ კანონმდებელმა შეინარჩუნა ის და ამით ცნო, რომ გამასწორებელი სამუშაოები ეფექტურია წვრილმან ხულიგნობასთან ბრძოლაში, ხოლო ზოგიერთი მოსამართლე წინანდებურად იშვიათად იყენებს ზემოქმედების ამ ზომას — განსაკუთრებით გამასწორებელი სამუშაოების მოხდას შრომა-გასწორების ინსპექციის მითითებით.

პრაქტიკაში ადგილი აქვს შეფარდებული ზემოქმედების ზომის უკანონო შეცვლას, რაც ყოველთვის არ ხდება პროკურორის რეაგირების საგანი.

სოხუმის რაიონის სახალხო მოსამართლემ 1968 წლის 17 აპრილს ი. ა. მოისიადის 16 აპრილის დადგენილებით შეფარდებული ათი დღის პატიმრობა 20 მანეთის ჯარიმით შეუცვალა და მიღებული გადაწყვეტილების საფუძველად მიუთითა დამრღვევის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციის შუამდგომლობა.

ბრძანებულების მე-17 მუხლი ითვალისწინებს, რომ იმ პირებს, რომელთა მიმართ გამოიყენეს ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიება, უნდა გადახდეთ მათი მოქმედებით გამოწვეული მატერიალური ზარალი. ამით კონკრეტულად და გაძლიერებულია სამართალდამრღვევა პასუხისმგებლობა. მაგრამ ამ შესაძლებლობასაც მოსამართლეები ყოველთვის არ იყენებენ. რაც იწვევს მიყენებული ზიანისათვის დამრღვევთა დაუსჯელობას. შემდგომში კი ეს იწვევს სამოქალაქო დავას ზიანის ანაზღაურებაზე და სხვ.

ადმინისტრაციული ზემოქმედება, როგორც სახელმწიფოებრივი იძულების განსაკუთრებული ფორმა, შეიძლება გამოყენებულ იქნას სამართალდარღვევათა აღმოსაფხვრელად და დამნაშავე პირების აღსაზრდელად, მხოლოდ იმ პირობით, როცა ის შერჩეულია შესაბამისად სამართალდამრღვევი პიროვნების გადაცდომის ხასიათისა და საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, აგრეთვე მისი დროულად აღსრულებით. პრაქტიკაში კი ზემოქმედების ისეთი ღონისძიების შეფარდებისას, როგორც არის გამასწორებელი სამუშაოები, ზოგიერთი მოსამართლე არ ართმევს სამართალდამრღვევს ხელწერილს იმის დასადასტურებლად, რომ მათ განმარტებული აქვთ, თუ რა შედეგებს იწვევს გამასწორებელი სამუშაოების მოხდისათვის თავის არიდება.

დადგენილებას გამასწორებელი სამუშაოების შეფარდების შესახებ ვზავნიან რამდენიმე დღის დავიანებით. ზოგჯერ უფრო გვიანაც, ხოლო დამრღვევების მიმართ ჯარიმის განსაზღვრისას არ იცავენ დადგენილ წესს და მისი გადახდევინების ვადებს, ხოლო ზოგჯერ სულაც არ ახდევინებენ, რაც ასუსტებს გადაცდომათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობას.

სამართალდარღვევებთან, კერძოდ, წვრილმან ხულიგნობასთან ბრძოლის მნიშვნელოვანი საშუალებაა მის წინააღმდეგ დაირაზმოს მთელი საზოგადოებრიობა. მაგრამ გამსვლელ სესიებზე განხილული წვრილმანი ხულიგნობის

<sup>1</sup> იხ. **М. Аниязи**. К вопросу об изменении законодательства об административной ответственности граждан. «Советское государство и право». 1958 г., № 8; **Л. Крахмальник**, **С. Черняев**. Применение исправительно-трудовых работ. «Социалистическая законность», 1967 г., № 7.

მასალების რაოდენობა 1968 წლის პირველ და მეორე ნახევრებში შეადგენს საქმეთა მხოლოდ 1,2 და 0,6 პროცენტს, ეს მაშინ, როცა 1966 წლის მეორე ნახევარში იგი შეადგენდა 2,6 პროცენტს. ამავე პერიოდში მეტად უმნიშვნელოდ გაიზარდა ამხანაგური სასამართლოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის განსახილველად გადაცემული წვრილმანი ხულიგნობის მასალები (2,4—2,6 და 2,7 პროცენტი), ზოგჯერ დადგენილების ასლი დროულად არ ეგზავნება ადმინისტრაციას ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას დამრღვევის მუშაობის, სასწავლებლების ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო მთელ რიგ რაიონებში დადგენილია ფაქტები, რომ მოსამართლეები საერთოდ არ აცნობებენ ამ ორგანოებს ჩადენილი ხულიგნობისა და დამრღვევის მიმართ შეფარდებული ზემოქმედების ზომის შესახებ ან თვალყურს არ ადევნებენ, თუ რა რეაგირება მოახდინეს დადგენილებებზე.

ზოგჯერ ამ ბრძოლის შესუსტება გამოიწვევს წვრილმანი ხულიგნობის და კერძოდ, სხვა ამგვარი მოქმედების, რომლებზეც ლაპარაკია ბრძანებულების პირველ მუხლში, სისხლის სამართლის წესით დასასჯელი ხულიგნობისა და ზოგიერთ სხვა დანაშაულისაგან გამიჯვნის სიძნელეს.

წვრილმანი ხულიგნობის მასალების უმეტესობას შეადგენს ეგრეთწოდებული „საბინაო ხულიგნობა“. ზოგიერთი მოსამართლე საქმის განხილვისას მხედველობაში იღებს მხოლოდ სამართალდარღვევის ადგილს და ამით დიდ შეცდომას უშვებს.


მაგალითად, ქ. სოხუმის სახალხო მოსამართლის, 1968 წლის 14 მაისის დადგენილებაში წვრილმანი ხულიგნობისათვის ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომის შეფარდების შესახებ ნათქვამია, რომ 1968 წლის 13 მაისს არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ვ.ი. სმირნოვმა თავის ბინაზე ატეხა დებოში, გამოთქვამდა უცენზურო სიტყვებს, შეურაცხყოფა მიიყენა თავის ცოლს, აწუხებდა მეზობლებს, ცდილობდა ცეცხლი წაეკიდებინა სამზარეულოსათვის, აიღო ხელთ ორი ნაჯახი, რომლებითაც ემუქრებოდა ცოლს.

უცენზურო სიტყვები, ლანძღვა-გინება საზოგადოებრივ ადგილებში და მოქალაქეთა შეურაცხყოფელი მოქმედება წარმოადგენს წვრილმან ხულიგნობას მხოლოდ მაშინ, როცა ირღვევა საზოგადოებრივი წესრიგი, მოქალაქეთა სიმშვიდე და თავისი ხასიათით ეს მოქმედება არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის არც სისხლის სამართლის წესით დასასჯელი ხულიგნობა, არც წვრილმანი ხულიგნობა.

საზოგადოებრივ წესრიგში უნდა ვიგულისხმოთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში დამყარებული წესრიგი, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ნორმალურ საქმიანობას და დასვენებას. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ხულიგნობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ მოქალაქეთა დასწრებით, რომ „რამდენადაც მომხდარი აურზაური და ჩხუბი არავის არ უნახავს და არ მოუსმენია“<sup>2</sup>, ეს ხულიგნობა არ არის. ხულიგნობა ყოველთვის არ ხასიათდება, საჯაროობის ნიშნით. სამართალდარღვევის არსებობისათვის საკმარისია თვით ფაქტი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა<sup>3</sup>.

<sup>2</sup> В. Анпилогова, А. Гаврилов. Правильно применять законы об ответственности за хулиганство. «Советская юстиция». 1967 г., № 13, стр. 9.

<sup>3</sup> პრაქტიკაში სავსებით კანონიერად და საფუძვლიანად არის შემთხვევები, მაგალითად, ისეთი პირების პასუხისმგებლობაში მიცემისა, რომლებიც მოქალაქეთა დაუსწრებლად ასრულებდნენ თავიანთ ბუნებრივ მოთხოვნილებებს ქუჩებში, პარკებსა და სხვ.



სისხლისსამართლებრივი წესით დასასჯელი ხულიგნობის წვრილმანი ხულიგნობისაგან გამიჯვნის ძირითადი კრიტერიუმია სამართალდარღვევის ხასიათი, რომელიც დამოკიდებულია კონკრეტულ მოქმედებასა და სამართალდამრღვევის პიროვნებაზე, რაც გამოიხატება ქმედობის ობიექტურ მხარეში.

საზოგადოებრივი წესრიგის უხეშად დარღვევის შემთხვევაში, რაც მდგომარეობს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობაში, აგრეთვე იმ ნიშნებში, რაც დამახასიათებელია საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის II და III ნაწილებისათვის, ადგილი აქვს სისხლისსამართლებრივი წესით დასასჯელ ხულიგნობას, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში წვრილმანი ხულიგნობას. ამრიგად, პირის მოქმედება რომელმაც ოჯახში მოახდინა დებოში და კომუნალურ ბინაში დაარღვია მობინადრეთა სიმშვიდე, დასაბუთებულად შეფასებულია როგორც ბოროტეული ხულიგნობა<sup>4</sup>.

გამონაკლისს წარმოადგენს იმ პირის მიერ ჩადენილი წვრილმანი ხულიგნობა, რომლის წინააღმდეგ წლის განმავლობაში გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიება წვრილმანი ხულიგნობისათვის.

რაც შეეხება „სხვა ამგვარ მოქმედებას“, აქ უნდა ვიგულისხმოთ კანონის დისპოზიციაში არააკონკრეტოვებული მოქმედება, რომელიც აგრეთვე არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და მოქალაქეთა სიმშვიდეს, მაგრამ თავისი ხასიათით არ იწვევს სისხლისსამართლებრივი სასჯელის ღონისძიებათა გამოყენებას.

დანაშაული, რომელიც ისჯება სისხლისსამართლებრივი წესით, ყოველთვის უფრო მეტი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია და ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებანი ხელს ვერ შეუწყობენ მის ლიკვიდაციასა და თავიდან აცილებას. ამიტომ არ შეიძლება მოწონებულ იქნას იმ სასამართლოების პრაქტიკა, რომლებიც, მაგალითად, პირს ცნობენ წვრილმანი ხულიგნობის ჩამდენად, თუმცა მასალაში არის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნა დაზარალებულისათვის სხეულის მსუბუქი დაზიანების მიყენების შესახებ, აგრეთვე დაზარალებულის განცხადება დამნაშავის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. მოსამართლეებმა ასეთ დროს უნდა გამოიტანონ დადგენილება წვრილმანი ხულიგნობის შესახებ წარმოების შეწყვეტაზე, ხოლო საკითხი სამართალდამრღვევის პასუხისმგებლობის შესახებ გადაწყვიტონ საქართველოს სსრ სსკ 115 მუხლით მოთხოვნის შესაბამისად. ამასთანავე დასახელებული სამართალდამრღვევნი არ შეიძლება პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი ხულიგნობისათვის მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით, რაც გამოწვეულია პირადი მოტივებით და ამასთანავე მას თან არ ახლდა საზოგადოებრივი წესრიგის და მოქალაქეთა სიმშვიდის დარღვევა<sup>5</sup>.

ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ კერძო ბრალდების საქმეებზე დაზარალებულნი იშვიათად იყენებენ თავიანთ უფლებას. „თუ ასეთ

<sup>4</sup> იხ. «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1966 г., № 11, стр. 7.

<sup>5</sup> იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წლის 3 დეკემბრის დადგენილება № 8 «О ходе выполнения судами задач, вытекающих из решений ЦК КПСС, Президиума Верховного Совета СССР и Совета Министров СССР о мерах по улучшению борьбы с преступностью». «Бюллетень Верховного суда СССР», 1966 г., № 6, стр. 9 — 12.

შემთხვევებში ხულიგნების მიმართ არ იქნება მიღებული ადმინისტრაციული ზემოქმედების სანქციები, ეს არსებითად გამოიწვევს მათს დაუსჯელობას“<sup>6</sup>.

ზემოაღნიშნულს არ შეიძლება დავეთანხმოთ, რადგან ეს თვალსაზრისი მიმართულია სოციალისტური კანონიერების დარღვევისაკენ. რსფსრ-ის უმაღლესი სასამართლოს 1967 წლის 18 მაისის განჩინებაში სოკოლოვის საქმეზე ნათქვამია, რომ ოჯახის წევრების შეურაცხყოფა პირადი ურთიერთობის ნიადაგზე, რაც არ არის დაკავშირებული სახლის მობინადრეთა სიმშვიდის დარღვევასთან, არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც წვრილმანი ხულიგნობა და არ გამოიწვევს ამისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას<sup>7</sup>. ასეთსავე პოზიციაზე დგას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო.

პრაქტიკაში ვხვდებით უფრო უნემ დარღვევებს, როდესაც წვრილმანი ხულიგნობისათვის პასუხისმგებაში მიეცემიან პირები, რომლებმაც სინამდვილეში ჩაიდინეს დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის II ან III ნაწილით.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო მოსამართლის დადგენილებით წვრილმანი ხულიგნობისათვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემულ იქნა გ. ბაღდასარიანი, რომელმაც ქორწილში ყოფნის დროს ძლიერ მთვრალმა ატეხა დებოში, დიდხანს უწმაწურად იგინებოდა, ბოლოს მოიტანა ორლულიანი სანადირო თოფი, რომელიც მოქალაქეთა თანდასწრებით გაისროლა.

ხულიგნობასთან ბრძოლის გაძლიერება უნდა წარმოებდეს სოციალისტური კანონიერების მკაცრად დაცვით. ეს ეხება წვრილმანი ხულიგნობის შესახებ მასალების შედგენის, განხილვისა და გადაწყვეტის მთელ საქმიანობას. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წლის 3 დეკემბრის № 3 დადგენილებაში ნათქვამია, რომ სასამართლო თავის მოღვაწეობისას უნდა გამოდიოდეს იქიდან, რომ დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერება საჭიროა განხორციელდეს სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვით. ყოველივე სისხლის სამართლის საქმე ან მასალა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე გადაწყვეტილი უნდა იქნეს მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების სრული შესაბამისობით, ისე რომ პირი, რომელმაც დანაშაული ან ადმინისტრაციული გადაცდომა ჩაიდინა, სამართლიანად დაისაჯოს და არც ერთი უდანაშაულო არ იქნეს მიცემული პასუხისმგებაში<sup>8</sup>.


წვრილმანი ხულიგნობა ყოველთვის წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, მაგრამ ყოველი გადაცდომა, რასაც მოჰყვა წესრიგის დარღვევა, როდი შეიძლება ჩაითალოს წვრილმან ხულიგნობად. არ შეიძლება, მაგალითად, წვრილმან ხულიგნობად მივიჩნიოთ რ. რუსიას გადაცდომა, რომელმაც ქ. ქუთაისის სახალხო მოსამართლის დადგენილების მიხედვით ბაღში, მთვრალმა დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, რაც იმით გამოიხატა, რომ ის ფეხზე ვერ იდგა, გააცდინა სკოლაში მეცადინეობა, არ დაემორჩილა პედაგოგს და სხვ.

ჯერ კიდევ ხშირია წვრილმანი ხულიგნობის საქმეების მეტისმეტად გამართივებულად განხილვის შემთხვევები, სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას ის შემ-

<sup>6</sup> П. Гришанин, Г. Хабибулин. Мелкое хулиганство и его отличие от уголовно-наказуемого хулиганства. «Советская юстиция» 1968 г. № 10, стр. 14. сб. авторев: Ю. А. Красиков, В. В. Труфанов. Борьба с хулиганством. Издательство Воронежского государственного университета, 1966 г., стр. 6.

<sup>7</sup> «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1967 г., № 9, стр. 9.

<sup>8</sup> «Бюллетень Верховного суда СССР», 1966 г., № 6, стр. 10.



თხვევები, როცა მოსამართლენი არ ამოწმებენ სამართალდარღვევთა განცხადებას, როცა ისინი უარყოფენ გადაცდომაში მონაწილეობას, არ იწვევენ მოწმეებს, 16-დან 18 წლამდე მოზარდების მშობლებს და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, ამძიმებენ ბრალდების ფაბულას ოქმთან შედარებით, დადგენილებებში არ აკონკრეტებენ სამართალდამრღვევთა ბრალს. ამის საშუალებას გავიგოთ, თუ სახელდობრ რაში გამოიხატებოდა სამართალდარღვევა, დაკითხულ იქნა თუ არა სამართალდამრღვევი, რით არის გაბათილებული მისი განმარტება და სხვ.

ასე, მაგალითად, ქ. გორის სახალხო მოსამართლის დადგენილებიდან არა ჩანს, დაკითხულ იქნა თუ არა სასამართლოში სამართალდამრღვევი და სახელდობრ რა მონაცემების საფუძველზე მივიდა მოსამართლე იმ დასკვნამდე, რომ ამრიაშვილმა ჩაიდინა წვრილმანი ხულიგნობა. მოსამართლე დაეყრდნო მხოლოდ მილიციის ორგანოში შედგენილ ოქმს, მაშინ როცა ამრიაშვილის გადაცდომა ოქმშიც არ არის კონკრეტიზებული, რომ შეიძლებოდა იმის დადგენა, თუ სახელდობრ რა სამართალდარღვევა ჩაიდინა მან.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლემ წვრილმანი ხულიგნობისათვის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მისცა ვ. ხულოჯიშვილი. მასალებიდან არ ჩანს, შეუსრულდა თუ არა მას 16 წელი და, მაშასადამე, აგებს თუ არა პასუხს ამ სამართალდარღვევისათვის.

სამართალდარღვევის პიროვნების დაუდგენლობის ფაქტზე მიუთითებს კერძოდ ის, რომ სახალხო სასამართლოებს სათანადო რეაგირების ვარეშე უბრუნდებთ მათ მიერ გავზავნილ დადგენილებათა ასლები ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიების შეფარდების შესახებ, რადგან მასალების განხილვისას მოსამართლისათვის უჩვენებიათ სამართალდამრღვევის გამოგონილი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილი.

ამ დარღვევების თავიდან აცილების მიზნით სწორად მიგვაჩნია მთელი რიგი მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პლენუმების ინიციატივა, რომლებმაც ურჩიეს სახალხო მოსამართლეებს, რომ წვრილმანი ხულიგნობის მასალების განხილვის დროს შეადგინონ ოქმი<sup>9</sup>.

როგორც ზემოთ აღნიშნულ, ისე სხვა დარღვევათა აღმოფხვრა ხელს შეუწყობს წვრილმან ხულიგნობასთან ბრძოლის გაძლიერებას და იმ მიზეზების ლიკვიდაციას, რომლებიც წარმოშობენ ადმინისტრაციულ გადაცდომებსა და დანაშაულობებს.

<sup>9</sup> იხ. Г. Анашкин, Е. Прохорова. Совершенствовать деятельность судов по борьбе с хулиганством. «Социалистическая законность», 1967 год, № 9, стр. 29.

# განუხრალ დავისათ სავაჭოთა კანონის მოთხოვნები

აბ. პანიშვილი,

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე,  
რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი

ცნობილია, რა დიდი ნებისყოფა, ენერგია, გონებამახვილობა და გამოცდილებაა საჭირო ბოროტმოქმედის მიერ ჩადენილი მრავალმხრივად შენიღბული დანაშაულის გახსნისათვის.

საგამომძიებლო დარგის ზოგიერთი მუშაკი ხშირად განსაკუთრებულ კმაყოფილებას გამოთქვამს თუ ეჭვმიტანილმა ან ბრალდებულმა აღიარა დანაშაული და წარდგინდა ბრალდებაში თავი სავსებით დამნაშავედ ცნო. ასეთი თვითკმაყოფილება უმეტესწილად ნაადრევია. ბრალის აღიარება ერთ-ერთი მტკიცებაა. ის მოსაზრება, თითქოს ბრალდებულის აღიარება ყველაზე საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია, დაგმობილია საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში.

სსსკ მე-3 მუხლში აღნიშნულია, რომ ბრალის აღიარებით გამოცხადების შემთხვევაში უნდა გაირკვეს პიროვნების ვინაობა, რის შემდეგ შედგება ოქმი, რომელშიც დაწვრილებით ჩაიწერება განცხადება. ოქმს ხელს აწერს პირი, ვინც ბრალის აღიარებით გამოცხადდა და თანამდებობის პირი, რომელმაც ოქმი შეადგინა. ბრალის აღიარება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ესა თუ ის პირი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დანაშაულის ჩამდენად მივიჩნიოთ. ასეთ შემთხვევაში პირველ რიგში გასარკვევია, მოხდა თუ არა სინამდვილეში დანაშაული. ეს გარემოება იმიტომაც ყურადღების ღირსი და გასარკვევი, რომ პრაქტიკაში იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება, როცა საგამომძიებლო ორგანოებში ბრალის აღიარებით გამოცხადებული პირი ამა თუ იმ მიზეზით ცრუ დასმენას აკეთებს საკუთარ თავზე და საერთოდ ტყუილს ამბობს მომხდარი დანაშაულის შესახებ.

ბრალის უსაფუძვლოდ აღიარების ანუ თვითგანთქმის მოტივებია: მძიმე დანაშაულის დაფარვის მიზნით ნაკლებად მძიმე დანაშაულის თავისთავზე აღება, სურვილი რათა დაფაროს დანაშაულში თანამონაწილენი, განზრახვა, რომ აიცილოს რაიმე საიდუმლოს გამომჟღავნება და სხვა.

ყოველგვარი გაუგებრობისა თუ გაურკვეველობის თავიდან აცილებისათვის საჭიროა განუხრელად შესრულდეს კანონის მოთხოვნა, რომლის შესაბამისადაც სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლვეი პირი ხელმძღვანელობენ რა კანონით და სოციალისტური მართლმეგნებით, დამამტკიცებელ საბუთებს აფასებენ თავიანთი შინაგანი რწმენით, რაც ემყარება საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას მათს ერთობლიობაში (სსსკ 63 მუხლი).

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კანონის ამ სავალდებულო მოთხოვნისათვის

ვერდის ახვევა, დამამტკიცებელი საბუთების სათანადო შეფასების დატოვება და საერთოდ ამ საბუთების არაობიექტურად და არაერთობლიობაში განხილვა გამოუსწორებელ შეცდომებს იწვევს, რაც მოქალაქეთა პასუხისგებაში უსაფუძვლოდ მიცემასა და მათი უფლებების უხეშ დარღვევაში გამოიხატება.

ყვარლის რაიონში მცხოვრები ახალგაზრდები გ. ჩ-ი და ნ. კ-ძე შეთანხმდნენ, რომ დაქორწინებულიყვნენ და შეექმნათ ოჯახი. ნ. კ-ძეს დედა და დედები კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ ნ. კ-ძე გაეთხოვებინათ გ. ჩ-ზე. აკრძალვის მიუხედავად გ. ჩ-ი და ნ. კ-ძე მაინც ხვდებოდნენ ერთმანეთს. გაზაფხულის ერთ დღეს რელიგიურ დღესასწაულზეც ერთად იყვნენ. ისინი გვიან დაბრუნდნენ დღესასწაულიდან. ნ. კ-ძე იმის შიშით, რომ მის საქციელს მკაცრად გააკიცხვდნენ დედა და დედები, შეუთანხმდა გ. ჩ-ს მთელი ღამე ჩ-ს ვენახში ყოფილიყვნენ. მეორე დღეს დილით მივიდა ნ. კ-ძე სახლში.

ნ. კ-ძეს დედამ და დედებმა გაარკვიეს, რომ ნ. კ-ძემ მთელი ღამე გ. ჩ-ს ვენახში გაატარა, რის გამოც ქალიშვილს ჩხუბი დაუწყეს, დედამ კი სცემა კიდევ. ნ. კ-ძემ ვერ აიტანა მკაცრი მოპყრობა და შეურაცხყოფა, დალია წინასწარ მომზადებული საწამლავი, რის შედეგადაც იმავე ღამეს გარდაიცვალა. სიკვდილის შემდეგ ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნით დადგინდა, რომ ნ. კ-ძე ქალწული იყო.

ნ. კ-ძეს დედა და დედები ფიქრობდნენ, რომ თითქოს ნ. კ-ძეს მისივე ამხანაგმა მოტყუებით შეაჯამა აღმგზნები ნივთიერება და თითქოს ამან განაპირობა ნ. კ-ძის გაუპატიურება და თვითმკვლელობა. ამასთან დაკავშირებით ნ. კ-ძეს დედამ საჩივრებიც შეიტანა საგამომძიებლო ორგანოებში, მაგრამ გამოძიებით არ დადასტურდა საჩივრების სისწორე და საქმე შეწყვეტილი იქნა.

ნ. კ-ძის თვითმკვლელობიდან დაახლოებით ორნახევარი წლის შემდეგ ცეცხლმსროლელი იარაღით — თოფით მოკლული იქნა ყვარლის რაიონის სოფ. საბუეში მცხოვრები ნოდარ ბერიაშვილი (ძმა ერთ-ერთი პირისა, რომელზეც ნ. კ-ძეს დედას ეჭვი ჰქონდა, რომ მონაწილეობა მიიღო მისი ქალიშვილის შეცდენაში).

ამ საქმესთან დაკავშირებით დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს ა. სამოილენკო, როგორც მკვლელობის ფიზიკური შემსრულებელი, ხოლო ნ. ზუროშვილი, ზ. იორამაშვილი, რ. იორამაშვილი, მ. იორამაშვილი, ო. ოსიაშვილი, თ. სისაური და ზ. ზუროშვილი კი როგორც წამქეზებლები და დამხმარენი მკვლელობაში.

აღსანიშნავია, რომ გამოძიების პროცესში ბრალდებულები (გარდა დები იორამაშვილებისა) თავს ცნობდნენ დამნაშავედ; ისინი შეთანხმებულად აღწერდნენ როგორც ნოდარ ბერიაშვილის მკვლელობის სურათს, აგრეთვე იმასაც თუ როგორ მოისყიდეს და წააქეზეს ისინი დებმა იორამაშვილებმა.

საგამომძიებლო ორგანოებმა ბრალდებულთა აღიარება და განთქმა საკმარისად მიიჩნიეს და საქმე განსახილველად საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს დაუქვემდებარეს.

სასამართლოს პროცესზე სამართალში მიცემულეებმა შეცვალეს ჩვენებები და კატეგორიულად უარყვეს მკვლელობის ბრალდება, ამასთანავე ახსნეს ცრუ აღიარების მიზეზები და იშუამდგომლეს ზოგიერთი მოწმის დაკითხვისა და საერთოდ იმ მიზეზთა გარკვევის აუცილებლობაზე, რამაც ცრუ ჩვენების მიცემა განაპირობა.



სასამართლომ არ გაიზიარა სამართალში მიცემულთა შუამდგომლობა, არ მიიღო მათი შეცვლილი ჩვენებები და მიუსაჯა: ოთხს 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ერთს — 10 წლით, ხოლო დანარჩენებს — სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა.

სამ წელზე მეტი დაჰყვეს საპატიმროში მსჯავრდებულებმა, თითქმის ყველა ინსტანციებში უშედეგოდ იყო დატოვებული მრავალი საჩივარი ცრუ აღიარებისა და ამის გამო მათი უსაფუძვლო მსჯავრდების შესახებ.

მსჯავრდებულთა ახლობლებმა საბოლოოდ ადვოკატ გ. უგრეხელიძეს მიმართეს. იგი დასაბუთებული საჩივრით გაემგზავრა ქ. მოსკოვში. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ გაიზიარა ადვოკატის მტკიცება განაჩენის უსაფუძვლობისა და საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების აუცილებლობაზე და მისი პროტესტის საფუძველზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განაჩენი გააუქმა და საქმე დამატებით გამოძიებაში დააბრუნა, ხოლო საქართველოს სსრ პროკურატურის შემდგომი გამოძიებით ყველა მსჯავრდებულის მიმართ საქმე წარმოებით შეწყდა.

ამ საქმესთან დაკავშირებით ყურნალმა „დროშამ“ სხვადასხვა დროს სამჯერ გამოაქვეყნა მასალა სათაურით: „კატუნის ქალები“, ქვესათაურით: „ნამდვილი ამბავი“.

წერილების ავტორი თანმიმდევრულად აღწერდა თუ როგორ ამზადდნენ დები იორამაშვილები ნ. ბერიაშვილის მკვლელობას და როგორ დაიყოლიეს მათ მკვლელობის ჩასადენად სხვა პირები.

ნაჩქარევად, ძალიან ნაჩქარევად გამოთქვა თავისი მკაცრი მოსაზრება წერილების ავტორმა. ჩვენ არაფერს ვამბობთ, თუ რისთვის იყო გამიზნული ეს წერილები. ის ფაქტია, რომ მკითხველები განცვიფრდნენ და სავსებით საფუძვლიანი უკმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ იმავე ყურნალ „დროშის“ შემდგომ ნომერში წაიკითხეს პატარა ცნობა იორამაშვილებისა და სხვათა მიმართ საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ. „კატუნის ქალების“ ავტორისადმი უკმაყოფილება იმით იყო გამოწვეული, რომ მკითხველები მოტყუვდნენ, დრო დაკარგეს წერილთა სერიის კითხვით და „ნამდვილი ამბავი“ კი არ აღმოჩნდა ნამდვილი.

საგამომძიებლო ორგანოებს ზემოთ აღწერილ გარემოებათა მხედველობაში მიღებით, თავიდანვე თითქოს ჰქონდათ საფუძველი იმისათვის, რომ მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით ეჭვი აეღოთ იორამაშვილებზე და სხვებზე მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი და არა ერთადერთი ვერსია ბრალდებისა.

შეუტდომელი, ყოველმხრივ საფუძვლიანი დაცვითი პოზიცია აირჩია ადვოკატმა ა. გელოვანმა ს. არუთინოვის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით, რომელიც კისრის არეში მიყენებული ორი ღრმა ჭრილობით გარდაიცვალა.

ეჭვით დააპატიმრეს საშუალო სკოლის მოსწავლე ბ. კილაძე, რომელმაც წინასწარ გამოძიების დროს თავისივე ხელით დაწერილ ახსნა-განმარტებაში აღიარა, რომ ს. არუთინოვი მის მიერ იყო მოკლული. მკვლელობის მოტივიც დაასახელა ბ. კილაძემ და განმარტა, რომ მძიმედ შეურაცხყო იგი ი. ს. არუთინოვმა, უწოდა მას პასიური მამაკაცი და სხვა ამგვარი.

სასამართლო სამსჯავრო სხდომაზე ბ. კილაძემ თავი არ ცნო დამნაშა-



ვედ და წერილობითი ახსნა-განმარტება მკვლელობის ბრალდების აღიარების შესახებ სხვადასხვა მიზეზებით ახსნა.

ადვოკატი ა. გელოვანი ანალიზის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სამართალში მიცემულის მიერ ბრალის აღიარება გამოწვეული იყო მისი სრული ფსიქიკური დაბნეულობით, რის გამოც მოითხოვა საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნება.

სახელმწიფო ბრალდებელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა კილაძის ხელით დაწერილ ახსნა-განმარტებას და სხვა არასაკმაო მამხილებელი მასალების თითქოსდა ერთობლიობაში განხილვით ბრალდებას დადასტურებულად თვლიდა.

ადვოკატის შუამდგომლობა, რომ საქმე საგამომძიებლო ორგანოებს დაბრუნებოდა ნამდვილი მკვლელების აღმოსაჩენად, სასამართლომ არ გაიზიარა და ბ. კილაძეს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუხაჯა.

დაცვით სიტყვაში ა. გელოვანი სასამართლოს ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ მკვლელობა სხვა პირთა მიერ იყო ჩადენილი და რომ ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იქნებოდა ბ. კილაძის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა.

ურყვევი დებულებები წამოაყენა დაცვით სიტყვაში ადვოკატმა ა. გელოვანმა, გონებამახვილურად მოიმარჯვა კანონი და სხვათაშორის შესანიშნავად თქვა, რომ საბჭოთა მართლმსაჯულების „ისტემაში“ ბრალდების აღიარებას მტკიცებათა შორის დაკარგული აქვს მისთვის ძველად მინიჭებული „გვირგვინოსანი დედოფლის“ მნიშვნელობა.

იმის გამო, რომ შუამდგომლობა საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ არ იქნა დაკმაყოფილებული, ამიტომ ა. გელოვანმა ბ. კილაძის უდანაშაულოდ ცნობისა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა იშუამდგომლა სასამართლოში.

საგამომძიებლო ორგანოებმა განაჩენის გამოტანიდან თვის შემდეგ დაადგინეს, რომ ს. არუთინოვის ნამდვილი მკვლელები იყვნენ დ. ბახურაული და ვ. ვარამაშვილი. აღნიშნულის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ბ. კილაძის მიმართ საქმე წარმოებით შეწყვიტა.

სასამართლო ორგანოები ვალდებული იყვნენ იმთავითვე შეემოწმებინათ რით იყო გამოწვეული სამართალში მიცემულთა მიერ ჯერ ბრალის აღიარება და შემდეგ კი ასეთის კატეგორიული უარყოფა.

ბრალის აღიარება, თავისთავად ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ამა თუ იმ პირის მოქმედება თუ უმოქმედობა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების მატარებელია. აღიარების მიღების შემდეგ არც თუ იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა გამომძიებელი შეცდომას უშვებს და ხელს იღებს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევისაგან.

ზოგჯერ ივიწყებენ, რომ ყველა მოქალაქეს არ შესწევს უნარი შეაფასოს ესა თუ ის ქმედობა დასასჯელია თუ არა სისხლის სამართლის წესით.

მგზავრებით დატვირთული ავტობუსი გაჩერებას უახლოვდებოდა, მძღოლმა მ. ძნელაძემ სიჩქარეს უკლო და სწორედ ამ დროს მარჯვენა მხრიდან ველოსიპედმა გადაუსწრო ავტობუსს. ველოსიპედზე ორი ადამიანი იჯდა. მოულოდნელად ველოსიპედის საბარგულზე მჯდომი ახალგაზრდა გადახტა, რის გამოც წინ მჯდომმა წონასწორობა დაკარგა და ველოსიპედით გზა გადაუჭრა

ავტობუსს. მძღოლმა მკვეთრად დაამუხრუჭა ავტომანქანა, საჭე სწრაფად შეაბრუნა მარცხნივ, შეჩერდა და გადმოვიდა მანქანიდან. საშინელი სურათი წარმოუდგა მძღოლს თვალწინ, ავტობუსის უკანა კარებთან თავგატეხილი ახალგაზრდა იწვა და სისხლისაგან იცლებოდა, იგი ადგილზე გარდაიცვალა.

ავტომანქანის მძღოლი ძნელაძე დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს მოძრაობის წესების უხეშად დარღვევისათვის, რასაც შედეგად ადამიანის მსხვერპლი მოყვა. გამომძიებლის შეკითხვაზე ბრალდებულმა უყოყმანოდ უპასუხა, რომ ის თავს დამნაშავედ ცნობდა.

დაეყრდნო რა გამომძიებელი ამ აღიარებას, ძნელაძის ბრალდების საქმე სასამართლოს გადაუგზავნა განსახილველად.

სამართალში მიცემულს ადვოკატთა კოლეგიის წევრი ა. ლომინაძე იცავდა. ადვოკატის შეკითხვაზე, თუ რატომ ცნობს იგი თავს დამნაშავედ, ძნელაძემ უპასუხა: „ადამიანი დაიღუპა, ვინმემ ხომ უნდა აგოს პასუხი“.

სასამართლო პროცესზე ადვოკატის მიერ მოფიქრებულად დასმული შეკითხვებით ტექნიკური ექსპერტი იმ მოსაზრებამდე მივიდა, რომ დასკვნა ძნელაძის მხრივ მოძრაობის წესების დარღვევაზე მცდარი იყო და უბედური შემთხვევა განაპირობა თვით დაზარალებულის მიერ მოძრაობის წესების უხეშად დარღვევამ.

დაცვითი სიტყვის დროს ა. ლომინაძემ საფუძვლიანად დაამტკიცა, რომ მძღოლმა ძნელაძემ ყველაფერი გააკეთა უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, რომ მას არ დაურღვევია მოძრაობის წესები და რომ იგი უდანაშაულო იყო.


სასამართლომ ძნელაძე გაამართლა.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ კანონის მოთხოვნათა ზუსტად დაცვა, საბრალდებო მასალების ობიექტურად და ერთობლიობაში განხილვაა მხოლოდ იმის გარანტია, რომ დადგინდეს ჭეშმარიტება და შეუცდომლად გაირკვეს ვინ არის დამნაშავე.

\* \* \*

კანონი სავალდებულოდ თვლის დანაშაულის სწრაფად გახსნას, დამნაშავეთა მხილებას და ჩადენილი დანაშაულისათვის კვალიფიკაციის სწორად განსაზღვრას. კანონის ამ მოთხოვნის ზუსტად შესრულება განაპირობებს დამნაშავეთა სამართლიან დასჯას, გამორიცხავს უდანაშაულო პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას და მათ უსაფუძვლოდ მსჯავრდებას.

მრავალგვარია დანაშაული. ჩვენ აქ მსჯელობა გვექნება იმ პირთა შესახებ, რომლებიც თანამონაწილეებად ითვლებიან დანაშაულში, აგრეთვე იმ პირებზედაც, რომელთა მოქმედებით ან უმოქმედობით ხდება მოსამზადებელი თუ უკვე ჩადენილი დანაშაულის დაფარვა ან განუცხადებლობა. როცა ამ საკითხს ვარკვევთ პირველ რიგში მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ დაფარვა და განუცხადებლობა დანაშაულის სულ სხვადასხვა სახეებია. პრაქტიკაში არც თუ ისე ხშირად, მაგრამ მაინც გვხვდება შემთხვევები, როცა დანაშაულის განუცხადებლობაში დამნაშავის მოქმედებას დანაშაულის დაფარვის ბრალდებით აკვალიფიცირებენ ან პირიქით. ზოგჯერ დანაშაულის დამფარველს პასუხისგებაში აძლევენ, როგორც თანამონაწილეს — დამხმარეს დანაშაულში. ჩვენი კანონის თანახმად სასჯელის მიზანი მარტო ის კი არ არის, რომ ჩადენილი დანაშაულისათვის დაისჯოს ესა თუ ის პირი, სასჯელი ამასთანავე მიზნად ისახავს



გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს დამნაშავე პირები; ამიტომ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების მუშაკები ვალდებული არიან შეუცდომლად განსაზღვრონ კვალიფიკაცია. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 206 მუხლის შესაბამისად ისჯება სათანადო ხელისუფლების ორგანოებისათვის ან ცალკეულ თანამდებობის პირებისათვის იმის განუცხადებლობა, რომ მზადდება ან ჩადენილია ისეთი დანაშაულობანი როგორცაა: სახელმწიფო ან საზოგადო ქონების დიდი რაოდენობით გატაცება, თაღლითობა, რომელსაც შედეგად მოყვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის დიდი ოდენობით ზარალის მიყენება, განზრახ მკვლელობა, ყაჩაღობა, როგორც სახელმწიფო ან საზოგადო ქონების გატაცების ასევე მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით და გაძარცვა ჩადენილი დიდი ოდენობით.


ყოველი საბჭოთა მოქალაქე მორალურადაა ვალდებული ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ აღიკვეთოს მისთვის ცნობილი დანაშაულის მზადება, ხოლო უკვე ჩადენილი დანაშაულის შესახებ კი დროულად აცნობოს სათანადო ორგანოებს ან თანამდებობის პირებს.

დანაშაულის დაფარვა ყოველთვის დამნაშავე პირის აქტიურ მოქმედებაში გამოიხატება, განუცხადებლობა კი უმოქმედობაა, ე. ი. პირმა იცის, რომ მზადდება ან უკვე ჩადენილია დანაშაული და არ აცნობებს ამის შესახებ სათანადო ორგანოებს თუ თანამდებობის პირებს.

როგორც ითქვა განუცხადებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იყო თუ არა იგი წინასწარ შეპირებული, მაგრამ დამნაშავის წინასწარ შეპირებით დაფარვა კი განიხილება, როგორც თანამონაწილეობა (დამხმარე) დანაშაულში. კანონით გამოიციხულია დანაშაულში თანამონაწილეობა იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულის დაფარვა ხდება წინასწარ შეპირების გარეშე, მაგრამ დანაშაულის დაფარვის შეპირებასთან ერთად დამნაშავე თუ მიზეზობრივ კავშირშია ჩადენილ დანაშაულთან, იმ შემთხვევაში სწორი იქნება მისი ქმედობის თანამონაწილეობის ბრალდებით დაკვალიფიცირება.

სსკ 205 მუხლის შესაბამისად ისჯება დამნაშავის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების ან დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების წინასწარ შეპირების გარეშე დაფარვა იმ შემთხვევაში, როდესაც დაფარული დანაშაულისათვის კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით; იმავე მუხლის II ნაწილით უფრო მკაცრი პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული იმ დანაშაულის დაფარვისათვის, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ათი წლით და მეტი ვადით. დანაშაულის დამფარველი ხელს უშლის სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებს დროულად გაიხსნას დანაშაული, უტყუარად დადგინდეს ჭეშმარიტება და სამართლიანი სასჯელი დაედოთ დამნაშავეებს.

დანაშაულის დამფარველს ყოველთვის შეგნებული აქვს, რომ თავისი მოქმედებით ფარავს ხელისუფლების ორგანოებისაგან დამნაშავეს ან იმ საგნებს, რომლებიც დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, ფარავს ბრალდების დამამტკიცებელ მასალებს და ასეთ მოქმედებას იგი წინასწარი შეგნებით უშვებს. განუცხადებლობისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ყოველთვის არ ეკისრება პირს; კვალიფიციური სახის დანაშაულის განუცხადებლობაში კი რო-



ცა ბრალს ვდებთ მოქალაქეს, საჭიროა ზუსტად იქნეს დადგენილი, რომ მან ნამდვილად იცოდა კვალიფიციური დანაშაულის შესახებ.


მაგალითად სსკ 206 მუხლში აღნიშნულია „განუცხადებლობა იმისა, რომ ნამდვილად მზადდება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება დიდი ან განსაკუთრებული დიდი ოდენობით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ“ და ასე შემდეგ.

პირმა, რომელმაც არ განაცხადა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცების შესახებ, უნდა იცოდეს, რომ დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქონება იყო გატაცებული, თუ ეს ვარემოება არ დადგინდა გამოძიებით, იმ შემთხვევაში გამორიცხული უნდა იქნეს ამ პირისათვის რაიმე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. მოქ. „ლ“-მა იცოდა, რომ „გ“-მ გაქურდა მადანის პატარა წერტი, სადაც უმთავრესად პაპიროსითა და ასანთით ვაჭრობდნენ. „ლ“-მა არ აცნობა ამის შესახებ სათანადო ორგანოებს, იგი იმედოვნებდა და მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ დამნაშავემ უმნიშვნელო რაოდენობის ზარალი მიაყენა სახელმწიფოს, სინამდვილეში კი დიდი ოდენობით აღმოჩნდა გატაცებული ქონება. ასეთ შემთხვევაში „ლ“-ს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ მორალური და არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ „ლ“-სათვის ცნობილი იქნებოდა, რომ დამნაშავემ ისეთი ობიექტი გაქურდა, სადაც დიდი ოდენობის სახელმწიფო თუ საზოგადო ქონება იყო, ან იცოდა რომ დამნაშავე ასეთი ობიექტის გაქურდვას ამზადებდა, იმ შემთხვევაში დაეკისრებოდა მას განუცხადებლობისათვის სსკ 206 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

პირმა შეიძლება არც კი იცოდეს ჩადენილი დანაშაულის დეტალები, მაგრამ თუ ის უშვებს რომ დანაშაულის მზადებით ან უკვე განსახორციელებული დანაშაულით მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა დამნაშავემ სახელმწიფოს თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას იმ შემთხვევაში ეკისრება მას არა მარტო მორალური, არამედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

კანონის თანახმად, თუ განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩადენილ თუნდაც უმნიშვნელო გატაცების შესახებაც არ აცნობებს პირი სათანადო ორგანოს, მისი მოქმედება განიხილება, როგორც დანაშაულის განუცხადებლობა, მაგრამ იმ პირს, ვისაც ბრალი უნდა დაედოს რეციდივისტის მიერ ჩადენილ დანაშაულის განუცხადებლობაში, უნდა დავუმტკიცოთ, რომ მან წინასწარ იცოდა — დანაშაული განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ იყო ჩადენილი. თუ საფუძვლიანი მასალები არ იქნება ასეთის მტკიცებისათვის, მაშინ მოხსნილი უნდა იქნეს დანაშაულის განუცხადებლობის ბრალდება. „მ“ 4-ჯერ იყო ნასამართლევი ქურდობისა და სხეულის მძიმე დაზიანებისათვის, ბოლოს მეხუთეჯერ მან თავის მეზობელს 2 ინდაური მოპარა, უკანასკნელად ჩადენილი ქურდობის შესახებ იცოდა მოქ. „კ“-მ, მაგრამ არ განაცხადა სათანადო ორგანოებში. „კ“ პასუხისგებაში მისცეს საქართველოს სსრ სსკ 206 მუხლით და წარუდგინეს ბრალდება, რომ მან არ განაცხადა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

მართალია მოქ. „კ“ იცნობდა „მ“-ს, მაგრამ როგორც მან განმარტა არ იცოდა თუ ის მრავალჯერ ნასამართლევი და განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი იყო. ამ განმარტების გასაბათილებლად და იმის დასამტკიცებლად, რომ „კ“-მ ნამდვილად იცოდა „მ“-ს მიერ მრავალჯერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ და იმის შესახებაც, რომ იგი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი იყო



ნერ იქნა შეგროვილი მასალები, რის გამო „კ“-ს მიმართ საქმე წარმოებით შეწყდა.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულში თანამონაწილეობისა და დანაშაულის დაფარვის სახეობათა ზუსტად გარკვევას. კანონის აშკარა დარღვევა იქნება დანაშაულის ამ ორი სხვადასხვა სახის ერთმანეთში აღრევა.


თანამონაწილეობა, როგორც წესი, გულისხმობს ორი ან რამდენიმე პირის წინასწარ შეთანხმებას ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენისათვის. თანამონაწილეთა საქმიანობა პირველ რიგში მოქმედებით უნდა გამოიხატოს. პრაქტიკაში კი არის ისეთი შემთხვევებიც, როცა უმოქმედობას იჩენს ესა თუ ის პირი, რითაც არსებითად ხელს უწყობს დანაშაულში მონაწილე სხვა პირებს ბოროტი განზრახვის სისრულეში მოყვანის უზრუნველსაყოფად.

ერთ-ერთი რაიონის კოლმეურნეობის გამგეობამ მეველედ გამოჰყო „დ“, რომლის მოვალეობას შეადგენდა დაეცვა ნათესები. პირველ ხანებში იგი კარგად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. „დ“ თავისუფალ დროს ატარებდა თავის ნათესავ „გ“-თან, რომელიც ხშირად კარგად უმსპინძლდებოდა კიდევ მასს ერთ დღეს „გ“-მ თავისი კუთვნილი პირუტყვი შერევა საკოლმეურნეო ნათესებში, რითაც საკმაოდ დიდი ზარალი მიაყენა კოლმეურნეობას: „დ“-ს არაერთი წინააღმდეგობა არ გაუწევია და რასაკვირველია არც უცნობებია ამის შესახებ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობისათვის. სწორად მოიქცნენ საგამომძიებლო ორგანოები როცა „დ“-ს უმოქმედობა დააკვალიფიცირეს, როგორც თანამონაწილეობა („გ“-სთან ერთად) დანაშაულში. ამ საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ „დ“ წინასწარ იყო შეპირებული დაფარვდა „გ“-ს მიერ ჩადენილ დანაშაულს.

დანაშაულში თანამონაწილეობის ბრალდების მტკიცებისათვის არკმარა მარტო იმის გარკვევა, რომ დადგინდეს პირთა შორის ქმედობის მიზეზობრივი კავშირი, საჭიროა გაირკვეს და შეუტდომლად დადგინდეს აგრეთვე არსებობდა თუ არა წინასწარი განზრახვა დანაშაულის ჩადენისათვის.

ავტობუსში მგზავრობის დროს მოქ. „ვ“-ს ქურდმა „ე“-მ ჯიბიდან საფულე ამოაცალა და სწრაფად წავიდა, რათა ავტობუსის ღია წინა კარიდან გასულიყო და მიმალულიყო. დაზარალებულმა „ვ“-მ საეჭვოდ ჩათვალა „ე“-ს მოქმედება, ჯიბეზე ხელი იტაცა, საფულე აღარ ჰქონდა და უმაღვე დარწმუნდა, რომ „ე“-მ ამოაცალა ასეთი ჯიბიდან. „ვ“-მ დაუყვირა ავტობუსის მძღოლს რათა დაუყოვნებლივ დაეკეტა ავტობუსის წინა კარი, მძღოლი ასეც მოიქცა, სწრაფად დაკეტა კარი და საშუალება არ მისცა ქურდს მიმალულიყო. ავტობუსის მძღოლი დარწმუნებული იყო, რომ დაზარალებული ქურდს დაიჭერდა, გატაცებულ საფულეს დაიბრუნებდა და დამნაშავეს მილიციის ორგანოებში წარადგენდა. აღვლევებულმა „ვ“-მ ჯიბიდან ფინური დანა ამოიღო და რამდენიმე დარტყმით ქურდი „ე“ ადგილზევე მოჰკლა. მძღოლის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მექანიკური და არა იურიდიული მიზეზობრივი კავშირია. ამიტომ და იმისათვისაც, რომ მკვლელობის განზრახვა სავსებით გამორიცხულია მძღოლს არ შეიძლება დაეკისროს რაიმე პასუხისმგებლობა.

ამა თუ იმ პირის მიზანი, რომ დანაშაული ჩადენილი იქნეს და ამასთანავე მისგან წინასწარ შეპირება, რომ ეს დანაშაული დაფარული იქნება, მხოლოდ ეს გარემოებები იძლევა საფუძველს დანაშაულის თანამონაწილეობის ბრალდებით დაკვალიფიცირებისათვის.



მოქ. „ა“-ს მისმა ნაცნობებმა განუცხადეს, რომ ბათუმიდან მიიღეს ტყავი, არ ყოფნით საწყობში ადგილი მის შესანახად და თხოვეს დროებით ეთხოვებიათ მათთვის სარდაფი. „ა“ დათანხმდა ამ თხოვნაზე იმ პირობით თუ მას სარდაფის დაკავებისთვის სათანადო თანხას მისცემდნენ. მეორე დღეს „ა“-ს სარდაფში მიიტანეს დიდი რაოდენობის ტყავი. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ „ა“-მ გაიგო, რომ ტყავები თბილისის № 1 ფეხსაცმელების ფაბრიკიდან იყო გატაცებული, რის გამოც ბოროტმოქმედთა მიერ მის კუთვნილ სარდაფში მიტანილი ტყავი კახეთში წაიღო და ნაცნობ-მეგობრებთან გადამალა. „ა“ და მისი ოჯახის ის წევრები, რომლებიც მას თავის სარდაფიდან ტყავების გატანაში დაეხმარა პასუხისმგებლობაში მისცეს, როგორც თანამონაწილეები ტყავის გატაცებაში. სახალხო სასამართლომაც სწორად ცნო წარდგენილი ბრალდება და სხვადასხვა სასჯელი შეუფარდა დამნაშავეებს.

არ იყო დადგენილი „ა“-ს მიზანი № 1 ფაბრიკიდან ტყავების გატაცებაზე და ამასთანავე თავის მხრივ არავითარ წინასწარ შეპირებასაც არ ჰქონია ადგილი, რომ იგი დაფარავდა დანაშაულს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა საფუძვლიანად შეასწორა „ა“-ს და მისი ოჯახის ზოგიერთი წევრის მიმართ გამოტანილი განაჩენი, დამნაშავეებად იცნო ისინი არა როგორც თანამონაწილენი სახელმწიფო ქონების გატაცებაში, არამედ დანაშაულის კვალის წინასწარ შეპირების გარეშე დაფარვაში და შესაბამისად შეუმცირდათ სასჯელიც.

საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების მუშაკები კანონის შესაბამისად მოვალენი არიან ყოველმხრივ შეისწავლონ საქმის გარემოებანი, სრულად და ობიექტურად გაარკვიონ დანაშაული და დამნაშავეთა მიმართ გამოიყენონ კანონი, რომელიც ზუსტად შეესაბამება მათ მიერ ჩადენილ ქმედობას. ამ სავალდებულო მოთხოვნათა შეუსრულებლობა და გამოყენება იმ კანონისა, რომელიც არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული, საფუძველი ხდება გამოტანილი განაჩენის გაუქმებისათვის.

# საქართველოს სსრ მოსახლეობის კვლევანაკრძების საკითხისათვის

ბ. ხაჩიძე,

საქართველოს სსრ ცხს უფროსის მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი


მოსახლეობის კვლევანაკრძება ყოველთვის იყო და არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის საგანი. ეს სხვანაირად წარმოუდგენელია, რადგან სოციალიზმის პირობებში ადამიანი მთავარი მწარმოებელი ძალა და უძვირფასესი კაპიტალია.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ადამიანი ზედმეტი ღირებულების წარმოების წყაროა. იქ გარდუვალია მოსახლეობის შეფარდებითი სიჭარბე, ქრონიკული უმუშევრობა, მშრომელთა ცხოვრების დონის შეფარდებითი და აბსოლუტური გაუარესება. ჩვენში მოსახლეობის შეფარდებითი სიჭარბე წარმოუდგენელია, რადგან როგორც არ უნდა ამდლდეს პროდუქციის კვლევანაკრძების და შრომის ნაყოფიერების დონე, უმუშევრობა მაინც არ წარმოიშვება, რადგან მოთხოვნილების შენელება შრომით რესურსებზე ჩვენთან სამუშაო დღის ხანგრძლივობის შემცირებითა და შრომის პირობების გაუმჯობესება-გაადვილებით დაბალანდება. საბჭოთა კავშირში სისტემატურად იზრდება მოსახლეობის წილი ეროვნულ შემოსავალში როგორც შეფარდებით, ისე აბსოლუტურად. თანმიმდევრულად იზრდება რეალური შემოსავალიც.

საბჭოთა კავშირში ზრუნვა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა და კულტურის დონის ამღლებისათვის დაკისრებული აქვს რამდენიმე უწყებას, კერძოდ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს, პროფკავშირებს, სოციალური და სახელმწიფო დაზღვევის, აგრეთვე საკურორტო მომსახურების ორგანოებს. მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი, რომ წარმატებით განახორციელონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები. მათი საქმიანობის საზომს უნდა წარმოადგენდეს ადამიანთა დაავადებისა და მოკვდაობის მაქსიმალურად დაბალი დონის მიღწევა. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობა იმის მიხედვით კი არ უნდა შეფასდეს, თუ რამდენი ექიმი რესპუბლიკაში, ან რამდენი საავადმყოფო და საწოლია, არამედ იმის მიხედვით, თუ მოსახლეობის გარკვეულ რიცხვზე (მაგალითად, ათას მცხოვრებზე) რამდენია გარდაცვალების შემთხვევა, განსაკუთრებით კი როგორია 1 წლის ასაკამდე ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი.

თუ გავითვალისწინებთ ჩვენი რესპუბლიკის პირობებს როგორც კლიმატურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, ისე კურორტების, სანატორიუმების, დასასვენებელ სახლთა ქსელისა და ექიმების რიცხვის მიხედვით (ამ უკანასკნელი მაჩვენებლის დონის მხრივ საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს როგორც სსრ კავშირში, ისე მსოფლიოში), უნდა დავასკვნათ, რომ მოსახლეობის მოკვდაობის დონე ჩვენთან შესაბამისად უფრო დაბალი უნდა იყოს, ვიდრე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში და მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში. სამუშაოდ, ეს ჯერჯერობით არ არის მიღწეული.





მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლები, როგორც ცნობილია, შობადობისა და მოკვდაობის დონით ხასიათდებიან. რაც უფრო დიდია შობადობის კოეფიციენტი და დაბალია მოკვდაობის დონე, მით უფრო დიდია მოსახლეობის ბუნებრივი ზრდისა და სიცოცხლის ხანგრძლიობის კოეფიციენტი.

იანვინილოთ ეს მაჩვენებლები პერიოდებად იმ მონაცემების მიხედვით, რაც მოგვეპოვება.


რევოლუციამდელ და საბჭოთა პერიოდის პირველ წლებზე პირდაპირი ცნობები შობადობისა და მოკვდაობის დონეთა შესახებ არ გავაჩნია. ზოგიერთი საეკლესიო ჩანაწერი არასრულია და არ წარმოადგენს საბუთს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს შეეძლოთ შეისწავლონ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მდგომარეობა მაშინდელ საქართველოში. შედარებით სანდო და სისტემატიზებული ცნობები შობადობა-მოკვდაობაზე მოგვეპოვება მხოლოდ 1933—1935 წლებიდან, თუმცა მათი გამოყენებაც არ შეიძლება, თუ სათანადოდ არ იქნა დაზუსტებული და შესწორებული.

ცნობების უსრულობაზე მეტყველებს „კავკასიის კალენდარში“ გამოქვეყნებული მაჩვენებლები, რომელიც შეეხება რევოლუციამდელ საქართველოში დაბადებასა და გარდაცვალებას. მათ საფუძველზე აღებული აბსოლუტური და შეფარდებითი კოეფიციენტები შემდეგ სურათს იძლევიან:

	1884 წ.	1908 წ.	1915 წ.
დაბადებულთა რიცხვი (ათასობით) . . . . .	51,7	68,4	68,4
გარდაცვლილთა რიცხვი (ათასობით) . . . . .	12,7	41,2	41,0
შობადობის კოეფიციენტი—ათას სულ მცხოვრებზე (პრომილი)	37	28	24
მოკვდაობის კოეფიციენტი (პრომილი) . . . . .	14	17	15
ბუნებრივი ზრდის კოეფიციენტი (პრომილი) . . . . .	23	11	9
სიცოცხლიანობის კოეფიციენტი (დაბადებულთა რიცხვის შეფარდება გარდაცვლილთა რიცხვთან) . . . . .	2,7	1,6	1,6

იგივე ითქმის გასაბჭოების შემდგომი პერიოდის პირველი წლების მონაცემებზეც. მაგალითად, 1925 წელს მაჩვენებლები შემდეგნაირია: დაბადებულთა რიცხვი 67,5 ათასი, გარდაცვლილთა — 22,3 ათასი, შობადობის კოეფიციენტი — 26 პრომილი, (ე. ი. 26 შემთხვევა ყოველ 1000 მცხოვრებზე), მოკვდაობისა — 9, ბუნებრივი ზრდის — 17 პრომილი, ხოლო სიცოცხლიანობისა — 2,9. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცნობები როგორც შობადობაზე, ისე, განსაკუთრებით, მოკვდაობაზე არასრულია, რაც ცალკეული წლებისათვის სხვადასხვა ზომით იგრძნობა. მაგალითად, 1915 წლისათვის შობადობის მაჩვენებლები დაახლოებით 30—35 პროცენტით ნაკლებია მოსალოდნელზე, ხოლო გარდაცვლილებისა — 1,5-ჯერ მცირეა. დაახლოებით იგივე ითქმის დანარჩენ წლებზეც. ძნელად დასაჯერებელია, რომ 1925 წელში მოკვდაობის კოეფიციენტი მხოლოდ 9 პრომილს შეადგენდეს, ხოლო შობადობისა — 26 პრომილს. სსრ კავშირის მასშტაბით შესაბამისი მაჩვენებლები შემდეგი კოეფიციენტებით ხასიათდება: 1913 წელი: შობადობა — 47,0 პრომილი, მოკვდაობა—30,2; 1926 წელი: შობადობა — 44,0 პრომილი, მოკვდაობა — 20,3 (ყოველ 1000 მცხოვრებზე).

დაბადება-გარდაცვალების აქტების რეგისტრაციის უსრულობა გამოწვეუ-



ლი იყო იმით, რომ სიცოცხლის პირველ დღეებსა და საათებში გარდაცვლილ ბავშვთა საგრძნობი ნაწილი აღურიცხავი რჩებოდა, რადგან მშობიარობა არსებითად საექიმო დახმარების გაუწევლად წარმოებდა — ექიმბავშვის მეშვეობით.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის აქტების რეგისტრაციის უსრულლობის გამო ამ წლებში შობადობის დონის დასადგენად, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ძირითადი სავარაუდო მასალა მოსახლეობის აღწერის ცნობები ასაკობრივი შინამდგენლობის მიხედვით. კერძოდ, შობადობის დონის განსაზღვრისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას აღწერილ ბავშვთა რიცხვი ერთი წლის ასაკამდე, რასაც უნდა დავმატოთ იმავე ასაკში გარდაცვლილთა სავარაუდო რიცხვი, რაც ცალკეულ პერიოდებში სხვადასხვაა. მაგალითად, მეფის რუსეთის ევროპულ ნაწილში ერთი წლის ასაკამდე ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი 1897 წელს 279 ყოველ ათას დაბადებულზე, 1926—1927 წლებში — 187, ხოლო 1958—1959 წლებში — 41; ადამიანთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა იმავე წლებზე ნავარაუდევია: 1896—1897 წ.წ. — 32, 3 წელი; 1926—1927 წ.წ. — 44,4 წელი, 1958—1959 წლებისათვის — 69 წელი, მათ შორის მამაკაცებსათვის — 64,4 წელი, ქალებსათვის — 71,7 წელი.

თუ დავუშვებთ, პირობით, საქართველოსათვის ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტს შედარებით ნაკლები დონით, ვიდრე ნავარაუდევია ძველი რუსეთისა და სსრ კავშირის ევროპული ნაწილისათვის, შობადობის წლიური კოეფიციენტები 1896—97 წლებში დაახლოებით 36 პრომილი იქნება, 1926—1927 წლებში — 38 პრომილი (ყოველ 1000 მცხოვრებზე).

აქვე მივუთითებთ გაანგარიშების სავარაუდო მეთოდზე აღნიშნული წლებისათვის: 1897 წლის აღწერით ბავშვთა რიცხვა 1 წლის ასაკამდე დაახლოებით 50 ათასი შეადგინა. ამავე ასაკში მოკვდაობის კოეფიციენტი პირობით 250 პრომილის დონეზე ავიღეთ — ყველა ათას დაბადებულზე (ნაცვლად რუსეთის ევროპული ნაწილისათვის ნავარაუდევი 279-სა). ამის მიხედვით 1896—97 წლებში დაბადებულთა საშუალო წლიური რიცხვი 67 ათასი იქნება ( $50 \text{ ათასი} \times 1000 : 750$ ), ხოლო შობადობის კოეფიციენტი, დაახლოებით, 36 პრომილი (1896—97 წლებისათვის მოსახლეობის საშუალო წლიურ რიცხვს 1860 ათასის ზომით ვიღებთ — აღწერამ, რომელიც 1897 წლის თებერვალში ჩატარდა, მოგვცა 1894 ათასი). 1926 წლის აღწერით, რომელიც დეკემბერში ჩატარდა, მოსახლეობა საქართველოში 2677 ათასს შეადგენდა, ხოლო მათ შორის ბავშვებისა ერთ წლამდე — 83,3 ათასს. თუ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტად ავიღებთ, პირობით, 170 პრომილს ნაცვლად 187-ისა, რომელსაც ვარაუდობს სსრ კავშირის ქსნ საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილისათვის, წლის მანძილზე დაბადებულთა რიცხვი დაახლოებით 100 ათასი იქნება ( $83,3 \times 1000 : 830$ ), რომლის მიხედვითაც შობადობის კოეფიციენტი მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხვის მიხედვით (დაახლოებით 2650 ათასი) 38 პრომილი იქნება (ყოველ ათას მცხოვრებზე).

შედარებით რთულია მოკვდაობის საშუალო წლიური კოეფიციენტების განსაზღვრა რევოლუციამდელი და საბჭოური პერიოდის პირველ წლებზე.

ვინაიდან პირდაპირი მონაცემები არ გავგაჩნია, იძულებული ვართ აქაც გამოვიყენოთ გაანგარიშების სავარაუდო ხერხი.

მოსახლეობის რიცხვი დღევანდელ საქართველოს საზღვრებში 1897 წლის თებერვლის აღწერით შეადგენდა 1894 ათასს, ხოლო 1913 წლისათვის მას სსრ

კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო 2601 ათასის ზომით ანგარიშობს. ამ ორი აბსოლუტური მონაცემის მიხედვით მოსახლეობის ყოველწლიური საშუალო ნამატი 18 პრომილს შეადგენს. ამ კოეფიციენტზე, ცხადია, სათანადო გავლენას ახდენს არა მარტო ბუნებრივი (შობადობა, მოკვდაობა), არამედ მექანიკური ზრდის (მიგრაცია) მაჩვენებლებიც.

თუ მექანიკური მოძრაობის ნამატად ყოველწლიურად 5 პრომილს ვივარაუდებთ (ძირითადად რუსი და სომეხი ეროვნების ხარჯზე), რაც დასტურდება აღწერებისა და მიმდინარე გამოკვლევების მონაცემებით, მაშინ მოსახლეობის საშუალო ბუნებრივი ნამატი 13 პრომილი იქნება. აქედან კი მოკვდაობის კოეფიციენტი შობადობისა და ბუნებრივი ნამატის კოეფიციენტთა უბრალო გამოკლებით მიიღება (36—13) — 23 პრომილი. აღნიშნული კოეფიციენტები საორიენტაციოა, მაგრამ სხვა საშუალება ჩვენ არ მოგვეპოვება.

ამრიგად, რევოლუციამდელი (1897—1913 წ.წ.) საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დასახასიათებლად, ჩვენი აზრით, შემდეგი საშუალო წლიური კოეფიციენტები უნდა იქნას ნავარაუდები:

შობადობის — 36 პრომილი, მოკვდაობის — 23 პრომილი, ბუნებრივი მატების — 13 პრომილი, სიცოცხლიანობის — 1,6 (36:23).

როგორც აღწერის მონაცემები (1922 წ. ქალაქის მოსახლეობის, 1923 წ. სოფლის მოსახლეობის, 1926 წ. მოსახლეობის საკავშირო აღწერა), ისე მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის არასრული ცნობები მიუთითებენ, რომ 1921 წლიდან მოსახლეობის ბუნებრივი ნამატი რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით უფრო მეტია. ამავე დროს ემჩნევა მოსახლეობის მექანიკური მატების ღონის შემცირება სხვა რესპუბლიკების ხარჯზე. 1921—1927 წლების პერიოდებისათვის მოსახლეობის კვლავწარმოების საშუალო წლიური კოეფიციენტი, ჩვენი აზრით, შემდეგი ზომით უნდა იქნას ნავარაუდები: შობადობის — 38 პრომილი, მოკვდაობის — 20 პრომილი, ბუნებრივი ზრდის — 18 პრომილი, სიცოცხლიანობის — 1,9 (38:20).

1928—32 წლებისათვის მოსახლეობის კვლავწარმოების დონე დაახლოებით უცვლელია. მართალია, მცირდება შობადობის კოეფიციენტი, მაგრამ შესაბამისად მცირდება მოკვდაობის მაჩვენებელიც. ამ პერიოდზე შობადობის კოეფიციენტი უნდა ვივარაუდოთ დაახლოებით 34 პრომილი, მოკვდაობისა—16, ბუნებრივი ზრდის კოეფიციენტი კვლავ 18 პრომილის დონეზეა. ამ პერიოდისათვის (I ხუთწლელი) დამახასიათებელია მოსახლეობის მექანიკური ზრდის შედარებით მაღალი მაჩვენებელი სხვა რესპუბლიკების ხარჯზე (დაახლოებით 7—8 პრომილამდე).

1933—1958 წლებისათვის შობადობის სავარაუდო კოეფიციენტი დაახლოებით 29 პრომილი იქნება, მოკვდაობისა — 12, ბუნებრივი ნამატისა—17 პრომილი; მექანიკურ ზრდას ამ პერიოდში სხვა რესპუბლიკების ხარჯზე 6—7 პრომილის ოდენობით ვვარაუდობთ. მოსახლეობის საშუალო წლიურმა მატებამ 1927—1939 წლების მანძილზე 23 პრომილი შეადგინა (აღწერების მიხედვით).

1940 წელს შემდგომ პერიოდში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის კოეფიციენტები შემდეგი ზომით არის გაანგარიშებული რესპუბლიკის ცსს მიერ და დადასტურებულია სსრ კავშირის ცსს გამოცემებით.

(პრომილებით)

	შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი ნამატო
1940 წელი	27,4	8,8	18,6
1950	23,5	7,6	15,9
1960	24,7	6,5	18,2
1965	21,0	6,9	14,1
1966	20,1	6,6	13,5
1967	19,3	7,1	12,2

აღნიშნული გაანგარიშება შესრულებულია მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის მონაცემთა საფუძველზე, რაშიც შეტანილია მცირეოდენი შესწორებანი.

ამ ცნობების განხილვისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სამამულო ომის შედეგების ზეგავლენა შობადობის მაჩვენებლებზე, განსაკუთრებით 1942—1946 წ.წ. იმის გამო, რომ სათანადო ასაკის მამაკაცების უმრავლესობა გაწვეული იყო საბჭოთა არმიაში, 2—3-ჯერ შემცირდა დაბადებულთა რიცხვი. ამან ჯეროვანი გავლენა მოახდინა შემდგომ წლებზეც. 23—28 წლიანები (1942—46 წ.წ. დაბადებულნი) ამჟამად გაცილებით ნაკლებია, ვიდრე 29—34 წლიანები (1936—1941 წ.წ. დაბადებულნი). იმის გამო, რომ ფრონტზე დაიღუპა სათანადო ასაკის მამაკაცთა დიდი ნაწილი, საგრძნობლად დამახინჯდა მოსახლეობის ნორმალური ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურა, შემცირდა მოსახლეობის შობადობის, ქორწინების, ბუნებრივი ზრდისა და სიცოცხლიანობის კოეფიციენტები. ამით არის გამოწვეული, რომ 1939—1959 წლების აღწერების მონაცემებით რესპუბლიკის მოსახლეობის საშუალო წლიური მატება მხოლოდ 6—7 პრომილით განისაზღვრება ნაცვლად 18—23 პრომილისა სხვა თანაბარ პირობებში. ჩვენი ვარაუდით, ომი რომ არ ყოფილიყო, საბჭოთა საქართველოს მოსახლეობა 1968 წლის დასაწყისისათვის იქნებოდა არა 4,7 მილიონი, არამედ 5,7 მილიონი (მექანიკური მატების მხედველობაში მიუღებლად).

ამრიგად, საქართველოში შესამჩნევია როგორც შობადობის, ისე მოკვდაობის კოეფიციენტების შემცირების ტენდენცია. თუ მოკვდაობის დონის შემცირება დადებითი მოვლენაა და შედეგია დიდი ყურადღებისა და იმ დონისძიებებისა, რომლებიც ხორციელდება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხაზით, შობადობის დონის შემცირება, გარდა ომის გავლენისა, მთელ რიგ სხვა ფაქტორებთან არის დაკავშირებული. სტატისტიკური მონაცემების დაჯგუფება (სსრ კავშირის მასშტაბით) რაიონების, ოლქების, რესპუბლიკების, საზოგადოებრივი ჯგუფების, პროფესიის, განათლების დონისა და ეროვნებათა მიხედვით ცხადყოფს, რომ შობადობის კოეფიციენტის ზომა, როგორც წესი, უკუპროპორციულ დამოკიდებულებას აქვს ცოლ-ქმრის მატერიალურ-კულტურულ და განათლების დონესთან. რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებლები, მით უფრო იგრძნობა შობადობისაგან თავშეკავების ტენდენციები. ასეთი პირობების მქონე მშობლებზე საშუალოდ შობადობის 1—2 შემთხვევა თუ მოდის. მაგალითად, უმაღლესი განათლების მქონე ეროვნებრივი შრომის მუშაკებში (აკადემიკოსები, პროფესორები, დოცენტები, მეცნიერი მუშაკები, ექიმები, ინჟინრები და სხვა მსგავსი პროფესიების პირნი) შობადობის კოეფიციენტი დაახლოებით ორჯერ დაბალია, ვიდრე ფიზიკური შრომით დასაქმებულ და შედარებით დაბალი თა-

საქართველო  
სსრ

ნამდებობისა და განათლების მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა შორის. გარდა ამისა, მნიშვნელობა ენიჭება რელიგიურ და საყოფაცხოვრებო ჩვევების ზასიათსა და გადმონაშთებს ცალკეულ ოლქებში, რესპუბლიკებსა და ეროვნებებში. ზოგიერთ ეროვნებათა შორის, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის აზიურ ნაწილში, უფრო ნაკლებად არის გავრცელებული საექიმო ჩარევა შობადობის განსაზღვრულობაში (მხედველობაშია აბორტები), ვიდრე ევროპულ ნაწილში. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად ისიც უნდა ჩაითვალოს, თუ როგორია მოთხოვნილებათა და ჩვევათა დონე ბავშვების აღზრდაში, ჩაცმა-დასუტრვაში, საბინაო და სხვა სათანადო პირობების მხრივ. მოქალაქეთა ერთი ნაწილი თავს იკავებს ქორწინებისაგან შესაბამისი პირობების უქონლობის გამო.

დაბადება — გარდაცვალებისა, ბუნებრივი ზრდისა და სიცოცხლიანობის დონის დასახასიათებლად ქვემოთ მივუთითებთ ფაქტიურ მონაცემებზე ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით, რაც საშუალებას იძლევა გაკეთდეს სათანადო ანალიზი და გამოტანილ იქნას ჯეროვანი დასკვნები ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობის კვლავწარმოების საქმეში.

	შობადობის კოეფიციენტი (ყოველ 1000 მცხოვრებზე)		მოკვდაობის კოეფიციენტი (ყოველ 1000 მცხოვრებზე)		ბუნებრივი ზრდის კოეფიციენტი (ყოველ 1000 მცხოვრებზე)		ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი 1 წლამდე (ყოველ 1000 დაბადებულზე)		მოსახლეობის სიცოცხლიანობის კოეფიციენტი (დაბადებულთა შეფარდება გარდაცვლებულთა რიცხვთან)	
	1960	1965	1960	1965	1960	1965	1960	1965	1960	1965
სსრკ	24,9	18,4	7,1	7,3	17,8	11,1	35	27	3,5	2,5
რსფსრ	23,2	15,8	7,4	7,6	15,8	8,2	37	27	3,1	2,1
უკრაინის სსრ	20,5	15,3	6,9	7,6	9,5	7,7	30	20	3,0	2,0
ბელორუსიის სსრ	24,5	17,9	6,6	6,8	17,9	11,1	35	23	3,7	2,6
უზბეკეთის სსრ	39,9	34,7	6,0	5,8	33,9	24,9	28	30	6,7	6,0
ყაზახეთის სსრ	36,7	26,2	6,5	5,8	30,2	20,4	37	27	5,6	4,5
საქართველოს სსრ	24,7	21,0	6,5	6,9	18,2	14,1	37	34	3,8	3,0
აზერბაიჯანის სსრ	42,6	36,4	6,7	6,3	35,9	30,1	43	39	6,4	5,8
ლიტვის სსრ	22,5	18,1	7,8	7,9	14,7	10,2	38	24	2,9	2,3
მოლდავეთის სსრ	29,2	20,4	6,4	6,2	22,8	14,2	48	33	4,6	3,3
ლატვიის სსრ	16,7	13,9	10,0	10,1	6,7	3,8	27	19	1,7	1,4
ყირგიზეთის სსრ	36,8	31,0	6,1	6,4	30,7	24,6	30	35	6,0	4,8
ტაჯიკეთის სსრ	33,5	36,5	5,1	6,5	28,4	30,0	30	39	6,6	6,6
სომხეთის სსრ	40,3	29,1	6,8	5,8	33,5	23,3	50	37	5,9	5,0
თურქმენეთის სსრ	42,4	37,2	6,5	7,0	35,9	30,2	43	52	6,5	5,3
ესტონეთის სსრ	16,6	14,8	10,5	10,6	6,1	4,2	31	20	1,6	1,4

ამ ცნობებიდან ირკვევა, რომ საქართველოში მოსახლეობის შობადობის მაჩვენებლები დაახლოებით ისეთივეა, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირისა, მაგრამ გაცილებით დაბალი (გარდა მოკვდაობის დონისა), ვიდრე აზერბაიჯანის, სომხეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და თურქმენეთის რესპუბლიკებში. ამავე დროს ყურადღებას იპყრობს გარკვეული შეუსაბამობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ჩამოთვლილი რესპუბლიკების საერთო ნაწილს, რომელთაც შობადობის მაღალი დონე აქვთ, ჩვენთან შედარებით დაბალი აქვთ მოკვდაობის კოეფიციენტიც. შეუსაბამობა იმაშია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში სათანადო კლიმატური, აგრეთვე სხვა ხელშემწყობი პირობებისა და ექიმთა რი-

ცხვის მიხედვით მოკვდაობის დონე იცავილებით დაბალი უნდა იყოს, ვიდრე მითითებულ რესპუბლიკებში. ვარდა ამისა, ძნელი ასახსნელია ისიც, რომ შობადობის მაღალი დონის პირობებში როგორ იქნა მიღწეული იქ მოკვდაობის დაბალი მაჩვენებლები, რადგან შობადობის მაღალ კოეფიციენტს, როგორც წესი, ახასიათებს მოკვდაობის მაღალი დონე — ძირითადად მცირეწლოვან ბავშვების ხარჯზე, რომელთა შორის მოკვდაობის კოეფიციენტები ყოველთვის დიდია.

ამ ფაქტორის შედეგია ის, რომ აზერბაიჯანის სსრ მოსახლეობა 1959 წლის აღწერით 350 ათასით ნაკლები იყო საქართველოს სსრ მოსახლეობაზე, ხოლო 1968 წლის პირველი იანვრისათვის სსრ კავშირის ცნს მიერ გაანგარიშებული ცნობებით იქ ითვლებოდა 4916,7 ათასი მცხოვრები ნაცვლად 4659,1 ათასისა ჩვენში (ანუ 257,6 ათასით მეტი).

შედარებით დაბალი ტემპი მოსახლეობის ზრდისა იმითაც არის გამოწვეული, რომ 1960 — 1967 წლების მანძილზე ჩვენს რესპუბლიკას არსებითად უკვე აღარ ახასიათებს მოსახლეობის მექანიკური მატება სხვა რესპუბლიკების ხარჯზე, ხოლო ბუნებრივი ზრდა და სიცოცხლიანობის კოეფიციენტის დონე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აზერბაიჯანში და მთელ რიგ სხვა აზიურ რესპუბლიკებში იცავილებით მაღალია, ვიდრე ჩვენში (უზბეკეთში მეტია 1,9-ჯერ, აზერბაიჯანსა და ტაჯიკეთში — 1,8-ჯერ, ყირგიზეთში, სომხეთსა და უზბეკეთში — 1,7-ჯერ, ყაზახეთში — 1,6-ჯერ).

შობადობის კოეფიციენტი, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, დამოკიდებულია იმაზეც, თუ როგორია ქალებისა და მამაკაცების ასაკობრივი სტრუქტურა. ქალთა შვილოსნობის (ნაყოფიერების) დონე, ქორწინებაში მყოფთა ხვედრითი წონა და დაქორწინების კოეფიციენტი მოსახლეობის ათას სულზე.

1914—17 წლების იმპერიალისტურმა ომმა, მძიმე მატერიალურმა და საყოფაცხოვრებო პირობებმა, აგრეთვე მწვავე ეპიდემიურმა დაავადებებმა მენშევიკების ბატონობის პერიოდში და საბჭოური ხელისუფლების პირველ წლებში სათანადო გავლენა მოახდინა ქორწინების ასაკის პირთა კონტინგენტზე 1936—1940 წლებში. ამიტომ არის, რომ ქორწინების კოეფიციენტი 1939—1940 წლებში საშუალოდ 5,5 პრომილს არ აღემატებოდა, მაშინ როცა 1959—1960 წლებში იგი 10,5 პრომილს აღწევდა. 1964—1967 წლებში ეს მაჩვენებლები დაახლოებით 8—9 პრომილს შეადგენს (აქაც ჩანს სამამულო ომის შედეგების გავლენა).

შვილოსნობის ასაკში მყოფ ქალთა ხვედრითი წონა (ძირითადად 15—49 წწ.) 1939 და 1959 წწ. აღწერებით შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება: 1939 წ.—47,5 პროცენტი, 1959 წ.—52,1 პროცენტი, ხოლო შვილოსნობის (ნაყოფიერების) კოეფიციენტები (დაბადებულთა რიცხვის შეფარდება აღნიშნული ასაკის ყოველ ათას ქალზე) უდრიდა 1939 წელს 99, 1959 წ. 85 პრომილს. შემდგომ წლებში სავარაუდო გაანგარიშებით აღნიშნული მაჩვენებლები შემდეგი სახით ხასიათდება: 1965 წ. — 82 პრომილი, 1966 წ. — 78, 1967 წ. — 75 პრომილი. ეს კოეფიციენტები რესპუბლიკის საშუალო სიდიდეებს წარმოადგენს და, როგორც ცნობილია, სხვადასხვა იქნება ცალკეული რაიონებისა და ქალაქებისათვის, თანაც სოფლად შედარებით მაღალია, ვიდრე ქალაქად.

ეს მონაცემები მიუთითებენ, რომ ყოველ 1.000 ქალზე 1959 წლის აღწერით 521 ყოფილა შვილოსნობის ასაკში ნაცვლად 475-სა 1939 წელს. 15—49

წლის ასაკში მყოფ ყოველ 1.000 ქალზე 1939 წელს 99 ბავშვი მოდიოდა, 1959 წელს — 85 ბავშვი — ე. ი. შეილოსნობის კოეფიციენტი 20 წლის მანძილზე 14 პროცენტით შემცირებულა, ხოლო 28 წლის მანძილზე — 24 პროცენტით. 1939 წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა 1959 წელს ქორწინებაში მყოფ ქალთა კოეფიციენტი. 16-წლიანებისა და უფროს ასაკში ყოველ 1.000 ქალიდან ქორწინებაში იმყოფებოდა:

	1939 წელი	1959 წელი
სულ (16 წლის და უფროსი ახაკის)	650	557
მათ შორის: 16-17 წ.	144	47
18-19 წ.	398	175
20-24 წ.	691	479
25-29 წ.	824	758
30-34 წ.	841	794
35-39 წ.	834	746
40-44 წ.	802	674
45-49 წ.	760	632

როგორც ვხედავთ, განვლილი 20 წლის მანძილზე დიდი ცვლილება მოხდა. ქორწინებაში მყოფთა მაჩვენებელი 15 პროცენტით შემცირდა. ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შემცირების დონე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

შემცირების ტენდენცია 1959 წლის შემდეგაც გრძელდება, ძირითადად 1942—1946 წლებში შობადობის მკვეთრად შემცირების გამო. ამაზე უფრო დამაჯერებელ პასუხს გაგვცემს მოსახლეობის მომავალი 1970 წლის სრულიად საკვამირო აღწერის მასალები.

როგორც საქართველოს მოსახლეობის ზრდის სავარაუდო მაჩვენებლები 1968—2000 წლების მონაკვეთზე, აგრეთვე მოსახლეობის 1970 წლის აღწერის მოსალოდნელი შედეგები ჩვენს რესპუბლიკაში?

1968—70 წლებისათვის მოსახლეობის საშუალო წლიური მატების კოეფიციენტი, ჩვენი აზრით, არ გადააჭარბებს 11 პრომილს, 1971—80 წლებისათვის — საშუალოდ 10—9 პრომილს, 1981—1990 წლებისათვის — დაახლოებით 9—8 პრომილს, ხოლო 1990—2000 წლებისათვის 8-7 პრომილს.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ წარმოების გაფართოება ძირითადად ვანხორციელდება ადამიანთა შინაგანი რესურსებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე — მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის შემდგომი ამაღლების შესაბამისად. მომავლისათვის მოსახლეობის მექანიკური ნაშთის მოლოდინი სხვა რესპუბლიკისა და ოლქების ხარჯზე არ იქნება გამართლებული. პირიქით, სტატისტიკური მასალები მოწმობენ, რომ მოსახლეობის მიგრაციის მაჩვენებლები სხვა რესპუბლიკებთან უკანასკნელი 6—7 წლის მანძილზე უარყოფითი საღლოთი ბალანსდება.

მოსახლეობის კვლავწარმოების მონაცემები მიუთითებს აგრეთვე ერთ საინტერესო და ჯერ კიდევ არასაკმაოდ ახსნილ კანონზომიერებაზე. მთელი რიგი წლების მანძილზე დაბადებულთა შორის ვაჟების რიცხვი სისტემატურად სჭარბობს გოგონათა რიცხვს. მაგალითად, 1960 წელს ყოველი ათასი დაბადე-



ბულოდან ვაყები 516 იყო, გოგონები კი — 484; 1966 წელს ვაყები 513, გოგონები — 487; 1967 წ. ვაყები — 517, გოგონები — 483.

არსებითად აუხსნელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ერთი წლის ასაკამდე გარდაცვლილ ბავშვთა შორის გაცილებით სჭარბობს ვაჟთა რიცხვი, ვიდრე გოგონებისა. მაგალითად, 1960 წელს ერთი წლის ასაკამდე, გარდაცვლილთა 1.000 შემთხვევიდან 548 ვაჟი და 452 ქალი იყო; ასევე 1967 წელს — 578 ვაჟი და 422 ქალი.

საინტერესოა შობადობის, მოკვდაობის და ბუნებრივი ზრდის მაჩვენებელთა განხილვა ცალკეული ქალაქის, რაიონის და სოფელ ადგილების მიხედვით, თუნდაც უკანასკნელი ორი წლის მონაცემების საფუძველზე.

შობადობის დონე სოფლად უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქად. მაგალითად, შობადობის კოეფიციენტი 1940 წელს ქალაქად 25,2 პრომილი იყო, სოფლად — 28,4; 1960 წელს ქალაქად 22,2, სოფლად — 26,6; 1965 წელს — ქალაქად 18,8, სოფლად — 23,0; 1966 წელს ქალაქად — 17,9, სოფლად—22,1; 1967 წ. ქალაქად — 17,6, სოფლად — 20,8.

მოკვდაობის კოეფიციენტი წინა წლებში ქალაქად უფრო მაღალი იყო, ვიდრე სოფლად. ამჟამად დაახლოებით თანაბარი სურათია. მაგალითად, 1940 წელს იგი ქალაქად შეადგენდა 13,1 პრომილს, სოფლად 6,9 პრომილს, 1960 წელს — 6,6, 7,2, 1966 წ. 6,3, 6,9, 1967 წელს — შესაბამისად, — 6,6 7.6 პრომილს.

რესპუბლიკის მსხვილ ქალაქებში შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტები შემდეგ სურათს იძლევა (პრომილობით — ყოველ 1000 მცხოვრებზე).

	შობადობა			მოკვდაობა		
	1965 წ.	1966 წ.	1967 წ.	1965 წ.	1966 წ.	1967 წ.
თბილისი	17,2	16,5	16,7	7,3	7,2	7,4
ქუთაისი	18,5	18,3	17,5	6,5	5,9	6,0
ბათუმი	15,6	14,3	15,5	7,9	7,3	7,6
სოხუმი	19,4	17,7	16,9	7,7	7,9	8,5
რუსთავი	22,6	20,7	19,0	3,8	3,1	3,4
ფოთი	15,9	17,0	16,1	7,0	7,1	7,6
გორი	26,0	23,7	23,9	5,3	5,4	5,1
ცხინვალი	22,4	22,4	21,7	6,2	4,9	5,9
ტყიბული	22,6	20,7	18,0	3,4	2,9	3,5
ქიათურა	14,0	14,7	14,4	3,4	2,4	2,8
ტყვარჩელი	21,1	20,5	18,0	3,5	4,0	3,6
ზუგდიდი	22,9	20,5	19,2	4,5	4,7	5,1

1966—1967 წლების მონაცემებით შობადობის მიხედვით რესპუბლიკაში პირველი ადგილი იმანისის რაიონს უჭირავს (38 პრომილი), შემდეგ მოჰყვება ხულოს (36 პრომილი), შუახევის (33,2), ბოლნისის (32), ქედის (31), მარნეულის (29), გარდაბნის (27), წალკის (27), ასპინძის (27), ახალქალაქის (26 პრომილი) რაიონები. აღნიშნული ორი წლის მონაცემების მიხედვით სხვებთან შედარებით მეტად დაბალი მაჩვენებლები აქვთ ამბროლაურის (13,4), სიღნაღის (14), გურჯაანის (15,4), ლანჩხუთის (15,8 პრომილი) რაიონებს.

უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე მოსახლეობის კვლავწარმოების პრობლე-



მის თაობაზე ბევრი ავტორის სტატია გამოქვეყნდა პრესაში; მას განსაკუთრებული ადგილი დაუთმო „ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქციამ. დემოგრაფებისა და სოციოლოგების ერთი ნაწილი იანგაშსაც გამოთქვამს შობადობის დონის თანმიმდევრული შემცირების გამო. იგი საკავშირო თათბირებისა და სიმპოზიუმების მსჯელობის საგანიც გახდა. მაგალითად, 1968 წლის მაისის 20—24 რიცხვში ქ. ჩებოქსარში (ჩუვაშეთის ასსრ) ამ პრობლემაზე ჩატარდა უმაღლესი სასწავლებლების სიმპოზიუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 10 მოკავშირე რესპუბლიკისა და 23 ქალაქის 110 წარმომადგენელმა. მოსმენილ იქნა 50-ზე მეტი მოხსენება მოსახლეობის კვლავწარმოების საკვანძო საკითხებზე. სიმპოზიუმმა რამდენიმე აქტუალური რეკომენდაცია დასახა, რათა ახლო მომავალში გაუმჯობესდეს მოსახლეობის კვლავწარმოების მაჩვენებლები. ყურადღება გამახვილებულ იქნა ისეთ ღონისძიებათა გატარების აუცილებლობაზე, როგორც არის ქალის მიერ ოჯახში ბავშვის მოვლა-პატრონობაზე გაწეული შრომის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომად აღიარება, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან სპეციალური კომისიების შექმნა ხალხმოსახლეობის ხაზით, მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის შესახებ ცნობების პრესაში პერიოდულად გამოქვეყნება, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან დემოგრაფიის ინსტიტუტის შექმნა, სპეციალური ჟურნალის დაარსება მოსახლეობის კვლავწარმოების საკითხების გასაშუქებლად, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში საკონსულტაციო და სამკურნალო ღონისძიებათა გაძლიერება და სხვ.

ქართველი ახალგაზრდების ლტოლვა უმაღლესი განათლების მისაღებად უდავოდ დადებითი და მისასალმებელია. ამ მხრივ ჩვენს რესპუბლიკას დამსახურებულად უჭირავს მსოფლიოში პირველი ადგილი. სამწუხაროდ, ეს კარგი მოვლენა უარყოფითად მოქმედებს ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებელზე, როგორც არის ერის იამრავლებისა და კვლავწარმოების დონე. უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, მისი დამთავრება, შემდეგ კი სამუშაოს მონახვა-ათვისება და დაქორწინებისათვის ჯეროვანი პირობების შექმნა საშუალო განათლების მიღების შემდეგ დაახლოებით — 8—10 წელს მოითხოვს, რასთანაც დაკავშირებულია ქორწინების საშუალო ასაკისა და შვილოსნობის დონის მაჩვენებლები. მაშასადამე, ეს საკითხიც ისე უნდა იქნას შესწავლილი და გადაწყვეტილი, რომ უმაღლესი განათლების მიღება არ გახდეს ქორწინებისა და შობადობის მაჩვენებელთა შემცირების არსებითი მიზეზი. საჭიროა, დედათა და ბავშვთა კონსულტაციებისა და საბავშვო ბაგებისა და ბაღების ქსელის გაფართოება, რათა ყველა დედას საშუალება მიეცეს საჭიროების მიხედვით ბავშვი ან ბაღში შეინახოს ბავშვი.

ასეთია, მოკლედ, რესპუბლიკის მოსახლეობის კვლავწარმოების ძირითადი მაჩვენებლები.

## მეზი უჩაღლეა სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდას

ნ. ჰახრაძე,

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ინტერესები მოითხოვს სახელმწიფო დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვას, მართლწესრიგის დარღვევის აღმოფხვრას. ამ ამოცანის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მთელი საზოგადოებრიობის აქტიური დახმარებითა და მონაწილეობით.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თვალსაჩინო წვლილი შეაქვს ამ მიზნის მიღწევაში. გამგეობასთან არსებულ სახელმწიფოსა და სამართლის ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ბ. ფურცხვანიძე, მისი ადგილობრივი სექციები, რომლის საქმიანობაში ჩაბმული არიან მეცნიერები, რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები აქტიურად მონაწილეობენ დამნაშვეობასთან ბრძოლასა და მისი გამომწვევი მიზეზების აღკვეთაში.

საბჭო ფართოდ იყენებს მუშაობის ისეთ ფორმებს, როგორც არის საბჭოთა სამართლისა და სოციალისტური კანონიერების საკითხებზე მოსახლეობისათვის პოპულარული ბროშურების შედგენა და გამოცემა, ლექტორების კვალიფიკაციის ასამაღლებლად თათბირ-სემინარების ჩატარება და ა. შ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობაში საბჭოთა სახელმწიფოს და სამართლის აქტუალური საკითხების, მოქმედი კანონმდებლობის პროპაგანდას. საზოგადოების წევრები სისტემატურად კითხულობენ ლექციებს დაწესებულებებში, ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებში შემდეგ თემებზე: „სოციალისტური კანონიერების დაცვა ყოველი საბჭოთა მოქალაქის წმიდათა წმიდა მოვალეობაა“, „სიხსენი საბჭოთა კანონმდებლობაში“, „მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლება-მოვალეობანი“, „საზოგადოებრიობის როლი დამნაშვეობასთან ბრძოლაში“ და ა. შ. რაიონულ ცენტრებში ეწყობა კითხვა-პასუხის საღამოები შრომის, საოჯახო, სისხლის სამართლის საკვანძო საკითხებზე.

პროკურატურის, სასამართლოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები საზოგადოებასთან ერთად ქმედით ზომებს იღებენ „ცოდნის“ პირველადი ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის თავიანთ ორგანიზაციებში, ქმნიან ლექტორთა ბრიგადებს და უზრუნველყოფენ მათს გაგზავნას რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში. აწყობენ მსხვილ საწარმოებში კითხვა-პასუხის საღამოებს, თეორიულ კონფერენციებს, გამსვლელ სესიებს. მკვეთრად გაიზარდა მოსახლეობაში წაკითხული ლექციების რაოდენობა. თუ რესპუბლიკაში 1964 წელს სამართლებრივ თემებზე ჩატარებული იყო 5.700 ლექცია, 1965 წელს მოეწყო 14.800, 1966 წელს — 12.300, 1967 წელს კი — 13.800 ლექცია.

1964 წელს 25 სექტემბერს საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდენტმა განიხილა ქუთაისის, გორის საქალაქო და თეთრი წყაროს რაიონულ ორგანიზაციებში საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის მდგომარეობა. აღინიშნა, რომ ამ ორგანიზაციებში საგრძნობლად გაფართოვდა და გაუმჯობესდა საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის საქმე. მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ადგილობრივ ორგანოებში ჩამოყალიბდა „ცოდნის“ პირველადი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაში აქტიურად ჩაებნენ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები. სისტემატურად ეწყობა ლექციები თემებზე „საზოგადოებრიობის როლი დამნაშავეობასთან ბრძოლაში“, „საბჭოთა კანონმდებლობა ხელისუფლების შესახებ“, „სოციალისტური საკუთრება წმიდათა წმიდა და ხელშეუხებელია“. ლექციებში მოხერხებულად გამოყენებულია ადგილობრივი მასალა.

1964 წლის ივლისში ქუთაისში გაიმართა კითხვა-პასუხის საღამო საბჭოთა კანონმდებლობის საკითხებზე, რომელსაც დაესწრო 300-მდე მსმენელი. შეკითხვებზე პასუხი იმსჯელეს ქალაქის პროკურორმა ა. ქლენტიძემ, პროკურორის თანაშემწემ ბ. ჩეჩელაშვილმა, მოსამართლეებმა ქ. ტუვაძემ და ბ. სტურუამ, ქალაქის არქიტექტორმა დ. ნაცვლიშვილმა. ასეთივე ღონისძიებები განხორციელდა საზოგადოება „ცოდნის“ ქალაქ გორისა და თეთრი წყაროს ორგანიზაციებში. ქუთაისში მუშაობდა იურიდიული ცოდნის სახალხო უნივერსიტეტი, რომელშიც კვალიფიკაციას იმაღლებდა 60-მდე მსმენელი, მათ შორის საწარმოთა დირექტორები, პარტიურების მდივნები, ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეები, სახალხო რაზმელები, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი.

1965 წლის თებერვლის ბოლოს თბილისში სამართლებრივ თემებზე მოეწყო ლექციების ციკლი მოსკოვიდან მოწვეული ძალებით. პროფესორმა ა. დენისოვმა წაიკითხა ლექციები „საერთო-სახალხო სახელმწიფო, როგორც იდეა, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია და როგორც სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრობლემა“, „კომუნისმის მშენებლობის პერიოდში საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის თეორიული საკითხები“, პროფესორმა ვ. თუმანოვმა — „ბურჟუაზიული სახელმწიფოსა და სამართლის კრიტიკა“, პროფესორმა ი. კოზლოვმა — „საბჭოები და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმკმედება“ და „დემოკრატიული ცენტრალიზმი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში“, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ გ. ანაშკინმა — თემებზე: „სოციალისტური კანონიერება და სამართლებრივი პროპაგანდის როლი მის განმტკიცებაში“, „სოციალისტური კანონიერება საერთო-სახალხო სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე“. ლექციები ჩატარდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარქსიზმ-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სააქტო დარბაზში. ავტორებმა ლექციები წაიკითხეს აგრეთვე თბილისისა და რუსთავის მსხვილ საწარმოებში. ლექციებმა დიდი მოწონება დაიმსახურა და გარკვეული დახმარება გაუწია „ცოდნის“ ორგანიზაციებს სახელმწიფოსა და სამართლის საკითხების პროპაგანდის შემდგომი გაუმჯობესებისა და გაფართოების საქმეში. განხილულ იქნა აგრეთვე სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის მდგომარეობა ტყიბულისა და ზესტა-

ფონის ორგანიზაციებში. როგორც შემოწმებით გამოირკვა, ტყიბულისა და ზესტაფონის რაიონებში სისტემატურად ეწყობა ლექციები და სხვა მასობრივი ღონისძიებები. სასამართლოსთან და პროკურატურასთან შეიქმნა „ცოდნის“ პირველადი ორგანიზაციები, სალექციო მუშაობაში ჩაებნენ სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკები. გაფართოვდა ლექციების თემატიკა სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე. ტყიბულის მაღაროებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში ეწყობოდა კითხვა-პასუხის საღამოები. ამასთან ერთად აღინიშნა, რომ ტყიბულსა და ზესტაფონში ყველაფერი არ კეთდებოდა სახელმწიფოსა და სამართლის ცოდნის პროპაგანდის გასაფართოებლად. შედარებით ცოტა იკითხებოდა ლექციები სამოქალაქო, შრომისა და საკოლმეურნეო სამართლის საკითხებზე, რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები არასამაოდ გამოდიოდნენ ლექციებით მოსახლეობის წინაშე. პრეზიდენტმა „ცოდნის“ ტყიბულისა და ზესტაფონის ორგანიზაციებს დაავალა უზრუნველყონ საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის გაუმჯობესება, სისტემატურად მოაწყონ მშრომელთა შორის ლექციები, მოხსენებები, თეორიული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალურ პრობლემებზე, სოციალისტური საკუთრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე.

მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საქმიანობა საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ პრეზიდენტთან არსებულმა სახელმწიფოსა და სამართლის ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ. მისი ინიციატივით 1965 წლის მაისში მოეწყო „ცოდნის“ ლექტორთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი. თათბირ-სემინარზე მოხსენებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ პროკურორი პ. ბერძენიშვილი („სოციალისტური კანონიერების არსი და მისი განმტკიცების ამოცანები“), პროფ. ვრ. ერემოვი („საბჭოების აღმოცენების 60 წელი“), დოც. ნ. ლომსაძე („მიწისა და საკოლმეურნეო კანონმდებლობა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წ. პლენუმის გადაწყვეტილებებში“), საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაკი ს. ბელიავსკაია („არასრულწლოვანთა დამნაშავეობასთან ბრძოლა“), იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ციმაკურიძე („კრიმინალისტიკური ექსპერტიზის როლი დამნაშავეობასთან ბრძოლაში“), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. კაციტაძე („უცხოეთის დაზვერვის თანამედროვე მეთოდები“), საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. მაისურაძე („ლექციების მომზადებისა და ჩატარების მეთოდიკა“), პროფ. ბ. ფურცხვანიძე („სახელმწიფო და სამართლის საკითხების პროპაგანდის ამოცანები რესპუბლიკაში“). სემინარმა ხელი შეუწყო „ცოდნის“ ორგანიზაციებში იურიდიული ცოდნის პროპაგანდის გაუმჯობესებას.

ხელმძღვანელობენ რა პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით, საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციები კიდევ უფრო აფართოებენ მოსახლეობაში სახელმწიფოსა და სამართლის ცოდნის პროპაგანდას.


1966 წელს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმმა, რესპუბლიკის პროკურორმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა ერთობლივი წერილით მიმართეს თავიანთ საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანოების ხელმძღვანელებს, რათა გაეძლიერებინათ სახელმწიფოსა და სამართლის საკითხების პროპაგანდა. წერილში ნათქვამი იყო: „საბჭოთა კანონების, სახელმწიფოსა და სამართლის ცოდნის პროპაგანდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში... ლექციურ პროპაგანდაში გაშუქებულ უნდა იქნას არა მარტო თეორიული საკითხები, არამედ ყოველი დებულება დასაბუთდეს პრაქტიკული მაგალითებით.

ლექციების წაკითხვა უნდა დაევალოთ მომზადებულ კვალიფიციურ ამხანაგებს. ცოტა როდია შემთხვევა, როცა ლექციები ზერეღედ, სრულიად მოუზადებლად, მსმენელთათვის უინტერესოდ კამბანიურად ეწყობა, რაც არასწორია და დაგმობილ უნდა იქნას. ლექციები უნდა ეწყობოდეს წინასწარ სათანადოდ მომზადებულად, რეგულარულად და სისტემატურად.

პროკურატურის, სასამართლოსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მუშაკებმა პირადი მაგალითი უნდა უჩვენონ თავიანთ აქტიური მონაწილეობით საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციების მუშაობაში“.

1966 წლის 6 ივლისს სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი „საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციების მუშაობის შესახებ სახელმწიფოსა და სამართლის ცოდნის მშრომელთა შორის პროპაგანდის საქმეში“. მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამოცდილება სახელმწიფოსა და სამართლის ცოდნის პროპაგანდის საქმეში მოწონების ღირსია. სახელმწიფოსა და სამართლის ცოდნის პროპაგანდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის. სრულიად საკავშირო საზოგადოების სიგელითა და სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდნენ პროფ. ბ. ფურცხვანიძე, პროფ. ს. ჯორბენაძე, დოც. ა. ფალიაშვილი, „ცოდნის“ თბილისის ორგანიზაციის ლექტორი ვ. ხმალაძე და შ. ჭანტურია, „ცოდნის“ რეფერენტი ზ. ჯორჯიაშვილი. გარდა ამისა, სრულიად საკავშირო საზოგადოებამ სიგელებით დააჯილდოვა სახელმწიფო და სამართლის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს 6 ლექტორი.

1966 წლის აგვისტოში საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმმა განიხილა საზოგადოების გამგეობასთან არსებული სახელმწიფოსა და სამართლის ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს ანგარიში. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობასთან არსებული სახელმწიფოსა და სამართლის ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ თავის ირგვლივ შემოიკრიბა უმაღლესი სკოლის პროფესორ-მასწავლებლები, სამეცნიერო დაწესებულებათა მეცნიერი მუშაკები, სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადვოკატურის წარმომადგენლები.



სამეცნიერო-მეთოდური საბჭო სწავლობდა რაიონულ და საქალაქო ორგანიზაციებში საბჭოთა კანონმდებლობის პროპაგანდის მდგომარეობას და პრაქტიკულად ეხმარებოდა მათ მუშაობის გაუმჯობესებაში. ლეციებისა და კითხვა-პასუხის საღამოების ჩასატარებლად რაიონებში სისტემატურად მიემგზავრებოდნენ პროფესორები ბ. ფურცხვანიძე, ს. ჯორბენაძე, ვ. ერემოვი, გ. ინწკირველი, დოცენტები ნ. ლომსაძე, ვ. ფარქოსაძე, ა. ნეიძე, რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები — ე. შევარდნაძე, მ. ლომიძე, მ. ვეფხვაძე, ა. პაიჭაძე, ლ. ზაიჩიკი, ვ. ასეიშვილი, შ. ჭანტურია.

მეცნიერთა და რესპუბლიკის პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს თანამშრომელთა ძალებით ქ. გორში, მცხეთისა და ბოლნისის რაიონებში მოეწყო თეორიული კონფერენციები სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე.

რესპუბლიკაში ამ დროისათვის მუშაობდა სახელმწიფოსა და სამართლის პროფილის 8 სახალხო უნივერსიტეტი. ამჟამად თბილისის ყველა რაიონში წარმატებით ეწევიან სასწავლო-მეთოდური მუშაობას იურიდიული ცოდნის სახალხო უნივერსიტეტები. აქ ეწყობა საინტერესო ლექციები, სემინარები და პრაქტიკული მეცადინეობა. ლექციებს კითხულობენ პროფესორები ბ. ფურცხვანიძე, ს. ჯორბენაძე, ლ. ალექსიძე, რესპუბლიკის პროკურორი პ. ბერძენიშვილი, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე და სხვ.

კალინინის რაიონის სამართლისმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტში გაერთიანებულია საწარმო-დაწესებულებათა ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეები და წევრები, სახლმმართველობის პარტიული ბიუროს მდივნები, სახლისა და ქუჩის კომიტეტების თავმჯდომარეები. უნივერსიტეტის საქმიანობას ნაყოფიერად წარმართავს მისი რექტორი — რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე გ. ბიწაძე. მსმენელთა წინაშე იცამოდინა რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები. სპეციალური მეცადინეობანი მიმდინარეობდა დამნაშავეობასთან ბრძოლის იდეოლოგიის შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა გაცნობასა და შესწავლას. სახალხო უნივერსიტეტი ბევრ საინტერესო ღონისძიებას ახორციელებს. რექტორ გ. ბიწაძის ინიციატივით შეხვედრა მოუწყვეს პენსიონერ ა. ჩიქვანაიას, რომელიც წინათ რესპუბლიკის პროკურორის მოადგილედ მუშაობდა და ილია ჭავჭავაძის მკვლელის სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალდებლად გამოდიოდა. ჩიქვანაიას ლექცია-მოგონების შემდეგ უნივერსიტეტის მსმენელებმა ნახეს დოკუმენტური ფილმი ამ სასამართლო პროცესის შესახებ.

ცხინვალის სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტის მუშაობის შესახებ მოგვითხრობს მისი რექტორი ვ. ქელეხსავეი წერილში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე 1967 წლის 12 ივლისს: „სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტის ლექტორები შეიძლება ხშირად ნახოთ ოლქისა და ქალაქის საწარმოებსა და სკოლებში. მაგალითად, ოლქის პროკურორის მოადგილე ხ. გაგლოვი, ადვოკატი პ. ვატიკოვი გამოვიდნენ „ელექტროვიბრომანქანისა“ და „ემალსადენის“ ქარხნებში, ლექციები წაიკითხეს საოლქო სასამართლოს. წევრებმა გ. მამულაშვილმა, ა. ბეკოევმა, მ. ბასიკაძემ, მილიციის ცხინვალის საქალაქო განყოფილების უფროსმა ვ. კაბულაძემ და სხვებმა. მათი ლექციების თემათა „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი ტიპის დაბადება“, „ახალი საბჭოთა სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობაში“, „საბჭოთა საარ-

ჩვენო სამართალი“, „ქ. ცხინვალის მილიციის ორგანოების ბრძოლა ხულიგნობასთან“, „სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“ და სხვ... სამართლის ცოდნის სახალხო უნივერსიტეტის მეცადინეობა პოპულარობით სარგებლობს მშრომელთა შორის, ამაზე მეტყველებს ყველა ლექციისადმი ცოცხალი ინტერესი და მრავალრიცხოვანი გამოხმაურება, რომლებსაც ვიღებთ საწარმო-დაწესებულებების კოლექტივებისაგან“.

1967 წლის ივლისში გამგეობის პრეზიდიუმმა განიხილა სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის მდგომარეობა ზუგდიდისა და მახარაძის რაიონებში. 1966 წელს ამ თემებზე ზუგდიდის რაიონში ჩატარდა 293, ხოლო მახარაძის რაიონში — 386 ლექცია. ლექციები ეწყობა სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, შრომისა და საკოლმეურნეო სამართლის აქტუალურ საკითხებზე. მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა ზუგდიდის რაიონის ნარაზენისა და ინგიროს საბჭოთა მეურნეობებში, ჭკადუაშის კოლმეურნეობაში. სოფ. ჭკადუაშის კოლმეურნეობა გამოცხადდა სანიმუშო წესრიგის კოლმეურნეობად. 1965—67 წლებში აქ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის არც ერთ შემთხვევას არ ჰქონია ადგილი. სასამართლოს, პროკურატურის, მილიციის ორგანოებმა ანალოგიური პროპაგანდისტული ღონისძიებები განახორციელეს მახარაძის რაიონის ლაითურის საბჭოთა მეურნეობაში, ნავომარის და ლიხაურის კოლმეურნეობებში. პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ ყველა ეს ღონისძიება დიდად უწყობდა ხელს დამნაშავეობის შემცირებას და საბჭოთა კანონიერების განმტკიცებას მოსახლეობის ფართო ფენებში.

იურისტ-ლექტორთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 1967 წლის მარტში თბილისში მოეწყო სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე რესპუბლიკაში ნობუშავე საზოგადოება „ცოდნის“ წევრ-ლექტორთა ორდღიანი სემინარი, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 150 კაცმა. თათბირ-სემინარზე ლექციებით გამოვიდნენ: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე აკადემიკოსი გ. ძოწენიძე („დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით სახელმწიფოსა და სამართლის ცოდნის პროპაგანდის ამოცანების შესახებ“), საქართველოს სსრ პროკურორი პ. ბერძენიშვილი („სოციალისტური კანონიერება და მშრომელთა სამართლებრივი აღზირა“), პროფ. ბ. ფურცხვანიძე („სახელმწიფოსა და სამართლის ცოდნის პროპაგანდის მდგომარეობა რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციებში“), პროფ. ს. ჯორბენაძე („სიახლენი საბჭოთა კანონმდებლობაში ქორწინებისა და ოჯახის შესახებ“), საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილე ვ. შადური („საბჭოთა მილიცია და მისი როლი სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში“), რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. პაიჭაძე და სხვ. სემინარის მონაწილეებს ინგლისში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი გააცნო ინგლისში საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. ჯავახიშვილმა.

1968 წლის 29 აგვისტოს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ სახელმწიფოსა და სამართლის ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოსა და საქართველოს კპ სამტრედიის რაიკომის ინიციატივით მოეწყო ლექტორთა ზონალური თათბირ-სემინარი, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის და-

ბადების 100 წლისთავისათვის მზადებას. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა 250 კაცი. სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კპ სამტრედიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. კობრიძემ, ლექცია თემაზე „სოციალისტური კანონიერება და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის ამოცანები“ წაიკითხა პროფ. ბ. ფურცხვანიძემ. „შრომის სამართლის საკვანძო საკითხები“ — ასეთი იყო დოც. ე. ნეიძის თემა, „სიახლენი კანონმდებლობაში ქორწინებისა და ოჯახის შესახებ“ სემინარის მონაწილეებს გააცნო დოც. ნ. წერეთელმა. სემინარის მონაწილეთა წინაშე გამოვიდნენ აგრეთვე პროფ. გრ. ერემოვი („ვ. ი. ლენინი სოციალისტური კანონიერების შესახებ“), საქართველოს მინისტრთა საბჭოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მ. ლომიძე („საბჭოთა მართლმსაჯულება სახელმწიფოსა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვის სადარაჯოზე“), საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილე გ. თოდორია („საბჭოთა მილიცია და მისი როლი სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში“). სემინარმა მაღალ დონეზე ჩაიარა და დიდი ინტერესა გამოიწვია მსმენელებში.

ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ და ეწევიან სახელმწიფოსა და სამართლის ცოდნის პროპაგანდის საქმეში საზოგადოება „ცოდნის“ აფხაზეთის ორგანიზაციები. ამის შესახებ ვ. მელაძე გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ 1967 წლის 3 აგვისტოს ნომერში წერდა:

„საბჭოთა სამართლისა და კანონმდებლობის პროპაგანდას სოხუმში ეწევიან საზოგადოება „ცოდნის“ ქალაქის ორგანიზაცია და მისი სახელმწიფოსა და სამართლის სექცია. სექციაში გაერთიანებული არიან სასამართლოს, პროკურატურისა და ადვოკატურის მუშაკები.

ქ. სოხუმის იურიდიულ კონსულტაციასთან შექმნილია საზოგადოება „ცოდნის“ პირველადი ორგანიზაცია, რომელშიც ირიცხება 25 იურისტი. ისინი ეწევიან საბჭოთა სამართლის პროპაგანდას ქალაქის საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში.

სამართლებრივ თემებზე სალექციო პროპაგანდაში მონაწილეობენ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, იურიდიული მეცნიერებათა კანდიდატი მ. გუგუჩია, აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანამემწე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. ბარამია, ქ. სოხუმის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე მ. შამბა და სასამართლოსა და პროკურატურის სხვა მუშაკები. სამართლის პროპაგანდას ეწევიან საზოგადოება „ცოდნის“ წევრები, სოხუმის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატები ი. შონია, კ. კოკაია, ა. კონოშოვი, ლ. დინზბურგი, ი. ზახაროვა, მ. კალაჯიანი, მ. გრინფელდი, ს. ბოიაჯიანი, თ. აბუხბა, ა. ღვინჯილია, დ. დავიდოვი და სხვები...“

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდიუმი, სახელმწიფოსა და სამართლის ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო დიდ ყურადღებას აქცევდნენ სახელმწიფოს და სამართლის საკითხების პროპაგანდას ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით. 1964—68 წლებში დიდი ტირაჟით გამოცემულ იქნა ბროშურები: ბ. ფურცხვანიძისა — „საბჭოთა კანონმდებლობა მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში“, ქ. გორგაძისა — „საზოგადოებრიობის როლი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში“, მ. ლომიძისა — „საბჭოთა სამართლის როლი კომუნისტური მშენებლობის ამოცანების განხორციელებაში“, ზ. კვაჭაძისა — „მშრომელთა დეპუტატების საბჭოები კომუნისტური თვითმმართველობის დიდი სკოლა“, ე. ნეიძისა —



„საბჭოთა კანონიერება შრომითი უფლებების დაცვის სადარაჯოზე“, კ. მელაშვილისა — „საზოგადოებრივი წესრიგის სამსახურში“, ნ. ლომსაძისა — „ბუნების დაცვის კანონმდებლობა საქართველოში“. გრ. ერემოვისა და ვ. აბაშმაძისა — „საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შექმნა და განმტკიცება“, შ. ჰაპიძისა — „საბჭოების როლის ამღლება და მათ საქმიანობაში საზოგადოებრივი საწყისების შემდგომი განვითარება თანამედროვე ეტაპზე“, ნ. წერეთელისა --- „შრომის სამართლის შესახებ“ (კითხვა-პასუხი).

ამ ბროშურებში ფართო მასებისათვის გასაგები ფორმით გადმოცემულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ძირითადი პრინციპები სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებში. ისინი დიდად უწყობენ ხელს მშრომელთა აღზრდას საბჭოთა კანონიერების დაცვის სულისკვეთებით. ამ ბროშურებს მასობრივად იყენებენ თავიანთ ლექციებში საზოგადოების წევრი-ლექტორები, რომლებიც ეწევიან სახელმწიფოსა და სამართლის ცოდნის გავრცელებას.

საზოგადოება „ცოდნის“ წევრები, მისი საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები არ დაიშურებენ თავიანთ ცოდნასა და შრომას, რათა მომავალში კიდევ უფრო სრულყოფილ მოსახლეობაში სახელმწიფოსა და სამართლის ცოდნის პროპაგანდა.

# დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ

(მიმოხილვა)

1968 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო ახალი დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შესახებ.

ახალი დებულების შემუშავება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ამ ბოლო წლებში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მუდმივი კომისიები საგრძნობლად გაძლიერდნენ, გაიზარდა მათი მუშაობის ხვედრითი წონა სახელმწიფო ხელმძღვანელობაში, ამაღლდა მათი ავტორიტეტი და როლი, გაიზარდა მათი რიცხვი. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სხვადასხვა რგოლში კავშირის მასშტაბით დაგროვდა მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოცდილება. საჭირო გახდა ამ გამოცდილების განვითარება და მოქმედი კანონმდებლობისა და მუდმივი კომისიების საქმიანობის სრულყოფა.

დებულების მე-2 მუხლში განსაზღვრულია მუდმივი კომისიების ძირითადი ამოცანები. კომისიებს ევალებათ:

შეიმუშაონ წინადადებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად; მოამზადონ დასკვნები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის განსახილველად;

დაეხმარონ სახელმწიფო ორგანოებსა და ორგანიზაციებს, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დებულებებს საქართველოს სსრ კანონების, დადგენილებების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გახორციელებისათვის გაწეულ მუშაობაში;

კონტროლი გაუწიონ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე საქართველოს სსრ სხვა რესპუბლიკური თუ ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

უადრესად დიდმნიშვნელოვანი და პრინციპულია აზრი ფიქსირებული დებულების მე-2 მუხ-

ლის ბოლო აბზაცში: „ასრულებენ რა დაკისრებულ ამოცანებს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები მოწოდებული არიან მთელი თავიანთი საქმიანობით ხელი შეუწყონ უმაღლესი საბჭოს, როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს განუწყვეტელ და ეფექტურ მუშაობას უმაღლესი საბჭოს სესიების დროს და სესიებს შორის პერიოდში“.

1959 წლის დებულება ითვისისწინებდა, თუ რომელი კომისიები იქმნებოდა უმაღლესი საბჭოს მიერ. ახალი დებულების მე-3 მუხლში კი პირდაპირ მითებულია უმაღლესი საბჭოსთან ჩამოყალიბებული კომისიები. ასეთებია: სამანდატო; საკანონმდებლო განვრახულებათა; საგეგმო-საბიუჯეტო; საგარეო საქმეთა; მრეწველობის; სოფლის მეურნეობის; მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის; ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის; სახალხო განათლებისა და მეცნიერების; კულტურის; ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის; ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების; მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების; ბუნების დაცვის.

მე-3 მუხლში მითითებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სხვა მუდმივი კომისიების შექმნა. აქედან გამომდინარე 1968 წლის დეკემბერში უმაღლესმა საბჭომ შექმნა კიდევ ერთი, მე-15 კომისია — ახალგაზრდობას შორის მუშაობის მუდმივმოქმედი კომისია.

1959 წლის დებულების მიხედვით კომისიებში არ შეიძლებოდა აერჩიათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წევრები. 1968 წლის დებულებამ კიდევ უფრო გააფართოვა იმ პირთა წრე, რომელთა არჩევა მუდმივი კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება.

„მუდმივი კომისიების შემადგენლობაში, — ნათქვამია დებულების მე-4 მუხლში, — არ შეიძლება არჩეულ იქნან უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, აგრეთვე დებულებები, რომლებიც შედიან საქართველოს

სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში და საქართველოს სსრ პროკურორი.

დებულების ამავე მუხლით (მე-4 მუხლით) განსაზღვრულია, რომ მუდმივ კომისიებს ირჩევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, უმაღლესი საბჭოს დეპუტატთაგან საქართველოს სსრ შესაბამისი მოწვევის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადით.

მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ირჩევენ თავმჯდომარესა და კომისიის წევრებს. კომისიის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს უმაღლესი საბჭო. ყოველი მუდმივი კომისია თავის წევრთაგან ირჩევს კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს.

მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა შეუძლია მხოლოდ უმაღლეს საბჭოს.

დებულების მე-6 მუხლში აღნიშნულია, რომ მუდმივი კომისიები პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან უმაღლესი საბჭოს წინაშე. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ძველი დებულებისაგან განსხვავებით ახალმა დებულებამ მიუთითა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებს შორის პერიოდში მუდმივი კომისიების მუშაობას კოორდინაციას უწევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

1959 წლის დებულებისაგან განსხვავებით ახალ დებულებაში შეტანილია მუხლი (მუხლი 7) იმის შესახებ, რომ მუდმივი კომისიები თავიანთ მუშაობას ახორციელებენ მათი წევრების ფართო ინიციატივით, კოლექტივობის და საჯაროობის საფუძველზე ადგილობრივი საბჭოების მუდმივ კომისიებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონტაქტში, იხილვენ და ანზოგადებენ მოქალაქეთა წინადადებებს.

ძველ დებულებაში არ იყო ფიქსირებული თუ ვინ განსაზღვრავდა მუდმივი კომისიების მოღვაწეობის ძირითად მიმართულებას და მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებს.

ახალ დებულებაში კი პირდაპირ გათვალისწინებულია (მუხ. 8), რომ კომისიების მოღვაწეობის ძირითად მიმართულებას და მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებს განსაზღვრავს უმაღლესი საბჭო და აღნიშნული დებულება.

დებულებაში მითითებულია ცალკეული მუდმივი კომისიების მოვალეობანი. ასე, მაგალითად, სამანდატო კომისიას თანახმად მე-9 მუხლისა ევალბა:

ა) შემოწმოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის 37-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა რწმუნებანი

და უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარადგინოს წინადადებანი არჩეული დეპუტატების რწმუნებთა ცნობის ან ცალკეული დეპუტატების არჩევის გაუქმების შესახებ;

ბ) მოამზადოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგინოს წინადადებანი გასულთა ნაცვლად ახალ დეპუტატთა არჩევნების საკითხებზე;

გ) მოამზადოს დასკვნები იმ საკითხებზე, რომელიც დაკავშირებულია დეპუტატის ხელშეუხებლობასთან ან დეპუტატის გაწვევასთან, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ კონსტიტუციის 39-ე და 155-ე მუხლებით.

მე-10 მუხლში ფიქსირებულია უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განწარხლებათა კომისიის მოვალეობანი. ამ კომისიას ევალბა:

ა) შეიმუშაოს საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების პროექტები როგორც იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია სოციალისტური კანონიერების განმტკიცებასთან, მართლმსაჯულების განხორციელებასთან, ისე სხვა ზოგადი ხასიათის საკითხებზე;

ბ) წინასწარ განიხილოს საქართველოს სსრ კანონების და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტების პროექტები და მოამზადოს მათზე შესაბამისი დასკვნები;


გ) სხვა მუდმივი კომისიების თხოვნით მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სსრ კანონების და უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტების პროექტთა შემუშავებაში;

დ) მოამზადოს წინადადებანი საქართველოს სსრ კანონმდებლობის კოდიფიკაციისა და სისტემატიზაციის საკითხებზე.

ე) მოისმინოს საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების, სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების ინფორმაციები და მოხსენებები სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის საკითხებზე;

დაწვრილებით აღმოცემულია ახალ დებულებაში (მუხ. 11) სავეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის მოვალეობანი. ამ კომისიის მოვალეობაა:

ა) წინასწარ განიხილოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილი სხვაალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული და წლიური სახელმწიფო გეგმების პროექტები, სახელმწიფო გეგმების შესრულებ



ბის ანგარიში, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წარუდგინეს დასკვნების მათ შესახებ;

ბ) განიხილოს საქართველოს სსრ სამინისტროების და უწყებების, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, საქართველოს პროფსაბჭოს, აგრეთვე სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების მიერ კომისიაში შეტანილი წინადადებანი, რომლებიც იქნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარდგენილი საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებლებში ცვლილებების შეტანას;

გ) წინასწარ განიხილოს სხვა მუდმივი კომისიებიდან შემოსული შენიშვნები და წინადადებანი, რომლებიც ეხება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმას და სახელმწიფო ბიუჯეტს;

დ) შეიმუშაოს საქართველოს სსრ კანონების პროექტები, აგრეთვე წინადადებანი სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და საბიუჯეტო საფინანსო საკითხებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის განსახილველად, შეისწავლოს სახალხო მეურნეობაში არსებული რეზერვების გამოყენების საკითხები პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდის მიზნით, აგრეთვე მოამზადოს დასკვნები იმ საკითხებზე, რომლებიც კომისიის გადაცემული ჰქონდა წინასწარ განსახილველად;

ე) მოისმინოს საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების და სხვა რესპუბლიკური ადგილობრივი ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ინფორმაციები და მოხსენებები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საკითხებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის ევალტა:

ა) ხელი შეუწყოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიური, სამცენიერო და სხვა კავშირის განვითარებას;

ბ) ხელი შეუწყოს საერთაშორისო ყრილობების, ფესტივალების, თათბირების, სპორტული შეჯიბრებების მოწყობას, რომლებიც დადებით როლს ასრულებენ მშვიდობისათვის ბრძო-

ლის გაფართოების, საერთაშორისო დაძაბულებების შენელების სხვადასხვა ქვეყნებს შორის მეგობრობის განმტკიცებისა და ურთიერთობის საქმეში;

გ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს ღონისძიებებში, რომლებიც ხელს უწყობენ საზღვარგარეთის სახელმწიფოების პარლამენტებთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კავშირის განმტკიცებას.

ძველი დებულება პირდაპირ არ ითვალისწინებდა მუდმივი კომისიების მიერ საქართველოს სსრ კანონების, სახელმწიფო მმართველობის ცალკეული დარგების, სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებისა და მასთან დაკავშირებით წინადადებების მომზადებას და წარდგენას.

ამჟამად მე-13 მუხლში გათვალისწინებულია, რომ კომისიებს ევალტათ: საქართველოს სსრ კანონების პროექტების მომზადება, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ცალკეული დარგების განვითარების საკითხებზე წინადადებების მომზადება და წარდგენა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის განსახილველად.

სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისი განყოფილებების წინასწარი განხილვა, აგრეთვე ანგარიშების მოსმენა მათი შესრულების შესახებ.


სამინისტროების, უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და საოლქო საბჭოს აღმასკომის, პროფსაბჭოს, აგრეთვე სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების წინადადებათა განხილვა, რომელიც ეხება სახელმწიფო გეგმასა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის განყოფილებებს და სხვა.

დებულების მე-13 მუხლი გამოიყურება შემდეგნაირად:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დარგობრივ კომისიებს ევალტათ:

ა) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის განსახილველად მოამზადონ საქართველოს სსრ კანონების პროექტები, აგრეთვე წინადადებანი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მართვის სათანადო დარგის განვითარების შესახებ; მოამზადონ დასკვნები იმ საკითხებზე, რომლებიც კომისიის წინასწარ გადაცემა განსახილველად;

ბ) წინასწარ განიხილონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის ის სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისი ნაწილები,



აგრეთვე ანგარიშები მათი შესრულების შესახებ;

ე) განიხილონ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, საქართველოს სსრ პროფსაბჭოს, აგრეთვე სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების მიერ კომისიაში შეტანილი წინადადებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესაბამის ნაწილებში ცვლილების ან დამატების შეტანის შესახებ;

დ) აცნობონ საგეგმო-საბიუჯეტო კომისიას შენიშვნები და წინადადებანი სახალხო-სამეურნეო გეგმის, სახელმწიფო ბიუჯეტის და მათი შესრულების ანგარიშების შესაბამის ნაწილებზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ კომისია საჭიროდ მიიჩნევს, წარუდგინონ ეს შენიშვნები და წინადადებანი უშუალოდ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს;

ე) მოისმინონ საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების ინფორმაციები და მოხსენებები სსრ კავშირის კანონების და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა დადგენილებების, საქართველოს სსრ კანონების, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტების შესრულების შესახებ. გარდა ამისა ცალკეულ დარგობრივ კომისიებს ევალებათ:

1. მრეწველობის კომისიას.

ა) ხელი შეუწყოს მრეწველობის ყველა დარგის განვითარებას, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში შრომის ნაყოფიერების, ტექნიკური პროგრესის განუწყვეტელ ზრდას, მშენებარე საწარმოების განლაგებას და ნედლეული რესურსების რაციონალურ გამოყენებას;

ბ) კონტროლი გაუწიოს საწარმოო გემებისა და დავალებათა შესრულებას; ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტსა და ხარისხს;

გ) ზომები მიიღოს საწარმოებში ძირითადი საწარმოო პროცესებისა და დამხმარე ოპერაციების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის განსახორციელებლად, აგრეთვე მათი უახლესი ტექნიკითა და მოწყობილობით აღსაჭურვავად;

დ) დასახოს ღონისძიებანი ადგილობრივი მრეწველობის შემდგომ გასავითარებლად და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გა-

საფართოებლად, ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოების გასაძლიერებლად;

ე) პროფესიული კავშირების ორგანოებთან ერთად შეისწავლოს საწარმოებში რაციონალიზაციასა და გამოგონებლობასთან დაკავშირებული საკითხები, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროების საქმიანობა, განაწოდოს და გაავრცელოს მუშაობის მოწინავე გამოცდილება;

ვ) შეისწავლოს მასობრივ და ცალკეულ პროფესიათა კადრების მომზადების მდგომარეობა, საწარმოო სწავლების, უსაფრთხოების ტექნიკის ორგანიზაციის, საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხები;

ზ) ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებსა და მრეწველობის სხვადასხვა დარგებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლას.


2. სოფლის მეურნეობის კომისიას:

ა) ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებას, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილებების, სარემონტო საწარმოების, სამანქანო-მეცხოველეობის სადგურის და სავაჭრო ბაზების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან სამრეწველო საწარმოთა კავშირის განმტკიცებას;

კონტროლი გაუწიოს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების შესრულებას;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოფლის მეურნეობაში მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობის გადიდების მეცხოველეობის და მისი პროდუქტიულობის ამაღლების მოწინავე მეთოდების დანერგვას, მეჩაიეობის, მეთამბაქვეობის, მებარეშუმეობის, მებოსტნეობის, მებაღეობისა და მევენახეობის განვითარებას, საირიგაციო სამუშაოთა გაფართოებას, ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის გაძლიერებას, წყლის სწორ და გეგმაზომიერ გამოყენებას; თავისი საქმიანობა აწარმოოს ისე, რომ ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის ყველა შრომატევადი პროცესის მექანიზაციას, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ელექტროფიკაციას, სოფლების კეთილმოწყობას და საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის შემდგომ გაფართოებას;

გ) ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მაღალკვალიფიციურ — სპეციალისტთა მომზადებას, სპეციალურ საშუალო და



უმადლეს სასწავლებლებში პრაქტიკასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცებას, იზრუნოს სპეციალისტთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე;

დ) ყოველმხრივ შეუწყოს ხელი კომლემენტარობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას.

3. მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის კომისიას:

ა) დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საყოფაცხოვრებო და კომუნალურ სანარმოთა ობიექტების მშენებლობის გეგმების შესრულებას, ხელს უწყობენ სამშენებლო ტექნიკის რაციონალურ გამოყენებას და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას;

ბ) ხელი შეუწყოს ქალაქების, სოფლებისა და დაბების კეთილმოწყობის ღონისძიებებს, ქუჩების, სკვერების, მოედნების გამწვანებასა და კეთილმოწყობას, მოსახლეობის წყლით მომარაგების გაუმჯობესებას და სხვა; კონტროლი გაუწიოს სასმელი წყლის სათავეების გაჭუჭყიანებისაგან დაცვას;

გ) შეამოწმოს ტარდება თუ არა ეფექტური ღონისძიებანი ხმაურთან ბრძოლის გასაძლიერებლად, სამრეწველო თუ კომუნალური ნარჩენებით, ავტოტრანსპორტის გამონახოლქვი გაწვებით ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების თავიდან ასაცილებლად;

4. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივ კომისიას:

ა) ხელი შეუწყოს რკინიგზის, წყლის და საჰაერო ტრანსპორტის, აგრეთვე საქალაქთაშორისო და შიდასაქალაქო საავტომობილო და ელექტროტრანსპორტის შემდგომ განვითარებას იმ ვარაუდით, რომ მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს როგორც სახალხო მეურნეობის, ისე მოსახლეობის მოთხოვნილება ტრანსპორტზე;

ბ) ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ქალაქებისა და სოფლების მშრომელთა ინიციატივას შრომითი მონაწილეობა მიიღონ გზების მშენებლობისა და შეკეთების საქმეში, ხელი შეუწყოს საგზაო სამუშაოებში კომლემენტარობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა დაწესებულებებისა და სამრეწველო ორგანიზაციების ჩაბმის თაობაზე არსებული კანონმდებლობის შესრულებას;

გ) პერიოდულად შეისწავლოს მგზავრთა მომსახურების მდგომარეობა რკინიგზის სადგურებში, საზღვაო პორტებში, აეროპორტებში, ავტოსადგურებში, გაჩერებებზე და დასახოს შეხამების ღონისძიებანი მათი მომსახურების გაუმჯობესებლად;

დ) ხელი შეუწყოს კავშირგაბმულობის ყვე-

ლა საშუალებათა განვითარებას, რადიოტრეობის, ქალაქების, სოფლების, დაბებისა და სხვადასახლებული პუნქტების რადიოფიცირებას. ტელეხედვისა და ტელეფონზაციის გაფართოებას, საფოსტო განყოფილებების მუშაობის გაუმჯობესებას;

ე) შეამოწმოს სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის დარგებისათვის კადრების მომზადების მდგომარეობა, მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები და დასახოს ღონისძიებანი ამ დარგში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

5. სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივ კომისიას:

ა) ხელი შეუწყოს ზოგადი, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების შემდგომ განვითარებას რესპუბლიკაში, სკოლების, ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას იმ ვარაუდით, რომ სწავლებაში ჩაებას სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი;

ბ) შეისწავლოს მეცნიერების განვითარების საკითხები, შეიმუშაოს წინადადებანი სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისა და რესპუბლიკაში სამეცნიერო კადრების მომზადების ხარისხის ასამაღლებლად;

გ) მონაწილეობა მიიღოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის ღონის ასამაღლებლად ღონისძიებათა დასახვასა და განხორციელებაში;

დ) შეისწავლოს დაუსწერებელი და საღამოს სწავლების მდგომარეობა უმაღლესი და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, შეიმუშაოს ღონისძიებანი სწავლების ღონის შემდგომ ასამაღლებლად;

ე) დასახოს ღონისძიებები მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით სოფლად;

ვ) შეიმუშაოს ღონისძიებანი ბავშვთა უმეტესწილობრივი და უზედამხედველობის სალიკვიდაციოდ და არასრულწლოვანთა მიერ სამართლდარღვევის თავიდან ასაცილებლად;

ზ) შეამოწმოს თუ რა მდგომარეობაშია სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლაშტელების დაწესებულებების ნაგებობათა მშენებლობა და რემონტი;

თ) ზომები მიიღოს სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებით, თვალსაჩინოებით, საჭირო ხელსაწყოებითა და დანადგარებით უზრუნველსაყოფად.

6. კულტურის კომისიას:

ა) ხელი შეუწყოს მოსახლეობის კომუნისტური სულიკვეთებით აღზრდას და კულტურ-

რული დონის ამალღებას, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გაღმონაშთების აღმოფხვრას და ახალი სოციალისტური ტრადიციების განვითარებას;

ბ) შეისწავლოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა — კლუბების, მუზეუმების, სახალხო თეატრების, სახალხო უნივერსიტეტების, კულტურის სახლების, პარკების, სახელმწიფო თეატრებისა და კინოთეატრების მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები; იზრუნოს მათი ქსელის გაფართოებაზე და კულტურის ყველა დარგის მიღწევათა ფართო პროპაგანდის ორგანიზებაზე, სახელმწიფოს მიერ აღრიცხული ისტორიული ძეგლების დაცვაზე;

გ) ხელი შეუწყოს წიგნების, გაზეთებისა და ჟურნალების გავრცელებას, წიგნების მაღაზიების და კოსკების ქსელის გაფართოებას. მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების მუშაობის გაუმჯობესებას, მოსახლეობაში ლექციებისა და მოხსენებების ჩატარებას კომუნისტური აღზრდის სხვადასხვა თემებზე;

დ) შეისწავლოს და განაზოგადოს თვითმოქმედი და შემოქმედებითი ორგანიზაციების გამოცდილება, რომლებიც ხელს უწყობენ მოსახლეობაში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაუმჯობესებას;

ე) შეამოწმოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობის მიმდინარეობა, შეისწავლოს მათი სწორი დისლოკაციის საკითხები და დასახოს ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

7. ჩანმრთელობის დაცვის ფიზიკური კულტურის და სოციალური უზრუნველყოფის კომისიას:

ა) ყოველმხრივ შეუწყოს ხელი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას და მედიცინის მეცნიერებისა და პრაქტიკის უახლესი მიღწევების საფუძველზე ჩანმრთელობის დაცვის ორგანოების სამკურნალო და პროფილაქტიკური მუშაობის ღონის ამალღებას;

ბ) ხელი შეუწყოს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელის გაშლას, რესპუბლიკის ქალაქებში, რაიონებში და სოფლებში შესაფერისი სანატორიული წესრიგის დამყარებას;

გ) მოაწყოს სანატორიულ-ჰიგიენური ცოდნის პროპაგანდა ჩანმრთელობის დაცვის ცალკეულ საკითხებზე;

დ) კონტროლი გაუწიოს, რომ სწორად იქნეს გატარებული კანონი კოლმეურნეობათა წევრებისათვის პენსიებისა და დახმარების მიცემის შესახებ, აგრეთვე კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ, რომელიც ეძლევათ მუშებ-

სა და მოსამსახურებს მოხუცებულობისას, ინვალიდობისას, შრომის უნარის დროებითი დაკარგვისას და იმ ოჯახებს, რომლებმაც დაკარგეს მარჩენალი, კონტროლი გაუწიოს აგრეთვე იმას, რომ სწორად მიეცეთ დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს;

ე) მიიღოს ზომები რათა სამინისტროებმა, უწყებებმა და ადგილობრივმა ორგანოებმა გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა ინვალიდების სამუშაოზე მოსაწყობად;

ვ) ხელი შეუწყოს სამედიცინო მუშაკების კვალიფიკაციის ამალღებას, მათთვის, განსაკუთრებით კი სოფლად გაგზავნილი ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის, აუცილებელი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას;

ზ) დაეხმაროს სპორტულ ორგანიზაციებს, რათა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მიიზიდოს მასები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა.

8. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების კომისიას:

ა) ხელი შეუწყოს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას, მათი მუშაობის გაუმჯობესებას, საქონელბრუნვის გეგმების შესრულებას, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტების სწორ განლაგებას;

ბ) შეამოწმოს სახელმწიფო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების განვითარებისა და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების შესახებ ხელმძღვანელი ორგანოების დააწყვეტილებათა შესრულება, საბჭოთა ვაჭრობის წესების დაცვა;


გ) კონტროლი გაუწიოს სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის, გადამუშავებისა და რეალიზაციის დარგში;

დ) ხელი შეუწყოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მშენებლობის გეგმების შესრულებას.

9. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიას:

ა) ყოველმხრივ შეუწყოს ხელი დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებასა და გაფართოებაში, სახელმწიფო გეგმების შესრულებაში, შინაგანი რეზერვების გამოვლინებასა და მაქსიმალურად გამოყენებაში, საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმოებში ახალი ტექნიკის ათვისებაში, აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი დარგების შექმნაში;

ბ) მიიღოს ზომები საყოფაცხოვრებო მომსა-



ბურების საწარმოებში მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების გასაუმჯობესებლად და უსაფრთხოების ტექნიკის წესების ზუსტად დასაცავად, ხელი შეუწყოს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას;

ვ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის სოციალისტური შეკბრების მოწყობაში.

10. ბუნების დაცვის კომისია:

ა) ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ბუნებრივი სიმდიდრეების, მწვანე ნარგავების, წყლის რესურსების დაცვას, კვლავწარმოქმნას და რაციონალურ გამოყენებას;

ბ) დახმარება გაუწიოს ფაუნის ძვირფას და სსარგებლო სახეობათა დაცვისა და გამრავლებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელების საქმეს, მიიღოს ზომები ნადირობის წესების დაცვისა და ბრაკონიერთა წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის შექმნისათვის;

გ) ხელი შეუწყოს ეროვნის საწინააღმდეგო კომპლექსური ღონისძიების განხორციელებას, სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესებასა და გამოყენებას და სახელმწიფო ქარსაცავი ტყის ზომების შექმნას;

დ) შეიმუშაოს ღონისძიებანი ნაკრძალების, სახელმწიფო და საკოლმეურნეო ტყეების დაცვის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად.

ძველი დებულება არ ითვალისწინებდა სხვადასხვა კომისიების მიერ მონათესავე საკითხების ერთობლივად განხილვას.

დებულების მე-11 მუხლი ითვალისწინებს ამას და ხაზს უსვამს, რომ ასეთი საკითხების განხილვა მათ შეუძლიათ საკუთარი ინიციატივით, აგრეთვე უმაღლესი საბჭოს ან პრეზიდიუმის დავალებით.

თუ მუღმივ კომისიას მიაჩნია, რომ მისთვის განსახილველად გადაცემული საკითხი ენება სხვა კომისიის გამგებლობას, ან აუცილებლად მიაჩნია თავისი აზრის გამოთქმა იმ საკითხზე, რომელსაც სხვა კომისია განიხილავს, მას უფლება აქვს ამის შესახებ წინადადება შეიტანოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოში ან მის პრეზიდიუმში.

კომისიებს მინიჭებული აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

მე-17 მუხლით მუღმივ კომისიებს შეუძლიათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის სხლომებზე გამოვიდნენ მოხსენებით ან თანამოხსენებებით იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მათს გამგებლობაშია.

მუღმივი კომისიები გამოყოფენ თავიანთ მომხსენებლებს ან თანამოხსენებლებს იმ საკითხებზე, რომლებსაც განსახილველად წარუდგინენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-

ჭოს ან მის პრეზიდიუმს, ანდა დასკვნისათვის გადასცემენ სხვა კომისიებს.

მუღმივი კომისიების მიერ ერთობლივად მომზადებულ საკითხებზე კომისიებს შეუძლიათ გამოვიდნენ ერთობლივი მოხსენებებით ან თანამოხსენებებით.

დებულებით გათვალისწინებულია, რომ მუღმივ კომისიებს შეუძლიათ შეიტანონ წინადადება უმაღლეს საბჭოში ან პრეზიდიუმში კანონის პროექტების ან რესპუბლიკური მნიშვნელობის სხვა საკითხების განსახილველად გადაცემაზე.

ამასთან განხილვის გამო შემოტანილ წინადადებებს და შენიშვნებს განაზოგადებენ და განიხილვენ შესაბამისი კომისიები და შედეგებს მოახსენებენ უმაღლეს საბჭოს.

მუხლი 19. მუღმივ კომისიებს უფლება აქვთ მოისმინონ საქართველოს სსრ მთავრობის, სამინისტროების, უწყებების, სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებები მათს გამგებლობაში შემავალი საკითხების შესახებ.


მუღმივი კომისიები დროულად აცნობებენ ამის შესახებ შესაბამისი სამინისტროების, უწყებების ხელმძღვანელებს, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოების და ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების, სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების და ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან მუღმივი კომისიის წინადადებით გამოცხადდნენ კომისიის სხლომაზე და წარმომადგინონ ახსნა-განმარტებანი საკითხებზე, რომლებსაც კომისია განიხილავს.

მუხლი 20. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუღმივ კომისიებს უფლება აქვთ მათი გამგებლობის საკითხებთან დაკავშირებით მოსთხოვონ საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებს და სხვა სახელმწიფო რესპუბლიკურ თუ ადგილობრივ ორგანოებს, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და სხვა თანამდებობის პირთ წარმომადგინონ საბუთები, დასკვნები და კომისიებისათვის საჭირო სხვა მასალები. აღნიშნული ორგანოები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან შეასრულონ კომისიების მოთხოვნა და დადგენილ ვადებში წარმომადგინონ საჭირო საბუთები, დასკვნები თუ სხვა მასალები.

ახალი დებულება ითვალისწინებს, რომ მუღმივი კომისიების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები (მუხ. 21) აუცილებლად უნდა განიხილონ შესაბამისმა სამინისტროებმა, უწყებებმა, სხვა სახელმწიფო ორგანოებმა და ორგანიზაციებმა.





ფრიად საყურადღებოა ახალი დებულების 22 მუხლი, რომლის თანახმად უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ წინადადებები შეიტანონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში. მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ აგრეთვე მიმართონ შეკითხვით საქართველოს სსრ მთავრობას ან მის ცალკეულ წევრებს (მუხ. 22).

მუდმივი კომისიებს უფლება აქვთ თავიანთ მუშაობაში ჩააბან უმაღლესი საბჭოს ის დებულებებიც, რომლებიც არ შედიან კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრები მოვალენი არიან დაესწრონ კომისიის სხდომებს და შესრულონ მისი დავალებანი.

მუდმივი კომისიის წევრს უზრუნველყოფილი უნდა ექნეს ყველა პირობა კომისიის მიერ განსახილველი საკითხების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობისათვის. ამ მიზნით მას დროულად ეგზავნება აუცილებელი დოკუმენტები და სხვა მასალები. მუდმივი კომისიის წევრს, რომლის წინადადებასაც კომისიამ არ დაუჭირა მხარი, შეუძლია შესაბამისი საკითხის განხილვისას გამოვიდეს ამ წინადადებით უმაღლეს საბჭოში ან მის პრეზიდიუმში (მუხ. 24).

დებულებით მუდმივი კომისიების წევრები კომისიის სხდომების დროს, აგრეთვე კომისიის დავალების შესრულებისას განთავსდებიან სამუშაოდან ხელფასის შენარჩუნებით, ანდა ეძლევათ გამომუშავების საშუალო ხელფასი მუდმივი სამუშაო ადგილიდან.

მუდმივი კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ნაცვლად ორი მესამედისა, რასაც წინადადება ითვალისწინებდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები მუშაობენ კომისიების სხდომებზე დამტკიცებული გეგმების შესაბამისად. სხდომები იწვევა საჭიროების მიხედვით, მათი გამართვა შესაძლებელია როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის დროს, ისე სესიებს შორის პერიოდში, მაგრამ კვარტალში ერთხელ მაინც.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები გადაწყვეტილებებს იღებენ სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

რამდენიმე მუდმივი კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება თითოეული კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

მუდმივი კომისიების სხდომებში მონაწილეობის მიღება სათათბირო ხმის უფლებით შეუძლიათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დებულებებს, რომლებიც არ შედიან ამ კომისიების შემადგენლობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომებზე შეიძლება მოიწვიონ სამინისტროების, უწყებების, სხვა სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მეცნიერები, რომლებიც კომისიების სხდომებში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

თუ საჭიროა მუდმივ კომისიას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დახურული სხდომის ჩატარების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს განსახილველი საკითხების მონაწილეობა შეუძლიათ შექმნან ქვეკომისიები და სამუშაო ჯგუფები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დებულებების, სათანადო სამინისტროთა უწყებათა, სხვა სახელმწიფო ორგანოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლების, სპეციალისტებისა და მეცნიერების შემადგენლობით.

მუდმივ კომისიებს შეუძლიათ შექმნან ერთობლივი ქვეკომისიები და სამუშაო ჯგუფები.

მუდმივი კომისიის თავმჯდომარე:

იწვევს კომისიის სხდომას და ხელმძღვანელობს სხდომებისათვის მზადებას;

გამოიძახებს კომისიის წევრებს ქვეკომისიების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ან კომისიის სხვა დავალებათა შესასრულებლად;

კომისიის სხდომებში მონაწილეობისათვის მოიწვევს სახელმწიფო ორგანოების, სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს;


თავმჯდომარეობს კომისიის სხდომებს;

კომისიების სახელით ახორციელებს კავშირს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;

წარმართავს მუშაობას კომისიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად;

ინფორმაციას უკეთებს კომისიის წევრებს კომისიის გადაწყვეტილებათა შესრულებისა და მისი რეკომენდაციების განხილვის შედეგების შესახებ;

კომისიების ერთობლივ სხდომებს რიგრიგობით ატარებენ ამ კომისიების თავმჯდომარეები. მუდმივი კომისიის გადაწყვეტილებებს და



დასკვნებს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუდმივი კომისიების მიერ ერთობლივად მიღებულ გადაწყვეტილებებსა და დასკვნებს ხელს აწერენ შესაბამისი კომისიების თავმჯდომარეები და მდივნები.

მუდმივი კომისიის სხდომების ოქმებს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუდმივი კომისიების ერთობლივი სხდომე-

ბის ოქმებს ხელს აწერენ შესაბამისი კომისიების თავმჯდომარეები და მდივნები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები საზოგადოებრიობას აცნობენ თავიანთ საქმიანობას. მუდმივი კომისიების, მათი ქვეკომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებზე შეიძლება მოიწვიონ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

მუდმივ კომისიას მომსახურებას უწევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატი.

## ბექა-ალბუღას სამართლის წიგნისა და მისი ღანაკთი მუხლუგის საქითხისათვის\*

წ. რაბინანი

როგორც ვხედავთ ფიქრიშვილისეული ვარიანტი უკვე არსებულს ადასტურებს და ამიტომაც ამბობს „ასე არისო“, ხოლო ვახტანგისეული ვარიანტი თვითონ ახლად აღგენს კანონს და ამიტომაც ამბობს „ასე იყოსო.“ ცხადია, კანონს, რომელშიც თავდაპირველად ეწერა „ასე იყოსო“ და, მასხადამე, მომავალი დროისათვის იყო გამიზნული, დროთა ვითარებაში გარკვეული ცვლილება უნდა განეცადა და გადამწერლებს გამოთქმის ფორმა „ასე იყოს“ უნდა შეეცვალათ ფორმით „ასე არის“. ამ მხრივ საინტერესო მასალას იძლევა აგრეთვე დაკვირვება ბექა-ალბუღას სამართლის XII მუხლუგ-რომლის B ვარიანტში ნათქვამია:

„ზედა — დამსხმელისა სისხლი და გერში არ არის.

თუ კიდევ იგივე მოკვდეს, რომელსა დაესხა, ორკეცი სისხლი დაუშურვოს და გერშიცა ამავე წესით იყოს“.

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ აქ ლაპარაკობს კანონის დამდგენი, რომელიც ამბობს: „ესა და ეს არ არის“, ხოლო „ესა და ეს ასე იყოს“.

ახლა ვნახოთ, როგორაა წარმოდგენილი იგივე ადგილი A ვარიანტში: — „ზედმისხლმომლისა სისხლი არა არსო.“<sup>14</sup>

და რომელსაცა დასხმოდეს მისი სისხლი ორკეცი და გერშიცა იმავე წესითა“.

აქ ლაპარაკობს უკვე არა კანონის დამდგენი, არამედ მისი შემდგომი მომხმარებელი — გადამწერი, რომელიც ამბობს: „ესა და ეს (არსებული კანონით) ასე არისო“, ხოლო „ესა და ეს ასეაო“.

ეს მაგალითები თვალნათლივ გვიჩვენებენ იმ ვარიანტულ ცვლილებებს, რომლებიც დროთა ბრუნვას ბექა-ალბუღას კანონში შეუტანია. აქედან კიდევ უფრო ცხადია, რომ ამ კანონის B ვარიანტი ვაცილებით უფრო ძველი და სანდოა, ვიდრე მისი A ვარიანტი. ამიტომ, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება A ვარიანტი

ვახტანგისეულ ნუსხას ვუწოდოთ და უპირატესობაც მას მივანიჭოთ.

თანამედროვე მკვლევარები, რომლებიც A ნუსხას უპირატესობას ანიჭებენ, ჩვეულებრივ მიუთითებენ, თითქოს B ნუსხა უფრო მეტად იყოს შერყვნილი გადამწერთაგან, ვიდრე A ნუსხა. მაგრამ ეს შეხედულება ჩვენი აზრით იმის შედეგია, რომ შესწავლილი არ არის საკითხი, რა ხასიათისაა ის ცვლილებები, რომელნიც B ნუსხაშია შეტანილი და შეიძლებოდა თუ არა ასეთი ცვლილებები მომხდარიყო გადამწერთაგან ხელნაწერების უნებლიედ შერყვნის შედეგად?


ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გავცინოთ აკად. ა. შანიძის დაკვირვებას, რომელსაც აკად. ი. დოლიძე სავსებით იზიარებს. ა. შანიძე ამბობს: „ორივე გამოყენებული ხელნაწერი კარგადაა მოღწეული, მაგრამ ტექსტი მეტად შერყვნილია. დამახინჯება რამდენადმე იქედანაა წარმომდგარი, რომ ღედნები, რომელთაგანაც ეს ხელნაწერები მომდინარეობენ (ალბათ არა უშუალოდ, არამედ რამდენიმე ხელნაწერის საშუალებით) ხტუური ასოებით ყოფილა დაწერილი და გადამწერთ ვერ გაუზრჩევიათ მსგავსი მოყვანილობის ასოები... ამას გარდა, გადამწერს სხვადასხვა სიტყვა შეუერთებია... ზოგი სიტყვა გადამწერს ვერ გაუგია და თავისებურად გადაუკეთებია...“

A ტექსტი შედარებით უფრო კარგად არის მოღწეული, ვიდრე B, რომელშიც (განსაკუთრებით ბექას სამართალში) თავისებური კომენტარებია ჩართული. ამიტომ ბექასა და ალბუღას სამართლის ტექსტის დადგენისას უპირატესობა A ნუსხას უნდა მიეცეს, ვინაიდან ჩართულ ახსნა-განმარტებათა გამო შეუძლებელია B ტექსტის ისე გასწორება, რომ პირვანდელი ტექსტი აღდგეს“.<sup>15</sup>

როგორც ვხედავთ, ავტორი ორივე ხელნაწერის შერყვნის მიზეზად მხოლოდ და მხოლოდ გადამწერებს მიიჩნევს. მაგრამ აქ იბა-

\* დასასრული. იხ. უტრნ. „საბჭოთა სამართალი“ 1969 წ., № 1, გვ. 38-42.

<sup>14</sup> არისო.  
<sup>15</sup> ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 284.



დება სრულიად კანონიერი კითხვა: თუ კი **B** ვარიანტის ტექსტიც მართო ვადაწერებმა შერყვნეს, საიდან გაჩნდა „თავისებური კომენტარები“, რომლებიც მასში ჩართულია და რომელთა შესახებ ა. შანიძე ლაპარაკობს? ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ კომენტარები ტექსტში ვადაწერებმა შეიტანეს, რაც ყოვლად წარმოუდგენელი ამბავია? ან კიდევ: თუ კი **B** ნუსხა გვიანდელია და ამიტომაც უფრო შერყვნილი, როგორ მოხდა, რომ სამართლის მთელი რიგი მუხლები, — როგორც ამას ი. დლომიც ალიარებს, — **B** ნუსხაში გაცილებით უკეთესად იკითხება, ვიდრე 1672 წელს ვადაწერილ ნუსხაში?

ამ კითხვების პასუხს ჩვენ მართო იმ შემთხვევაში ვიპოვით, თუ დავუშვებთ, რომ **B** ნუსხის ტექსტი უმეტარ ვადაწერთაგან ზედმეტად შერყვნილი კი არაა, არამედ შეგნებულად რედაქტირებული და შესწორებულია იმ დანიშნულების შესაბამისად, რომელსაც ეს ნუსხა ემსახურებოდა.

ახლა ვცადოთ იმის გარკვევა, თუ რა დანიშნულებას ემსახურებოდა ვახტანგისეული ნუსხა, რა მიზნით მოახდინეს მისი რედაქტირება და რამ გამოიწვია მისთვის დანართი მუხლების მიმატება?

ამასთანავე მოგვიხდება აგრეთვე პასუხი ვაცეტე კითხვას: რა დანიშნულებისათვის იყო განკუთვნილი ფეიქრიშვილისეული ნუსხა, რომელიც საკუთრივ ბექა-აბულას სამართლის წიგნია წარმოდგენილი და რომელსაც არავითარი დანართი არ ახლავს?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად უადრესად საინტერესო და დამაჯერებელ მასალას გვაწვდის ბექა-აბულას სამართლის შესავალი, რომლის ანალიზი ნათლად და გარკვევით გვიჩვენებს როგორც ვახტანგისეული, ისე ფეიქრიშვილისეული ნუსხების დანიშნულებას, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, გვიჩვენებს ამ ნუსხების მოქმედების არეს.

გავეცნოთ ამ შესავალს ორივე ხელნაწერში და შევადაროთ ისინი ერთმანეთს: **A**. ....მე, ათაბაგ-ამირსპასალარმან აბულა, მოვატყენეთ პატიოსანსა... მაწყურერლსა და ბიძა-ძეთა ჩემთა შაშასა და მისა ძმასა ხაფარის მოძღუარსა პაფნუტის, ხუთსავე თემსა სამცხისასა, ტაოველთა, შავშთა და კლარჯთა და მათ შინა ეპისკოპოსთა და მეუღანზოვეთა, მოწყებთა მოწ-

მობითა მინდობილი ღმრთისანი და ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისანი, დაიდევით წინაშე პატრონისა პაპის ჩემისა ბექას განაჩენი, იგი სრულობითა და უკლებლად დავწერეთ და რადცა შამთა სიავითა სხუანი უწესონი საქმენი შემოსრულიყვნეს, მათი სამართალი ზედა დაურთეთ“...

**B**. „შვეიყარენით ქულევეთა მინდობილი ღმრთისანი და აწყურისა ღმრთისმშობლისანი და გაქცევისა (?),<sup>16</sup> დაიდევით წინა პატრონისა პაპის ჩემისა, მანდატურთუხუცესის ბექას განაჩენი და იგი აგრევე სრულობით და უკლებლად დავსწერეთ და, რაცა შამთა სიავითა სხვანი უწესონი საქმენი შემოსრულიყვნენ, მათი სამართალიცა ზედა დაურთეთ“.

ამ ორი ტექსტის უბრალო შედარებაც კი ნათელყოფს, რომ **B** ვარიანტის ტექსტი ვადაწერთაგან კი არ არის **A** ვარიანტზე უფრო მეტად შერყვნილი, არამედ შეგნებულად არის რედაქტირებული სრულიად გარკვეული მიზნით. მიზნც რა ძირითადი და არსებითი განსხვავებაა ამ ორ ვარიანტს შორის?

პირველი ვარიანტი, ანუ საკუთრივ ბექა-აბულას სამართალი, რომელიც მართო **მშ** მუხლისაგან შედგება, განსაზღვრავს ამ სამართლის მოქმედების არეს. ამ ვარიანტის შესავლის ტექსტიდან სრულიად უდავოდ დასტურდება, რომ საკუთრივ ბექა-აბულას სამართლის მოქმედების არე სამხრეთ საქართველო ანუ სამცხე-საათაბაგო ყოფილა.

მეორე ვარიანტი, რომელსაც ვახტანგ მეფემ და მისმა სწავლულმა კაცებმა უპირატესობა მიანიჭეს და რომელიც თავისი დანართებით სულ 170 მუხლისაგან შედგება, სრულებით აღარ იხსენიებს არც სამცხეს და არც სამხრეთ საქართველოს რომელიმე თემს. აქედან ცხადია, რომ მოქმედების არე ბექა-აბულას სამართლის იმ ვარიანტისა, რომელსაც დანართები ახლავს, არ ყოფილა შეზღუდული საქართველოს რომელიმე კუთხით, კერძოდ სამხრეთ საქართველოთი, ის მთელი საქართველოსათვის ყოფილა განკუთვნილი. აქედან ცხადია, თუ რატომ განდა საჭირო საკუთრივ ბექა-აბულას კანონის რედაქტირება და იქიდან მისი მოქმედების ასპარეზის მაჩვენებელი ცნობების ამოღება. აქედან ცხადია აგრეთვე, თუ რატომ განდა საჭირო, გაეფართოვებინათ ბექა-აბულას სამართალი და შეეცნოთ იგი საქართველოს მე-

16 აქ ტექსტი დამახინჯებულია, უნდა იყოს „მოქცევისა“. არქეოლოგმა გ. ლომთათიძემ გამოთქვა აზრი, „მოქცევი“ მესხეთის სოფლის სახელია, სადაც სალოცავი უნდა ყოფილიყო. ჩვენ ეს აზრი საფუძვლიანად მიგვაჩნია. მართლაც, ტექსტში სიტყვა „მოქცევისა“ შემდეგ დატოვებულია ადგილი ერთი-ორი სიტყვისათვის, სადაც ეტყობა, იმ სალოცავის სახელი იქნებოდა მოხსენებული.

ფთა კანონებისა და აგრეთვე კანონიკური სამართლის მუხლებით.

ამრიგად, ვფიქრობთ, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს დებულება, რომ ბეჟა-აღბუღას სამართლის ვანტანგისეული ნუსხა უძველესი და უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია, — მთელი საქართველოსათვის განკუთვნილი კანონმდებლობაა, რომელიც შეგნებულად არის რელაქტიკობული, შევსებული და შესწორებული თავისი გაფართოებული დანიშნულების შესაბამისად.

რაც შეეხება ფიქირიშვილისეულ ნუსხას, ძნელი შესამჩნევია არაა, რომ ის გადაწერილია საკუთრივ ბეჟა-აღბუღას სამართლის წიგნიდან, რომელიც მხოლოდ სამცხე-საათაბაგოში მოქმედებდა და რომელსაც მუხლების რაოდენობაც ნაკლები ჰქონდა და სამოქმედო ასპარეზიც შეზღუდული. ეს აზრი არ შეიძლება დავას იწვევდეს. მთავარ აქ წამოიჭრება კიდევ ერთი კანონიერი კითხვა, რომელიც განმარტებას საჭიროებს: თუ კი ბეჟა-აღბუღას კანონი განავრცეს და მას სამოქმედო ასპარეზიც გაუფართოვეს, რაღა საჭირო იყო 1672 წელს გადაწერათ მისი აღრიხდელი, მოკლე ვარიანტი, რომელიც მარტო სამცხე-საათაბაგოსთვის იყო განკუთვნილი, მით უმეტეს, რომ ამ დროს სამცხე-საათაბაგოს დამოუკიდებლობა დაკარგული ჰქონდა მისი მიწა-წყალი თურქების ხელში იყო?

ერთი შეხედვით, მართლაც საკვირველია, რატომ უნდა დასპირებოდათ ბეჟა-აღბუღას ძველი, მარტო საქართველოს ერთი პროვინციისათვის განკუთვნილი კანონის გადაწერა იმ დროს, როდესაც უკვე ხელთ ჰქონდათ იმავე კანონის უფრო ვრცელი, მთელი საქართველოსათვის გამოსადეგი ვარიანტი. მაგრამ თუ იმ დროინდელ საქართველოს ისტორიულ ვითარებას გავითვალისწინებთ, შემოხსენებულ ფაქტში საკვირველი არააფერია. ცნობილია, რომ ჩამორჩენილმა თურქეთმა, რომელმაც მარტო იარაღის ძალით შესძლო მასზე ვაცილებით დაწინაურებული ქართული ტერიტორიების დაპყრობა, დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოახერხა დაპყრობილ მხარეებში მართვა-გამგეობისა და მეურნეობის საკუთარი სისტემის დანერგვა. მაშადაინებმა მთელი საუკუნის განმავლობაში ისიც კი ვერ შეძლეს, რომ მესხეთში ქრისტიანობა აღმოეფხვრათ, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, 1626 წლამდე მესხეთის მთელი მოსახლეობა ქრისტიანი იყო და

წინანდებურად ქართლის კათალიკოსის სამწყოს შეადგენდა. მხოლოდ ამის შემდეგ მომხდარა მთავართა და წარჩინებულთა, ე. ი. ქართველი საზოგადოების ზედა ფენის გამაშადაინება, თუმცა გლეხობას ქრისტიანობა შემდგომშიც კიდევ დიდხანს შეუნახავს.<sup>17</sup>

აქედან ცხადია, რომ საქართველოს ერთ-ერთ დაწინაურებულ მხარეს — მესხეთს, უცხო დამპყრობთა ძალადობის პირობებშიც, დიდხანს შეუნარჩუნებია თავისი საკუთარი ცხოვრების წარმები, ადამიანებები და შეხედულებები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში იყვნენ შემუშავებული და განმტკიცებულნი. ქართველ ხალხს ძვალ-რბილში ჰქონდა გამგდარი რწმენა საკუთარი მეურნეობისა და იდეოლოგიის უპირატესობისა უცხო დამპყრობთა მეურნეობასა და იდეოლოგიასთან შედარებით. ამ რწმენის აღმოფხვრა ადვილი არ იყო.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, იარსებებდა, რეალური საჭიროება სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობისათვის გარკვეულ დრომდე, ადგილობრივი, ხალხისათვის გასაგები და მახლობელი კანონების გამოყენებისა. ამასთან, ადვილი მისახვედრია, რომ ამ კანონების გამოყენებით, და, მათსადაამე, გადაწერითაც, დაინტერესებული იქნებოდნენ არა მარტო მაშადაინთა ძალმომრეობისაგან შეწუხებული ქართველები, არამედ თვით ადგილობრივი მაშადაინი მმართველებიც, რომლებსაც, ხალხისათვის გასაგები კანონის უქონლად, გაუჭირდებოდათ მხარეში ელემენტარული წესრიგის დაცვა.

ცნობილია, რომ საქართველოს რუსეთთან შერტობის შემდეგ საკმარის დიდი ხნის განმავლობაში (1859 წლამდე) ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურად მოქმედებდა ვანტანგ VI კანონმდებლობა, რადგან რუსული კანონები მოსახლეობისათვის სრულიად გაუგებარი იყო. მაგრამ თუ კი ერთმორწმუნე რუსეთის კანონებსაც კი ქართველი ხალხი დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეეგუა და ცარიზმი იძულებული იყო ადგილობრივი კანონებისათვის ანგარიში გაეწია, ცხადია, თურქული კანონების მისხეთში დამკვიდრებას კიდევ უფრო მეტი ვისააღმდეგობა შეხვდებოდა და ამის გამო საჭირო განდებოდა ადგილობრივი, ქართული კანონების გამოყენება.

ჩვენის აზრით ეს იყო მიზეზი იმისა, რომ 1672 წელს ვინმე იესემ<sup>18</sup> გადაწერა (თუ გადაწერინეს) ბეჟა-აღბუღას ძველი კანონი და თანაც წინდახედულად ამოშალა ამ კანონიდან

17 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 123.  
18 ჩვენის აზრით, უფრო სამართლიანი იქნება ვადამწერის სახელი და იხსენიებოდეს „იესესეულ ნუსხად“.

ნუსხას ეწოდოს მისი ნუსხად“.



სამცხე-საათაბაგოს ადრინდელი პატრონის სახელი.

ვიქრობთ, საკითხი ნათელია.

ახლა, როდესაც ჩვენ დავრწმუნდით, რომ ბექა-აღბულას სამართალი მთელ საქართველოში სამოქმედოდ შევსებული და რედაქტირებული ყოფილა, საჭიროა გამორკვეულ იქნას, როდის და რა პირობებში მოხდა ხსენებული სამართლის რედაქტირება და მისთვის 72 ახალი მუხლის დამატება. ამასთანავე საჭიროა აგრეთვე გაირკვეს დანართი მუხლების შედგენილობა და ის როლი, რომელიც მათ შედგენასა და რედაქტირებაში სახელმწიფომ იმეფმ დავით აღმაშენებელმა შეასრულა.

დავიწყეთ ამ უკანასკნელი საკითხი.

**მ. დანართი მუსლიმის შემადგენლობა. დავით აღმაშენებლის საბანონადგომო მონაწილეობა.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკანასკნელი გამოკვლევების მიხედვით, დანართი მუხლების ძირითადი ნაწილი, სახელდობრ 99-160 მუსლები მიჩნეულია ბაგრატ კურაპალატის 19 სამართლად, დანარჩენი 10 მუსლი კი — კანონიკური სამართლის ფრაგმენტად. ეს დასკვნა, რომელიც ქართველ მეცნიერთა ხანგრძლივი შრომისა და დავიკრებების შედეგია, ჩვენის აზრით, სრული არ არის და შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს.

სამწუხაროდ, დღემდე ჩვენს მკვლევარებს სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ იმ ფრიად საყურადღებო ცნობისათვის, რომელსაც დანართი მუსლების შესავალი შეიცავს და რომელიც უდავო მაჩვენებელია ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ შევსება — რედაქტირებაში დავით აღმაშენებლის უშუალო მონაწილეობისა. წავიკითხოთ ყურადღებით ეს შესავალი:

„სახელია ღმრთისათა დაიწყების საღმრთოა. სააჩინელი და გასაჩინელი, პირველად დავითიან ბაგრატ კურაპალატისა და აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბრძანებითა და მერმე ებისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკუიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი განგებთა ღმრთისათა“.

აქ წარმოდგენილი ტექსტის შინაარსისა და შინაშენების გასაგებად უცილებელია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი გარემოებანი: ჯერ ერთი, ეს შესავალი ეკუთვნის არა მარტო ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალს“, არა-

მედ მოლიანად დანართ მუხლებს, ე. ი. იგი ეკუთვნის კანონიკურ სამართალსაც; მეორე, დანართი მუხლების შედგენა-რედაქტირების ისტორია აქ წარმოდგენილია ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე მათ ავტორებად ერთნაირი უფლებით მოიხსენებიან ბაგრატ კურაპალატი და „აღმაშენებელი მეფეთ-მეფე“, მეორე ეტაპზე კი დასახელებულია ავტორთა მთელი ჯგუფი ანუ კომისია, რომელმაც „მეფეთა წინაშე ერთბამად“ (ე. ი. ერთპირად) გააჩინა ახალი სამართალი.

განვიხილოთ ეს ცნობები ეტაპების მიხედვით. „პირველად დავითიან ბაგრატ კურაპალატისა და აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბრძანებითა“ — გვამცნობს შესავალი. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელს<sup>20</sup> ისეთივე დამსახურება ჰქონია ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ შედგენაში და, მაშასადამე ამ ძეგლის ისეთივე სრულუფლებიანი ავტორი ყოფილა, როგორც თვით ბაგრატ კურაპალატი. მართალია, ბაგრატ კურაპალატი შესავალში პირველად აღიღწეოდა იხსენიება, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ იგი დავითზე ადრე ცხოვრობდა და ხსენებული სამართლის პირველი ავტორია, დავით აღმაშენებლის საკოლეგიაციო მუშაობა კი მერმინდელია. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელს საფუძვლიანად გადაუშუშა ვებია ბაგრატის მიერ შედგენილი კანონი და შეუფარდებია იგი თავისი ღრობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებისათვის. გარდა ამისა დავითს, ჩანს, ახალი მუხლებიც დაუმატებია ბაგრატის სამართლისათვის და სწორედ ამიტომაც უცვლიათ იგი ხსენებული სამართლის ისეთივე ტოლფასოვან ავტორად, როგორც მისი თავდაპირველი შემდგენელი ბაგრატ კურაპალატი იყო. სხვანაირად შეუძლებელიც იქნებოდა. დავით აღმაშენებლის ეპოქაში, როცა საქართველოს ცხოვრების ყველა მხარემ ძირეული რეფორმები განიცადა, როცა თვით სამართლის დარგში სერიოზული ღონისძიებანი გატარდა და ე. წ. „საჯო კარი“ შეიქმნა, წარმოუდგენელია რომ ბაგრატის კანონი უცვლელად მიეღო და მისი საფუძვლიანი შევსება-გაღამუშავება არ მოეხდინათ.

და, რომ დავით აღმაშენებელს მართლაც საფუძვლიანად გადაუშუშა ვებია ბაგრატის სამართალი, ეს ჩანს თუნდაც იქედან, რომ ხსენებული სამართალი ერთი მოლიანი, უნაკლოდ გამარ-

19 ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, აქ იგულისხმება მეფე ბაგრატ III, ი. დოლიძე კი ფიქრობს, რომ აქ ბაგრატ IV უნდა იგულისხმებოდეს.

20 არა გვგონია, ვინმემ სადავოდ გახადოს, რომ აქ მოხსენებული „აღმაშენებელი მეფეთ-მეფე“ სწორედ დავით აღმაშენებელია და არ შეიძლება სხვა ვინმე იყოს. რადგან საქართველოს ისტორია არ იცნობს არც ერთ მეფეთ-მეფეს აღმაშენებლის სახელწოდებით, გარდა დავით აღმაშენებლისა.

თული ძეგლია. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ი. დოლიძე, ამ ძეგლის „მუხლები შინა-არსობრივად დალაგებულია ერთგვარი სისტემით, გარკვეული ორგანული (sic) და ლოგიკური თანმიმდევრობით და ყველა მუხლი ერთიან რედაქციასა მთავანდობს.“<sup>21</sup>

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ არ არსებობს არავითარი საფუძველი უგულვებელყოფით დავით აღმაშენებლის ტოლფასოვანი მონაწილეობა ე. წ. ბაგრატ კურაპალატის სამართლის შექმნაში. ზოგიერთი მკვლევარი, რომელიც ამ კანონის ერთპიროვნულ ავტორობას ბაგრატ IV კურაპალატს მიაწერს, ცდილობს თავისი აზრი დაასაბუთოს იმ ფაქტით, რომ კანონში მოჩანს ანარეკლი ე. წ. „ვერცხლის კრიზისისა“, რომელსაც დიდი ადგილი ჰქონდა ბაგრატ IV დროს. მაგრამ ამ მკვლევარებს ავიწყდებათ, რომ ვერცხლის მონეტის გაუფასურება საქართველოში დავით აღმაშენებლის დროს კიდევ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ბაგრატ IV დროს.<sup>22</sup> აქედან, ცხადია, რომ ვერცხლის გაუფასურების ფაქტი უფრო დავით აღმაშენებლის თანავტორობას უჭერს მხარს, ვიდრე ბაგრატ IV ერთპიროვნულ ავტორობას. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ დავით აღმაშენებელი წინანდელი სამართლის შევსება-გადამუშავების დროს მასში არ დატოვებდა არაფერს ისეთს, რაც მის დროს აღარ შეეფერებოდა. სამაგიეროდ, შეავსებდა სამართალს ისეთი მუხლების, რომლებიც წინანდელ სამართალში არ იყო, მაგრამ ცნობრების წინსვლის შედეგად აუცილებელი გახდნენ.

ამრიგად, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის დანართი მუხლების დიდი ნაწილი (99-160), რომლებიც აქამდე ბაგრატ კურაპალატის სამართლის სახელწოდებით იყო ცნობილი, სინამდვილეში არა მარტო ბაგრატის, არამედ აგრეთვე დავით აღმაშენებლის საკოდიფიკაციო მუშაობის ნაყოფია. ამიტომ მას ამიერიდან ბაგრატ-დავითის სამართალი უნდა ეწოდოს.

ასეთია დანართი მუხლების შესავლის, კერძოდ კი მისი პირველი ნაწილის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნა. ეს ფაქტი კიდევ ერთ ახალ ფურცელს შლის ქართველი ხალხის სახელგანთქმის დავით აღმაშენებლის ისედაც შარავანდელით მოცულ მოღვაწეობის ისტორიაში.

დროა გადავიდეთ დანართი მუხლების შესავლის მეორე ნაწილის ანალიზზე, სადაც ლაპარაკია დანართი მუხლების შევსება-რედაქტირების მეორე, უფრო გვიანდელ ეტაპზე. გვი-

ხსენით შესავლის სათანადო ტექსტი „...პირველად დავითთან ბაგრატ კურაპალატისა და აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა ბრძანებითა და მერმე ეპისკოპოსთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკუიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილიო“. რას ნიშნავს აქ ხაზგასმული „მერმე?“ როდის და რა პირობებში უნდა მომხდარიყო ბაგრატ-დავითის ახალი რედაქტირება და შევსება?

ჭერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ ბექა-აღბუღას სამართლის დანართ მუხლებს (კერძოდ 101, 102 და 103) ძლიერ ანინა ეკლესიისა და სამღვდელთაგანის გავლენა.<sup>23</sup> ეს დაკვირვება სავსებით სწორია. მართლაც, ასეთი გავლენის ფაქტი დასტურდება არა მარტო ხსენებული სამი მუხლით, არამედ დანართის მთელი შინაარსით და აგრეთვე შემოდ მოტანილი „შესავლით“ სადაც ეპისკოპოსები პირველ ადგილზე არიან მოხსენებული. შეიძლება ითქვას, რომ დანართი მუხლები მთლიანად და განსაკუთრებით კი მისი ბოლო ნაწილი (161-170) გაუღენითლია საეკლესიო-სახსულიერო სულიწკვეთებით და გამოხატავს სახელმწიფოში სამღვდელთაგანის დიდ გავლენას. ეს გარემოება მკვლევარებს იმის დასამტკიცებელ საბუთად მიაჩნიათ, რომ თითქოს დანართი მუხლები იმ დროის ძეგლია, როცა ფეოდალურ საქართველოში ცენტრალური ხელისუფლება ჯერ კიდევ სუსტი იყო და სამღვდელთაგანს „თავი მაღლა ეჭირა“. ასეთ დროდ ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია „დავით აღმაშენებლის უწინარესი ხანა“, ხოლო ი. დოლიძეს — „თამარ მეფის წინა პერიოდი“.

ჩვენ აქ არ გამოვუვადებთ ი. დოლიძის მოსაზრების კრიტიკას, რადგან ადვილი შესამჩნევია, რომ თამარ მეფის წინა პერიოდში (ე. ი. გიორგი III და დავით აღმაშენებლის ხანაში) სამღვდელთაგანის რაიმე განსაკუთრებულ გავლენაზე ლაპარაკიც ზედმეტია; რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, მართალია, ამ მოსაზრებას ლოგიკური საფუძველი გააჩნია. მიუხედავად ამისა მას მინაც ვერ გავიწიარებთ, რადგან შეუძლებლად მიგვაჩნია, რომ ბაგრატ კურაპალატს (თუნდაც ის ბაგრატ III იყოს) და განსაკუთრებით კი დავით აღმაშენებელს, რომლებიც დანართი მუხლების შესავალში გარკვევით იწოდებიან ხსენებული სამართლის ავტორებად, კანონში შეენარჩუნებიათ სამღვდელთაგანის უპირატესობის მაჩვენებელი ისეთი მუხლები, რომლებიც თვით ივ. ჯავახიშვილის თქმით,

<sup>21</sup> ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 50.

<sup>22</sup> ი. დოლიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 26, 57. იქვე, გვ. 59.

<sup>23</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, 1, გვ. 87.

IX საუკუნის ვითარებას უფრო შეეფერებინა<sup>24</sup>, ვიდრე XI საუკუნისას. ჩვენი აზრით, მას შემდეგ, რაც დავრწმუნდით, რომ დანართი მუხლები დავით აღმაშენებლის ხელშია გამოვლილი და მის მიერ შევსებული-შესწორებული, სრულიად ზედმეტია ამ მუხლებში აღვინდელი სიტუაციის ამსახველი ისეთი შინაარსის ძიება, რომელიც დავითის დროს აღარ შეეფერებოდა. მაშასადამე, სამღვდლოებას ხსენებული კანონზე შექმლო განსაკუთრებული გავლენის კვალი დაეტოვებინა არა დავით აღმაშენებლის ან თამარის უწინარეს, არამედ მხოლოდ მათ შემდეგ, ხსენებული კანონის ახალი რედაქციის დროს.

მაგრამ როდის შეიძლება მოხდარიყო ეს რედაქცია? ან სხვანაირად რომ ვთქვათ, როდის ჰქონდა ადგილი, დავით-თამარის შემდეგ, ქართულ სახელმწიფოში სამღვდლოების ისეთ გაძლიერებას, როგორც ეს დანართ მუხლებშია ასახული?

ამ კითხვის პასუხი ძნელი არ იქნება, თუ გავითვალისწინებთ XIII-XIV საუკუნეების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას, კერძოდ კი ქართული ეკლესიის იმდროინდელ მდგომარეობას.

ცნობილია, რომ იმ დიდი უბედურების შედეგად, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს მონღოლთა შემოსევის შედეგად თავს დაატყდა, ყველაზე ნაკლებად ქართული ეკლესია დაზიანდა. „მონღოლები სარწმუნეობისათვის არავის ავიწროებდნენ, კულტის მსახურები ყველანი პატივში ჰყავდათ და მათ არც არაფერს ახდევინებდნენ... ამიტომ ეკლესიის მიწა-ადგილები კი არ უკაცრიელდებოდა, არამედ, პირიქით. ჰყავოდა“<sup>25</sup>. ცხადია, ასეთი ვითარების შედეგად ეკლესიის გავლენა სახელმწიფოში უნდა გაძლიერებულიყო და გაძლიერდა კიდევაც, რასაც არ შექმლო თავისი გამოსხატულება კანონმდებლობაშიც არ ეპოვა. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ მონღოლთა თარეშის შედეგად შევიწროვებული ფეოდალები და თვით მეფის მთავრობაც ცდილობდნენ თავიანთი გაჭირვებული მდგომარეობა ეკლესიის ხარჯზე გამოესწორებინათ და ამ მიზნით ცდილობდნენ წინათ ეკლესიისათვის შეწირული მიწების უკანვე გამოეწირვას. ამ გარემოებამ, როგორც ცნობილია, ეკლესიის მესვეურთა დიდი შეუფოთება გამოიწვია და უთუოდ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ

გაძლიერებულმა სამღვდლოებამ მოხლოდნენ-ლი საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიიღო ზომები კანონმდებლობის იმგვარად შესაცვლელად, რომ ეკლესიის ინტერესები წინანდელზე უფრო საიმედოდ ყოფილიყო დაცული<sup>26</sup>. უეჭველია, აქედან წარმოსდგა ის მძიმე სასჯელები და სასტიკი წყევლა-კრულვა, რომლებიც ბაგრატ-დავითის სამართლისათვის, სამღვდლოების გავლენით, მის შემდგომ რედაქტორებს მიუმატებიათ.

ნათქვამიდან ცხადია, რომ ბაგრატ-დავითის სამართლის ახალი რედაქცია უნდა მომხდარიყო საქართველოში მონღოლთა შემოსევის მომდევნო პერიოდში, უფრო ზუსტად ის უნდა მომხდარიყო ორმეფობის ხანაში, ე. ი. არა უადრეს 1249 წლისა და არა უგვიანეს 1316 წლისა. ამ ფაქტს ადასტურებს ხსენებული სამართლის შესავალი, სადაც ნათქვამია, რომ „ეპისკოპოსოთა, დიდებულთა, და აზნაურთა და ჰკუიანთა კაცთა“ სამართალი ერთობილად გააჩინეს „მეფეთა წინაშეო“. ჩვენის აზრით, აქ იგულისხმება არა ერთი, არამედ ორი მეფე, რომელთა დავალებით კომისიას მოუხდენია აღვინდელი კანონის რედაქტირება და კანონიკური სამართლის ფრაგმენტებით მისი შევსება. საფიქრებელია, რომ ეს ამბავი მოხდა მეფეების დავით გიორგი ლაშას ძის და დავით რუსუდანის ძის დროს, თუმცა ისიც არაა გამორიცხული, რომ მათი მომდევნო მეფეების დროს მომხდარიყო.

ამრიგად, ჩვენს თვალწინ შემდეგი საინტერესო სურათი იშლება: იმ დიდი ქართველობის შედეგად რომელიც, მონღოლთა შემოსევის შემდეგ საქართველოს ცხოვრებაში მოხდა, დღის წესრიგში დადგა ქვეყნის კანონმდებლობის ახალი ვითარების შესაბამისად შეცვლის ამოცანა. ამ ამოცანის განხორციელებისათვის ზრუნავენ და მასზე თვინავენ გავლენის ბეჭედს ასვამენ ფეოდალური საზოგადოების ის ძალები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად დაზარალებდნენ მონღოლთა ბატონობისაგან და შეინარჩუნეს უნარი თავიანთი სასიცოცხლო ინტერესების დაცვისა. ასეთი ძალებია, ერთი მხრივ, სამცხის ფეოდალთა კლასი, რომელმაც ე. წ. „ხასინჯუს“ წყალობით საქართველოს დანარჩენი პროვინციების ფეოდალებთან შედარებით მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა; ხოლო, მეორე მხრივ უმაღლესი სამღვდლოება, რომელმაც იმავე მონღოლთა ბატონობის შედეგად საერთო დიდებულებთან შედარებით ასევე მნიშვნელოვანი

<sup>24</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

<sup>25</sup> საქართველოს ისტორია, I, 1958, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. გვ. 225, 233.

<sup>26</sup> XIII-XIV სს. საქართველოში ეკლესიის გავლენის გაძლიერებას ადასტურებს თვით საკუთრივ ბეჭე-აღბუღას სამართლის მუხლებიც, სადაც მაწყვერელის პატივი საცხებით პატრონ ათაბაგის პატივთან არის გათანაბრებული.



უპირატესობა მოიპოვა და წინანდებურად თავი „მალა ასწია“.

ახე შეიქმნა, ერთი მხრივ, ბეჟა-აღბუღას სა-  
შართალი, რომელიც საერო ფეოდალთა ინ-  
ტერესების დაცვას ემსახურებოდა, ხოლო მე-  
ორე მხრივ, ბაგრატი-დავითის სამართლის ახალი  
რედაქცია, რომელიც სასულიერო ფეოდალების  
ინტერესთა დაცვას ემსახურებოდა. ორივე ეს  
სამართალი თავისი დროის პროდუქტია, სა-  
ქართველოში მონღოლთა ბატონობით გამო-  
წვეული ვითარების ნაყოფია.

ძნელი შესამჩნევია არ არის, რომ საქართვე-  
ლოს ისტორიის მოვლენათა შემდგომ განვითარებას,  
კერძოდ საქართველოს კვლავ გაერთიანებას,  
ეს კანონებიც უნდა გაეერთიანებია და  
შექმნა ახალი სამართალი, რომელიც გიორგი  
ბრწყინვალისა და ბაგრატ დიდის გარდამავალი  
ეპოქის შესაფერი იქნებოდა.

4. ბაჟა-აღბუღას სამართალი და მისი  
დანართი მუსხლავი, როგორც მთელ საქარ-  
თველოში მოქმედი კანონმდებლობა.

როგორც უკვე ითქვა, მონღოლთა ბატონობის  
დროს სამცხე-საათაბაგო, საქართველოს დანარ-  
ჩენ მხარეებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში  
იმყოფებოდა. სწორედ ამ გარემოებით აიხსნება, რომ  
მანდატურთუხუცესმა ბეჟამ, რომელიც ამ კუთხის  
უზენაესი მმართველი და გაბატონებული კლასის  
ინტერესების გამომხატველი იყო, ჯერ კიდევ  
მონღოლთა ბატონობის დროს (1295-1304 წწ.)  
მოახერხა ახალი ვითარების შესაფერისი  
სამართლის შედგენა. მაგრამ ძნელი მისახვედრი  
არ არის, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს  
ერთ პროვინციაში (სამცხე-საათაბაგოში)  
გაჩნდა კანონი, რომლის რეალური საჭიროება  
მთელ საქართველოში იგრძნობოდა, ყოველად  
შეუძლებელი იყო, რომ ამ კანონს  
სხენებული პროვინციის ფარგლები არ გადაეღა  
და მისი მოქმედება საქართველოს სხვა  
მხარეებზე არ გავრცელებულიყო. თავდაპირველად  
ეს პროცესი სტიქიურად, სასამართლო პრაქტიკის  
ძალით უნდა მომხდარიყო, შემდეგში კი  
ოფიციალურადაც დაკანონებულიყო.

ქართულ ისტორიოგრაფიას მოეპოვება არა ერთი  
უტყუარი ცნობა. საიდანაც ჩანს, რომ საქართველოში  
ზშირი იყო შემთხვევები, როდესაც ერთი  
რომელიმე კუთხისათვის შედგენილი სამართალი  
ყოველგვარი სანქციის გარეშე, სასამართლო  
პრაქტიკის მეშვეობით, საქართველოს სხვა  
კუთხეებშიც მოქმედ კანონად იქცეოდა. ახე  
ღამართა, მაგალითად ვახტანგ VI

სამართალს, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ  
აღმოსავლეთ საქართველოსათვის იყო შედგენი-  
ლი, მაგრამ შემდეგში მთელ საქართველოში  
მოქმედებდა. ამასთან დაკავშირებით პროფ. ალ.  
ვაჩიშვილი ამბობს: „უნდა მივაქციოთ ყურადღე-  
ბა ერთ მეტად საგულისხმო ფაქტს, რომლი-  
თაც მტკიცდება სასამართლო პრაქტიკის დიდი  
გავლენა საქართველოს ისტორიაში. ვახტანგ VI  
კანონმდებლობა ტერიტორიულად გათვალისწინე-  
ბული იყო აღმოსავლეთ საქართველოსათვის,  
მაგრამ, როგორც უდავოდ მტკიცდება ისტორიული  
მასალებით, მისი მოქმედების სივრცე გაცილებით  
უფრო ფართო იყო, ვინაიდან ვახტანგ VI  
სამართლის წიგნის ნორმებს უფარდებდნენ  
დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა პრო-  
ვინციებში. ვახტანგის კანონების მოქმედების  
არეს ამგვარი გაფართოება უნდა ავხსნათ არა  
იმით, რომ ამ კანონებმა დასავლეთ საქართვე-  
ლოს ცხოვრებაში ძალა მოიპოვეს რაიმე საკანონმდებლო  
აქტის საშუალებით, არამედ იმით, რომ ვახტანგის  
კანონები მიიღო და გამოიყენა სასამართლო  
პრაქტიკამ. სასამართლო პრაქტიკის გზით  
შევიდნენ ისინი ძალაში, სასამართლო სექ-  
ციონის მეშვეობით ჰპოვეს მათ ავტორიტე-  
ტული აღიარება და სანგრძლივი დემოკრატული  
გამოყენების საფუძველზე მოქმედ სამართლად  
იქნენ მიჩნეული“ 27.


ანალოგიურ მდგომარეობას ვხედავთ კათალი-  
კოზთა სამართლის მიმართაც. როგორც სამარ-  
თლიანად აღნიშნავს პროფ. ი. დოლიძე „მარ-  
თალია, კათალიკოზთა სამართალი თავდაპირ-  
ველად შედგენილი იყო როგორც დასავლეთ  
საქართველოს საეკლესიო სჯული, მაგრამ, უე-  
ჭველია რომ თანდათანობით მისი მოქმედება  
მთელ საქართველოზე გავრცელდა... იგი მთელი  
საქართველოს საეკლესიო წესწყობილებისათვის  
დამახასიათებელი ძეგლია, რომელიც XVI-XVIII  
სს. აღმოსავლეთ საქართველოშიც მოქმედებდა  
და მამასაღამე, მისი ასპარეზი მხოლოდ იმე-  
რითთა და სამეგრელო-აფხაზეთით არ შემოი-  
ფარგლებოდა.“ 28

დაბოლოს, შეიძლება გავისხენოთ აგრეთვე  
გიორგი ბრწყინვალის „ქეგლის დადება“, რო-  
მელიც თავდაპირველად ადგილობრივი მნიშვნე-  
ლობის სამართალი იყო და მხოლოდ მთიულეთ-  
ში მოქმედებდა, მაგრამ შემდეგში, როგორც  
ამას ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის  
შესავალი გვაუწყებს, ამ კანონით „სქიდენ სამ-  
ნივე ესე სამეფონი ქართლისანი.“ 29 აქედან ცხა-

27 ალ. ვაჩიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, II, თბ., 1948. გვ. 156.

28 ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 607.

29 ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963. გვ. 614.



და, რომ ძეგლის დადება“ მოქმედი კანონი უოფილა როგორც ქართლსა და კახეთში, ასევე იმერეთის სამეფოში.<sup>30</sup>

ეს მაგალითები უდავოდ გვიჩვენებენ, რომ ფეოდალიზმის ეპოქაში საქართველოს ცალკეული მხარეებისათვის შედგენილი არც ერთი კანონი, როგორც წესი, არ რჩებოდა თავისი თავდაპირველი მოქმედების ასპარეზის ფარგლებში და მისი მოქმედება მთელ საქართველოზე ვრცელდებოდა. ცხადია, ბექას სამართალიც ვერ დარჩებოდა სამცხე-საათაბაგოს ფარგლებში და მას სასამართლო პრაქტიკა საქართველოს სხვა კუთხეებშიც უთუოდ გამოიყენებდა. ეს მით უფრო უტყვევლია, რომ ბექას დროინდელი მესხეთი საქართველოს ყველაზე მოწინავე, ყველაზე მდიდარი და კულტურულ მხარეს წარმოადგენდა და გზის მაჩვენებელი იყო საქართველოს დანარჩენი მხარეებისათვის. უამთაღმწერელის სიტყვით, ქართლში იმ დროს „არა იყო მათ უამთა შინა თესვა და არცა შენება ყოვლადვე... და უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს, ქუთუყანად ბექასსა, სადა იგი იპოვებოდა პური სასყიდლად.“<sup>31</sup> ასეთ პირობებში, თქმა არ უნდა, სამცხე-საათაბაგო არამარტო პურს უზიარებდა თავის თანამოქმედს, არამედ სამართალსაც, რომელიც იხევე საჭირო იყო იმდროინდელ საქართველოში, როგორც პური.

ბექას სამართლის გამოყენება საქართველოს სხვა კუთხეებში განსაკუთრებით უნდა გაძლიერებულიყო მას შემდეგ, რაც ბექას შვილიშვილმა და მის მიერ აღზრდილმა გიორგი ბრწყინვალემ საქართველო გაერთიანა და მთელს სახელმწიფოში ფეოდალური წესრიგის აღდგენისა და კანონიერების დაცვის საკითხი უაღრესად აქტუალური გახდა. მართალია, გიორგი ბრწყინვალის მთელი ენერგია მონღოლთაგან დარღვეული ქართული სახელმწიფოს კვლავ გაერთიანებისა და მისი პოლიტიკური განმტკიცების ღონისძიებებს მოხმარდა, მაგრამ ამ სახელგანთქმულმა მეფემ სამართლის დარღვივებულ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა, რასაც ცხადად მოწმობს მის მიერ მთიულეთისათვის შედგენილი სამართალი — „ძეგლის დადება“.

„ძეგლის დადების“ შესავლიდან სრულიად აშკარად ჩანს, რომ გიორგი ბრწყინვალის დროს საქართველოს მხოლოდ მთიანი ნაწილის მოსახლეობას არ ჰქონდა მათი ცხოვრების შესაფერი სამართალი, ბარის მოსახლეობისათვის კი,

სადაც განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა მონღოლთა ბატონობამაც კი ვერ შესცვალა, იმ დროს „ღმრთივ გვირგვინოსანთა მეფეთაგან“ გაჩენილი სამართალი არსებობდა. აქ, ცხადია, იგულისხმება ბაგრატი-დავითის სამართლის ის ახალი რედაქცია, რომელზეც შემოთგვიქონდა საუბარი.

ამრიგად, გიორგი ბრწყინვალის დროს საქართველოს ბარში მოქმედებდა ორი სამართალი: ბაგრატი-დავითისა, რომელიც გაძლიერებულმა სამღვდელთაგან თავისი ინტერესების შესაფერისად გადააქეთა და ათაბაგ ბექასი, რომელიც საერო ფეოდალთა ინტერესების დაცვას ემსახურებოდა. პირველი ქართველ მეფეთა ოფიციალური სამართალი იყო, მეორე კი მხოლოდ სასამართლო პრაქტიკის ძალით გავრცელდა, რადგან საქართველოს ყველა კუთხისათვის საჭირო იყო. მოვლენათა შემდგომ განვითარებას, ადრე თუ გვიან, დღის წესრიგში უნდა დაეყენებინა და დააყენა კიდევაც ამ ორი სამართლის გაერთიანების საკითხი.

XIV საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც საქართველოში კლასობრივი ბრძოლა გამწვავდა და მეკობრეობა უდიდეს სოციალურ მოვლენად იქცა, ფეოდალთა კლასისათვის აუცილებელი გახდა საკუთარი ინტერესების დაცვის გაძლიერება. ასეთი ვითარებაში იმავე სამცხის მმართველმა წრეებმა გამოიჩინეს ინიციატივა და ბექას შვილიშვილმა, ათაბაგ-ამირსპასალარმა აღბულამ ბექას კანონები ახალი მუხლებით შეავსო და საქართველოს მესვეურთა წინაშე უკვე პრაქტიკულად დადგა საკითხი, რომ ბექა-აღბულას სამართალი, რომელიც ფაქტიურად უკვე მოქმედებდა საქართველოში შეერთებინა ბაგრატი-დავითის სამართლის ახალ რედაქციასთან და, ამრიგად, შეექმნათ მთელი საქართველოსათვის განკუთვნილი ერთი მთლიანი სამართალი. როგორც ირკვევა, ეს შეერთება მომხდარა მეფე ბაგრატი V დიდის დროს, დაახლოებით XIII საუკუნის 70-80-იან წლებში.

რა საფუძველი მოგვეპოვება ამგვარი დასკვნისათვის?

დავაკვირდეთ ათაბაგ აღბულას სიტყვებს, რომელიც წამძვარებული აქვს მის სამართალს: „პატრონისა პაპის ჩემისაგან განაჩინი ყაზანური თეთრი იყო და ამა უამთა შინა ყაზანურიცა არღარა იყო და დიდის წარჩინებულის მეფის გიორგის უამისა თეთრი გვაჩინეთ: ორიანი ხუთი

30 ჩვენი აზრით ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის შესავლის ეს სიტყვები ისე უნდა გავიგოთ, რომ „ძეგლის დადება“, როგორც მოქმედი სამართალი, გამოიყენებოდა ქართლის, კახეთისა და იმერეთის მთიანი რაიონების მოსახლეობისათვის (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 617).

31 ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 309-310.

დანგი წმინდა ვერცხლი და, როგორცა აწ უამისა თეთრი იყოს, ანგარიშით ამა წესით აღიღებდნენ.“ როგორც ვხედავთ, აღბუღას ფულის ერთეული ე. წ. „ყაზანური თეთრი“, რომელიც მის დროს ხმარებიდან გამოსული ყოფილა, შეუცვლია სხვა ერთეულით, ე. წ. „გიორგის უამის თეთრით“, რომელიც მის დროს ყოფილა ხმარებაში. მაგრამ რა იგულისხმება ამ „გიორგის უამის თეთრში“, ან როდის იყო ხმარებაში ასეთი ფული?

ქართულ ისტორიოგრაფიაში უკანასკნელ დრომდე „გიორგის უამის თეთრი“ გაგებული იყო, როგორც გიორგი ბრწყინვალის მიერ მოჭრილი ფული — გიორგაული. მაგრამ ნუმისმატიკმა გ. დუნდუამ თავის საკანდიდატო დისერტაციაში (1925 წ.) დაამტკიცა<sup>32</sup>, რომ „გიორგის უამის თეთრი“ არის არა გიორგაული, არამედ გიორგი ბრწყინვალის დროს ხმარებაში მყოფი აბუსაიდის (1216-1238 წწ) მონეტა-ორიანი სუთი დანგი წმინდა ვერცხლი. მაშასადამე, ბექა-აღბუღას სამართალში, ისევე როგორც მის დანართ მუხლებში, ფულის ერთეულად აღებულა გიორგის უამის თეთრი — აბუსაიდის მონეტა.<sup>33</sup> თავისთავად ცხადია ბექას სამართლის შევსება აღბუღას მიერ და შემდეგ კი მასთან, დანართი მუხლების სახით, ბაგრატ-დავითის სამართლის ახალი რედაქციის მიმატება მომხდარა იმ დროს როდესაც აბუსაიდის მონეტა (თავის მინაბაძებით) მიმოქცევაში იმყოფებოდა, ე. ი. დაახლოებით XIV საუკუნის 80-იან წლებამდე. თუ ამასთან იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ 1251 წლამდე სამცხის ათაბაგად ყვარყვარე სარგისის ძე იჯდა და მაშასადამე, აღბუღას ამაზე ადრე არ შეეძლო შეეცხო ბექას სამართალი, ცხადი განდებოდა შემდეგი ჭეშმარიტება: ბექას სამართლის შევსება აღბუღას მიერ, ხოლო შემდეგ, — ახლო ხანებში, — იმავე სამართლისათვის ბაგრატ-დავითის სამართლის ახალი რედაქციის მიმატება მომხდარა XIV საუკუნის 60-80-იან წლებში, ე. ი. მეფე ბაგრატ V დიდის (1260-1298) დროს.

თავისთავად ცხადია, რომ კანონმდებლები, რომლებიც ბექა-აღბუღას სამართალსა და ბაგრატ-დავითის სამართლის ახალ რედაქციას აერთებდნენ, მათ მექანიკურად კი არ გადაბამდნენ ერთმანეთზე, არამედ ორივე კანონს გარკვეულ რედაქციას გაუკეთებდნენ, რათა მათი შინაარსი, შეძლებისდაგვარად, ერთმანეთისათვის შეეთანხმებინათ და, ამრიგად, მთელი საქართვე-

ლოსათვის გამიზნული ერთიანი სამართალი შეექმნათ. ამით აიხსნება იმ ცვლილებების, კერძოდ კი ე. წ. „კომენტარების“ არსებობა B ვარიანტში რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ამითვე აიხსნება ის ფაქტიც, რომ თვით გამოჩენილ სპეციალისტებსაც კი უჭირთ ბექა-აღბუღას სამართლისაგან მისი დანართი მუხლები გამოცალკევონ.

საყურადღებო აღინიშნოს, რომ სხენებულ რედაქტორებს არც ბექა-აღბუღას სამართალში და არც ბაგრატ-დავითის სამართლის ახალ რედაქციაში, მათი შეერთების დროს, არსებითი ცვლილებები არ შეუტანიათ, სხენებულ კანონთა ავტორების სახელებიც არ ამოუშლიათ და მხოლოდ რედაქციული ხასიათის აუცილებელი ცვლილებებით და ე. წ. „კომენტარებით“ დაკმაყოფილებულან. ეს ფაქტი, თუ იმდროინდელ ვითარებას გავითვალისწინებთ სავსებით გასაგები გახდება. მართლაც, დიდს გაჭირვებით ხელახლა გაერთიანებული საქართველოს მეფეს, რომელიც მთელი ძალ-ღონით ცდილობდა წინააღმდეგი სახელგანი მეფეების დროინდელი წესრიგი აღედგინა, არავითარი საფუძველი არ ექნებოდა კანონმდებლობიდან სხენებული მეფეების სახელები ამოეშალა. ასევე არ შეეძლო მას სამართლიდან ამოეშალა სახელი სამცხის უძლიერესი ათაბაგებისა მით უმეტეს, რომ ერთი მათგანი, სახელდობრ აღბუღა იმ დროს ჭერკილევ ცოცხალი იყო და, ათაბაგობასთან ერთად, საქართველოს სამეფოს ამირსპახალარის მაღალ ტიტულსაც ატარებდა.

ამრიგად, დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის B ვარიანტი, რომელსაც დანართი მუხლები ახლავს და რომელიც ვახტანგ მეფემ თავის კრებულში შეიტანა, შეიქმნა ვახტანგამდე დიდი ხნით ადრე და წარმოადგენდა კანონს, რომელიც განკუთვნილი იყო მთელს საქართველოში ხამოქმედლოდ და კიდეც მოქმედებდა.

ამით ჩვენ შეგვეძლო დავვესრულებინა გამოკვლევა ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის დანართი მუხლების შესახებ, მაგრამ საეჭვო რომ აღარაფერი დარჩეს, მკითხველს წარმოვუდგენთ კიდევ ერთ საინტერესო საბუთს, რომელიც დასტურებს ჩვენი დასკვნის სისწორეს. მხედველობაში გვაქვს XVIII საუკუნის ლიტერატურული

<sup>32</sup> Г. Ф. Дундуа, Монетное обращение и торгово-экономические связи Грузии XV в. (Автореферат) Тб. 1965, გვ. 8—9.

<sup>33</sup> რამდენადაც დანართ მუხლებში ფულის ერთეული ცალკე არაა განსაზღვრული, თავისთავად იგულისხმება, რომ აბუსაიდის მონეტა ფულის ერთეულად მიჩნეულია არა მარტო საკუთრივ ბექა-აღბუღას სამართალში, არამედ მის დანართ მუხლებშიც.



ძველი, პოემა „შაჰნავაზიანი“<sup>34</sup> რომელშიც ბექას სამართალი გაგებულა, როგორც მთელი საქართველოს უზენაესი სამართალი.

როგორც ცნობილია, ისტორიული პოემა „შაჰნავაზიანი“, რომელშიც რეალისტურად არის გადმოცემული XVII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ცხოვრების სურათები, ეკუთვნის კარის პოეტის ფეშანგი ფაშვიბერტყაძის კალამს. ფეშანგი ვაჭართა წრიდან გამოსული მოღვაწეა და ხელმწიფის კარზე მდივან-მწიგნობარის მოვალეობას ასრულებს. პოემაში ფეშანგი კიცხავს ფეოდალთა ადვირახსნილობას და მხარს უჭერს ძლიერ მეფეს, რომელიც ვაჭრებს თავაღთა ძალმომრეობისაგან დაიფარავდა. ფეშანგი პირდაპირ მოუწოდებს ქვეყნის მმართველებს, შექმნან სამართალი, რათა ქვეყნად იყოს სიმართლე და ვაჭრებს ნორმალური საქმიანობის საშუალება მიეცეთ. ამასთანავე ფეშანგიმ კარგად იცის, რომ საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა სამართალი და სწორედ იმ ძველი, ტრადიციული სამართლის აღდგენას მიიზიარებს. ის ამბობს:

„ღუთის სამართალი ვირწმუნოთ,  
ბექადგან განაჩენია“.

აქედან ხავსებით აშკარაა, ფეშანგის სცოდნია, რომ საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა ბექას სამართალი, რომელიც ღუთის სამართლად, ე. ი. უზენაეს და საყოველთაო სამართლად ითვლებოდა. შედგმტია იმის მტკიცება რომ მეფის კარის პოეტი და ვაჭართა წარმომადგენელი, რომელიც ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების მომხრეა, არ მოისურვებდა ბექას სამართლის აღდგენას, ეს სამართალი რომ მიიჩნდეს არა მთელი საქართველოს, არამედ მისი ცალკე კუთხის (სამცხის) კანონად.

ხოლო „ბექადგან განაჩენ“ სამართალში რომ ფეშანგი სწორედ ბექა-აღბუღას სამართალს და მის დანართებს, ე. ი. ვახტანგისეული ნუსხას გულისხმობს, ეს მტკიცდება შემდეგი საყურადღებო ფაქტით: თვით ვახტანგ მეფე თავისი სამართლის წიგნის შესავალში ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს და მის დანართებს (ე. ი. B ნუსხას) ბექას სამართალს უწოდებს. აი, მისი სიტყვები:

„პირველ „დაბადებისა“, მოსეს მიერ ქმნილი სამართალნი და კვალად ბერძენთა და სომეხთა წიგნთაგან გადმოთარგმნებული, ეგრეთვე კათალიკოსისა, მეფის გიორგისა და ბექას განჩინებული სამართლები შევკრიბეთ“.<sup>35</sup>

ისტორიული და ლიტერატურული წყაროების ასეთი ზუსტი ურთიერთდამთხვევა უეჭველი მოწმობაა იმისა, რომ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ვახტანგისეული ნუსხა ძველად ბექას სახელით ყოფილა ცნობილი. როგორც ჩანს, ხალხის მესხიერებაში ცხოვლად აღიბეჭდა ის დრო, როცა „უმრავლესი ერთი ქართლისა წარვიდა სამცხეს ქუეყანად ბექასსა“; და ამიტომაც შერჩა ქართულ სამართალს ბექას სახელი, თუმცა ამ სამართლის 170 მუხლიდან ბექას მარტო 65 ეკუთვნის.

ასეთია, მოკლედ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნისა და მისი დანართი მუხლების წარმოშობის ისტორია, რომელიც უდაოდ გვიჩვენებს, რომ ხსენებული ძეგლის ვახტანგისეული (B) ვარიანტი ჭერ კიდევ XIV საუკუნეში მთელ საქართველოში მოქმედ კანონს წარმოადგენდა (რასაკვირველია, მთელ საქართველოში აქ ვგულისხმობთ მაშინდელი საქართველოს ყველა განვითარებულ მხარეს და არა ქვეყნის მთიან ჩამორჩენილ რაიონებსაც, სადაც, როგორც ცნობილია გიორგი ბრწყინვალის სამართლით სჯიდნენ).

ამრიგად, ძველი ქართული სამართლის წიგნი, რომელშიც ორგანულად არის გაერთიანებული და თავისი დროისთვის გაწყობილი ბაგრატ კურაპალატის, დავით აღმაშენებლის, ბექასა და აღბუღასი და საეკლესიო სამართლის მუხლები არის უნიკალური იურიდიული ძეგლი და უძვირფასესი ისტორიული წყარო. ამ სამართალში, როგორც სარკეში ასახულია ფეოდალური საქართველოს თითქმის მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება გარკვეულ ეპოქაში. ამასთან ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ სამართალში არა მარტო საერთო ცხოვრების სურათია აღბეჭდილი, არამედ აგრეთვე სასულიერო ცხოვრებისაც. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის სამართლის მნიშვნელობას, ადასტურებს მის უნივერსალურ აღნაგობას.

34 „შაჰნავაზიანის“ შესახებ იხ. გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები. თბ. 1956 წ.

35 ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 478.

# გლახთა საკითხი ქართულ საკანონმდებლო კავშირსა და საბჭო სიბელ-გუჯარებში XVIII ს. საქართველოში

## 2. თოფურია

XVIII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში გლახთა უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ეს გამოწვეული იყო ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცებულიობით, შინაფეოდალური აშლილობით, ომებით, გარეშე მტერთა მოძალებით. მიძიმე ტვირთად აწვა საზოგადოებას აგრეთვე „ტყვეთა სყიდვა“. აღვირახსნილი ფეოდალური ექსპლუატაცია ქვეყანას დაღუბვას უქადდა. საჭირო იყო პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა და საბატონყმით ურთიერთობის მოგვარება.

ამ საკითხის მოგვარება პრაქტიკულად ვახტანგ მეექვსემ და ერეკლე მეორემ სცადეს.

ვახტანგის საკანონმდებლო მოღვაწეობის ორი ძეგლი — „დასტურლამალი“ და „სამართლის წიგნი“ იმის უტყუარი მოწმობაა, რომ სახელმწიფო ცდილობდა სამოქალაქო ურთიერთობასა და მმართველობის სისტემას მოწესრიგებული — კანონიერ-სამართლიანი ხასიათი ჰქონდა.

ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის შედგენამდე ისეთი ვითარება ყოფილა, რომ „თვით სიბრძნით და თავით თვისით სჯიდენ და განაგებდენ, ვიეთნიმე მოყუსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე მორიდებით, ვიეთნიმე ღრთის ურიდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამითა, — ვითარცა ეხებათ სჯიდენ“<sup>1</sup>.

თუ რა მიზანი ამოძრავებდა ამ წიგნს რომ აღგენდა, ამის შესახებ თვითონვე გვაუწყებს: „ამით უფრო ვიქმენით მიზეზ წიგნისა ამის, რამეთუ აღარავინ განდრიკოს სასწორსა სამართლისასა ქრთამით, გინა მოყუსობით ანუ სხეფრივ რითმე მიდგომითა“<sup>2</sup>.

ვახტანგის სამართლის 270 მუხლიდან ბევრი პირდაპირ თუ არაპირდაპირ გლახსა და მის მდგომარეობას ეხება.

სამართლის 95-ე მუხლის ძალით ბატონს აეკრძალა თავისი ყმა-გლახის მოკვლა და გა-

ხეიბრება. სამართალმა ეს უფლება ბატონს წაართვა და ხელმწიფის (მეფის) და კათალიკოსის უფლებად აღიარა:

„თუ კაცმა თავისი ყმა ან მოკლას, ან გაახეიბროს, თუ დანაშაულზე უქნია, მით ბატონისაგან და კათალიკოსისაგან საწყენი არის, ამიტომ რომე უკლმწიფოს კაცს თავისის ყმის სიკუდილი და გახეიბრება არავის ჭელმწიფების. რომელიც მაგვარი სასიკუდილო და ან გასახეიბრებელი დანაშაული ქონდეს, ჭელმწიფეს მოაქსენოს და მისის დასტურით უყოს“<sup>3</sup>.

მართალია, იქვე იყო აღნიშნული, რომ თუ ბატონმა თავისი ყმა მოკლა, „ყმა ვერას შუა“, მაგრამ ბატონის უფლება მაინც შეზღუდულია იმ მხრივ, რომ იგი დამნაშავედ იქნებოდა ცნობილი და დაზარალებულის ოჯახისათვის საფათერაკე უნდა გადაეხადა.

დაზარალებული ყმის ოჯახი თავისუფლდებოდა ასეთი ბატონისაგან. მას უფლება ჰქონდა თავისი სურვილის მიხედვით მოქცეულიყო, დარჩენიყო ძველ ბატონთან, ან სხვასთან წასულიყო.

201 მუხლში ნათქვამია: „თუ აქაღამ (ე. ი. ქართლის სამეფოდან, ე. თ.) აყრილი გლახი სხვის საბატონოში წავიდეს, თუ იქ ექუსი წელიწადი დაყოს და ისრე ჭელმწიფეს ყმად მოუვიდა, თუ უნდა, მისცემს, ჭელმწიფე (მოსულის ძველ ბატონს, ე. თ.) და, თუ უნდა, არ მისცემს, ჭელმწიფის გუნებაზე ჰკიდია“<sup>4</sup>. ამ მუხლს კანონმდებელი შემდეგ განმარტებას ურთავს: „ეს ამიტომ დაწვერეთ, რომე ნურა კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს, თორემ წვა, ექუს წელიწადს სხვაგან დაჰყოფს, მოვა ჭელმწიფეს ეყმობა და ყმა დაეკარგება“<sup>5</sup>.

ასეთივე მნიშვნელობისაა სამართლის 202-ე მუხლი: „თუ საბატონო კაციწვილის ყმა სხვას საბატონოში წავიდეს, თუ ოცდაათი წელიწადი იქ დაყოს და ისე მოვიდა და სხვას კაცს ეყმო, ვეღარას შეუა“.

1 ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, 1, 1963, გვ. 477.

2 ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, 1, 1963, გვ. 479.

3 იქვე, გვ. 505.

4 იქვე, გვ. 531.

5 იქვე.

თუ ნაკლები დაყო და ისრე მოვიდა, ვერავინ შეეცდებოდა, ისრევ თავის ძველს ბატონს უნდა მიეცეს.

მაგრამ თრიალეთზე, ქართველის ბატონის სახსოვში, თორმეტი წლის წასული რომ მოვადღეს, აღარ მისცემენ“<sup>6</sup>

270-ე მუხლში ნათქვამია: „წესად ასე იყო, ან თუ ბატონი ვისმე გლესს უბოძებდა (ან წაართმევდა, ან ასაყრელი იყო და აყრიდენ, ეშიკვალასი და იასაულნი იმავე გლესს ქარსა და მარჩილს გამოართმევდენ; სამდივნოსა და სამურდლოსაც გლესს გამოართმევდენ. ეს დიად დიდი უსამართლო იყო.

ახლა ჩვენ ასე გავვირიგებთ: ვისაც გლესი მიეცეს სამართლით თუ წყალობით, იასაულს ქარი და მარჩილი, ვისაც მიეცეს, იმან მისცეს, გლესს ამაში ნურას ვარჯიან“<sup>7</sup>

კლასობრივ საზოგადოებაში კანონი ყოველთვის გაბატონებული კლასის ინტერესებიდან გამოდის და ვახტანგის სამართალსაც არ შეეძლო ამ პრინციპისათვის ელაღობა. 258-ე მუხლში ნათქვამია: „ვისაც შერისხდეს თრთი თავის ბატონი მოკლას ან დაჭრას, ამისი სისხლი არ გაჩნდების, ამისთვის რომე ყმისა ყუელა ბატონისა არის, რას მისცემს.

ასე უნდა ხელმწიფემ და მოსამსახურემ ასეთი წიგნი მისცეს ბატონს ყმისა, რომე ნასყიდისაგან უფრო ვერსად დაეყაროს, ამისათვის რომ ეს სამართალი ველარას ყმას ავს ვერ გააბედვიანებს“<sup>8</sup>

მაგრამ ეს მაინც იმას არ ნიშნავს, რომ გლესი მოკლებულია ყოველგვარ უფლებას. არც ჩვენ მიერ ზემოთ ნაჩვენები მუხლები, (სადაც ყმა-გლესთა ინტერესებზეა ლაბარაკი) ეწინააღმდეგება 258-ე მუხლს. აქ მხედველობაშია მისალბები, რომ სამართალი ყოველგვარ ბოროტებას ებრძვის და რადგან მკვლელობა საერთოდ ბოროტებაა, ისიც ყმისაგან ბატონისა, კანონმდებელმა ამიტომ ასე მკაცრად განსაზღვრა ეს მოვლენა.

ყმა-გლესს რომ კანონმდებლობა იცავს, ეს მუხლითაც მტკიცდება, სადაც ნათქვამია: „მის ბატონსაც წიგნი დაადებინოს კელმწიფემ და მოსამართლემ, რომე უკელმწიფოდ ვერც მოკლას და ვერც გაახეიბროს... ამ სამართალს უკან თუ ბატონმა ყმა არ დაინდოს, ან მოკლას, ან გაახეიბროს, მოსამართლემ მისი სახლი გაათავისუფლოს“<sup>9</sup>

ბატონყმური ურთიერთობის დროს კანონი

ყოველს შემძლე არასოდეს ყოფილა, მაგრამ ისეთი კანონის შექმნას, რომელიც „განუსაღვრელობის“ „განსაზღვრულობის“ ახდენდა, მაინც ჰქონდა პროგრესული მნიშვნელობა.

დიდი ეროვნული უბედურება იყო საქართველოში „ტყვეთა სყიდვა“. იგი თუმცა დასავლეთ საქართველოში დაიწყო, მაგრამ მალე ფენი მოიკიდა აღმოსავლეთშიც და მე-18 საუკუნეში ეს სენი უკვე მთელს საქართველოს მოედო. ასეთ ვაჭრობას ხარბად ეწოდნენ საქართველოში როგორც საერთო, ისე სასულიერო ფეოდალები (მაღალი სამღვდლოება). ისინი წარბმუხრელად ეწოდნენ ამ სამარცხვინო საქმეს. „ტყვედ სყიდვა“ საქართველოს აცლიდა ჯან-ღონით სავე ადამიანებს და მოზარდ თაობას, რაც არა მარტო ასუსტებდა, არამედ ვარდუღვალად კატასტროფით ემუქრებოდა მთელ ქვეყანას, საზოგადოებას.

უთუღდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერეკლეს მიერ ყმა გლესის ყიდვის აკრძალვას.

სამეფო ხელისუფლების ანალოგიურ ღონისძიებებს ვხედავთ ჩვენ მე-18 საუკუნის ნახევრისათვის დასავლეთ საქართველოშიც, კერძოდ, იმერეთის სამეფოში. ამ მხრივ იქ იმერთა მეფე სოლომონ I გამოირჩეოდა, რომელიც პრინციპულად, ენერგიულად იყო და დასმული ამოცანებითაც ძლიერ წაავადა თავის დიდ თანამედროვეს აღმოსავლეთ საქართველოდან — ერეკლე მეორეს. სოლომონმა გამეფებისთანავე შეურთებელი ბრძოლა გააჩაღა დასავლეთ საქართველოში ტყვეთა გაყიდვის წინააღმდეგ. მან შეძლო გარკვეული სოციალური ძალების (ეკლესია თავისი სამღვდლოებითურთ, წვრილი აზნაურობა, ვაჭარხელოსნები) მობილჩება ამ საწინელო სენის წინააღმდეგ. ამ მიზნით 1759 წლის დეკემბერში მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც დაგმო ტყვეებით ვაჭრობა და სიკვილის დასჯის მუქარით აკრძალა იგი.

ვახტანგ მეექვსე და ერეკლე მეორე აქტიურად ჩაერვივნენ გლესისა და თავადის ურთიერთობაში.

ვახუშტის თქმით, ვახტანგ მეექვსე იყო „ქვრივ-ობოლთა, გლახაკთა, მიმცემელი, შემებრალე“<sup>10</sup>

ერეკლე მეორის მთელი საქმიანობის ერთ-ერთი აქტიუალური საკითხი გლესთა საკითხი იყო. ერეკლე ხედავდა, რომ ყოილობაშია, ოსმალობა თუ ლეკობა არ იყო მარტო იმის

6 იქვე.

7 იქვე, გვ. 551-552.

8 იქვე, გვ. 547.

9 იქვე, გვ. 547.

10 ვახუშტი, ცხოვრება ქართლისა, ქ. ც. 11, 1854, გვ. 71.

მიზეზი, რომ საქართველო „დაცილი იყო გლეხთაგან“. იგი მიზეზს თვით თავადურ განუყოფლობაში ხედავდა და ასკენიდა რომ გლეხები „უსამართლობამ გარეკა საქართველოდამ“.

ერეკლე და მისი მემკვიდრეები ენერგიულად ჩაერევენ თავადისა და გლეხის ურთიერთობაში, იეროში მიიტანეს „უღების დადგაზე“. კატეგორიულად მოითხოვეს „ბატონყმური რივის“ დაცვა.

მე-18 საუკუნის 60-70-იან წლებში ქართლ-კახეთის სამეფოში მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ერთ-ერთი ღონისძიებით გლეხს უფლება ჰქონდა, უკეთუ ბატონი აუგად მოექცეოდა, „უღებს დაადებდა“, იმაზე მეტს მოთხოვდა, რაც მას ბატონისა ემართა „ბატონყმური რიგით“, მეფესთან ეჩივლა. ასეთ შემთხვევაში გლეხის დამცველად სამეფო ხელისუფლება გამოდიოდა.

გლეხთა ერთ-ერთ საჩივარზე ერეკლემ ასეთი ბრძანება გამოსცა: „რომელიც ამათი დებულება არ არის და არა სდებიათ, მისი გარდა თუ მეტი რამ მოინდომეთ, ჩვენგან მოსაკითხავი იქნება. ამათ სამართლიანის საქმით მოექცეით, თორემ თუ კიდევ ამათ ჩვენთან გიჩივლესთ, იცოდეთ, რომ ვიწყენთ“<sup>11</sup>.

ან კიდევ: „შეღვათით მოექცე და რიგინათ, რომ აღარ იჩივლოს, შენც გამოგადგეს და შენს შვილსაც“<sup>12</sup>.

არის ასეთი ბრძანებაც: „შენს სარგოს აიღებდე და უსამართლოს ნურას აიღებ, ნურც არას უსამართლოს მოინდომებ“<sup>13</sup>.

1771 წლით დათარიღებულ ერეკლეს ერთ ბრძანებაში ვკითხულობთ: „ეს კაცი აუყარე და მოაბარე ქაიხოსრო სააკაძეს, ქილის-თავს უნდა დაასახლოს. თუ სიტყვა ჰქონდესთ რამე მოგვაკენონ. თუ არა, თავისი ყმა ყველამ მოსცენ; მაგრამ ეს კი არ იქნება, მივიდეს გაძარცოს, გამოართოს რამე და ის გლეხები ისევ გაუშოს. იცოდეთ, იასაულო, შენცა და ქაიხოსრო სააკაძესაც დიდად ავად მოგეპყრობით, თუ ამ ოქმს იმაზედ იღებ, რომ გამოართო რამე და გაუშო“<sup>14</sup>.

1781 წელს სვიმონ პეტრიაშვილმა გიორგი ბატონიშვილთან იჩივლა: ხუთჯერ მოგახსენეთ და ხუთჯერ უბრძანეთ აბელ ანდრონიკაშვილს ადამიანურად მომპყრობოდა, მაგრამ მან თქვენს ბრძანებას ყურადღება არ მიაქცია. კიდევ უფრო მეტად მექცევა. ჩემი ორი ქალიშვილი წაიყვანა შინამოსამსახურედ. ერთ მათგანს პატივი ახადა და დააორსულაო.<sup>15</sup> გიორგი ბატონიშვილმა რეგავ მოურავს უბრძანა პეტრიაშვილის საქმე გამოერკვია და თუ დადასტურდებოდა ის, რაც საჩივარში იყო აღნიშნული, მაშინ ჩამოერთმია აბელი-სათვის პეტრიაშვილი ოჯახითურთ და გადაესახლებინა მეფის სახაზინო მამულში. თან დაემქურა: უთხარი აბელ ანდრონიკაშვილს, რომ, თუ წინააღმდეგობას გაგიწევს, მიწასთან გავასწორებო.<sup>16</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მე-18 საუკუნის 60-70-იან წლებში სამეფო ხელისუფლებამ მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელა გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ერთ-ერთი მათგანი იყო ტყვეობიდან გამოქცეული გლეხის უფლების შესახებ კანონის გამოცემა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ლეკთა მუდმივ თარეშს ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის მასიური დატყვევება მოსდევდა, მაშინ გასაგები გახდებოდა იმ კანონის მნიშვნელობა, რომელიც ტყვეობიდან გამოქცეულ გლეხს ეხებოდა.

1765 წელს გამოცემულ ბრძანებაში ნათქვამია: „მე, მეფე ერეკლემ, საქართველოს კათალიკოსმა, ეპისკოპოსებმა, კარის მსახურებმა და დიდებულებმა გადაწყვიტეთ და დავადგინეთ, რომ ამ დღიდან იმ გლეხებზე, რომლებიც ტყვეობიდან განთავისუფლდებიან, ყოფილი ბატონები ვეღარ გაავრცელებენ თავიანთ უფლებებს მათზე; ისინი თავისუფალნი არიან და შეუძლიათ გახდნენ გლეხები იმათი, ვისაც მოისურვებენ“<sup>17</sup>.

თუ როგორ ხორციელდებოდა ეს კანონი, ან რა გამოხმაურება ჰპოვა მან გლეხობაში, ამის ნათელსაყოფად დავიმოწმებთ სათანადო საბუთებს.

1781 წელს გიორგი ბატონიშვილი ოთარ, იოსებ და იოანე ბეჟანიშვილებს ეუბნებოდა:

11 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები 11, 1965, გვ. 212.

12 საქ. სიძველენი, 11, გვ. 460.


13 დ. ვგრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 234.

14 საქ. სიძველენი, 111, გვ. 163.

15 დ. ფურცელაძე, ქართული გლეხური სიგელები, 1882, გვ. 38.

16 იქვე, გვ. 38-39.

17 იქვე, გვ. 17.



„თქვენ იმყოფებოდით ტყვეობაში ლეკებთან, ჩვენ გამოვისყიდეთ, ადრე თქვენ თქვენი გლეხებით და მიწებით იყავით თავისუფლები (სახაზინო). და ახლა არავის არა აქვს თქვენზე არავითარი უფლება, თქვენ ვერავინ ვერაფერს მოგთხოვთ მეზატონის სასარგებლოდ. თქვენ თქვენი გლეხებით და მამულებით ჩვენი გლეხები ხართ, თქვენ ვერავინ ვერ შეგაწუხებთ“.<sup>18</sup>

1782 წელს სუფრაჯმა ზურაბ ზურაბიშვილმა გურგენ რამაზასშვილს წიგნი მისცა. ამ წიგნში ნათქვამია, რომ პაპა გურგენა რამაზასშვილსა ზურაბ ზურაბიშვილის აზნაურ ყულიაშვილთან „მისუღიყო და იმის მამულში მდგარიყო. არც ყმობოდა, არც ხარჯი და მალე დაედო მაგრამ იმის ჯელათ მდგარიყო. და როგორც მისუღის კაცის წესი არის, შობასა და აღდგომას ძღვენი მიერთმივა“. ასეთ პირობებში ცხოვრობდა, ბოლოს ტყვედ ჩავარდა გურგენა, თავის თავი თვითონ გამოიხსნა, მოვიდა ზურაბ ზურაბიშვილს გათავისუფლების წიგნი სთხოვა. ზურაბმა თხოვნა შეუსრულა და დაუწერა: „რადგან ჭელმწიფის ბრძანებაც ასე არის, რომ ტყვეობიდან მოსული კაცი თავისუფალი შეიქნება, ამის მიზეზით მეც ეს წიგნი მოვეცე, რომ არას კაცს შენთან ქელი არავისა აქვს“.<sup>19</sup>

კიდევ უფრო საინტერესოა ქიტცხა ჯამიაშვილის არზა, რომელიც მან ერეკლეს 1772 წლის 10 იანვარს მიართვა. იქ ნათქვამია: „ცამეტი წელიწადი დაღისტანში ტყვეთ ვახლდი. თქვენი ბრძანება რომ ქვეყანაზედ განეფინა, ტყვისათვის აზადობა გეძახანთ, გამოვწიე და თუშთ მოურავი თუშეთ ვახლდათ, ჭონთიოს ჯარი რომ მოვიდა, იმ ჯარს მოვეყე, ჯარიდამ გამოგებარე, მთელი თუშთ იციან, მამუკა საგინაშვილმა, ვივი ფარემუხ-ხუციმსაც იცის, თუშთ-მოურავი (sic) იმ ზამთარს ქალაქს ჩამოვიდა, აქ თქვენი ჭირის სანაცვლოდ შეიქნა, მე იმ ზაფხულს ვარ მოსული. ჩემი მოსვლის ორისამი წელიწადს უწინ ტყვეობაში გვესმოდა: ბატონმა ტყვეთ მურახასობა უბრძანა, იმ თარიღს აქეთ მოსული ტყვენი თავისუფალნი იქნებინათ; ახლა თქვენის ბრძანებით ტყვეთათვის დადებული წიგნი ყირიმელს ვიორგი ფეიქარსა აქვს, ის წიგნი აკითხვიან, თუ იმ წიგნის უკან არ ვიყო მოსული და ტყვილად მოგახსენებდე, რა რიგათაც ღირსი ვიყო გა-

დამახთვენიეთ. ცოლი და შვილი იქ გამიშვია, მე ამ ამბავზე მოვსულვარ, ნუ დაგეკარგამ“.<sup>20</sup>

ერეკლემ საქმის გამორკვევა მსაჯულებს გადასცა და დაავალა: „ამ არზის პატრონს რომ მოუხსენებია, ეს გავინჯეთ, ეს რომ ტყვეობიდან მოსულა, თუ თავისავ ბატონთან მისულა და მასთან ხანი დაუყვია, თუ იმავ თავისავ ბატონის ყმობა არ უნდოდა, არ უნდა მისუღიყო, რადგანც მივიდა და მასთან ხანი დაყო, ვედარ წაუა. რომელიც ამისი ბატონი არის, მოწმით საბუთი უნდა უყოს, რომ იმასთან მისუღიყოს და იმისი ყმა იქნება, და თუ საბუთი ვერ უყოს და თავის ბატონთან არ მისულა, ვისთანაც უნდა მივა“.<sup>21</sup>

ამ საინტერესო აზრიდან და მასზე ერეკლეს განკარგულებიდან ორ რამეს ვგებულობთ: ერეკლეს ბრძანება ტყვეობიდან გამოქცეული გლეხის გათავისუფლების შესახებ „ქვეყანაზედ განეფინა“ და დაღისტანში მყოფ ქართველებამდე მივიდა. ერეკლეს განკარგულება განმარტებას იძლევა კანონის გაგების შესახებ. საერთოდ ტყვეობიდან დაბრუნებული გლეხი თავისუფალი იყო ძველი ბატონისაგან, მაგრამ უკეთეს ის გლეხი თავის ძველ ბატონთან მივიდოდა და ხანს დაჰყოფდა მასთან, გლეხი კარგავდა ბრძანებით კუთვნილ თავისუფლებას.

1775 წელს ყმობის წიგნი მისცა ოვანესა რამაზასშვილმა საამ ყაფლანიშვილს:

„სამი წლით უწინ მოველ ტყვეობიდან, სტამბოლიდამ მოველ. რათგან ბატონისა ბრძანება იყო, რომ ტყვე რომ მოვა, ვისიც ყმობა უნდა, იმას ემსახურება, მეც მოველ. სამი წელიწადი ვიყავი თქვენთან ყმათ. სამს წელიწადს უკან კიდევ ლეკმა დამიჭირეს, წამომიყვანეს ახალციხეს ლაზებს მაძლევდენ. თქვენ შეგეტყვით მისუღიყავით, ბედნიერის ვეზირისათვის მოგეხსენებიათ, რომ ჩემი კაცი შინდამ წიგნები მოქონებია, გზაზე ლეკებს დაუტყერიათ. მაშინვე ბაშჩაშამასათინ ებძანა, წამართვეს და თქვენ მოგართვეს ჩემი თავი“.<sup>22</sup>

1781 წლის 18 თებერვალს ზურაბ თუმანიშვილი გიორგი ბატონიშვილს სწერდა: „ტყვეობიდან ათოა სახლობით კაცი გაიხლათ და თავის ნებით ჩემი ყმობა მიინდომა და რაც შემეძლებოდა მეც ხელი გაუშართე და სარჩოს გზაზე დავაყენე, ყმობის წიგნი დამიწერა

18 იქვე, გვ. 38.

19 საქართველოს სიძველენი, 111, გვ. 20.

20 საქართველოს სიძველენი, 111, გვ. 501-502.

21 იქვე.

22 ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, 11, გვ. 90.



და ბედნიერმა კელმწიფემ ალაპარაკა ის კაცი და წიგნიც დამიბეჭიდა.

შემდგომად ის ტყვეობიდან მოსული კაცი თქვენ მოგვიკითხათ. თქვენც ალაპარაკეთ ის კაცი და იმისგან მოცემული წიგნიც ივანე აბაშიძის კელით მოგართეთ და გასინჯეთ. ახლა მე ხომ აქ ვახლავარ. ანტონს ავალიშვილს ის კაცი დაურბევია, ჩემო მოწყალეც, კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს ახლანდელი ვარიგებული საქმე არ არის, ეს განწესება საზოგადოების განწესებულა და ჩემი კაცნიც დაკარგულან და მოსულან, სხვას ჰყმობიან. რისგან უნდა დამემართოს, თუ ჩემი კაცი სხვასთან მისვლა შეუძლია, მე რაღა დამიზავებია. ოქმის წყალობას გვედრებუბი, რომ ანტონმა კელი ადღოს ჩემის ნაყმევის კაცისაგან, დანარბევიც მისცეს, რომ ერთი უბრალო ხიფათი არ მოგვიხდეს რა“<sup>23</sup> ვიორგი ბატონიშვილმა არზის ბატონს წერილობით განუმარტა: „როგორც მისის სიმაღლის ბატონის ბრძანება არის და განუწესებია ტყვეობიდან მოსულის კაცისა, შენცა და სხვანიც იმ ბრძანებაზე უნდა დასდგნეთ და ამ ბატონის ბრძანება აღასრულოთ. ანტონ ავალიშვილო, ამის კაცი რომ დავიბრბევია, ის ნარბევი ისევ მიეცი“<sup>24</sup>.

როგორც ამ საბუთიდან ვხედავთ, ტყვეობიდან დაბრუნებული გლეხი თავისუფალი იყო, მაგრამ ეკონომიური თუ სხვა პირობები აიძულებდა მას კვლავ რომელიმე ბატონისათვის შეეფარებინა თავი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ან თათრის მსხვერპლი გახდებოდა, ან ლევის, ან ვინ იცის რისა, მიუხედავად ამისა, გლეხისათვის კანონს მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: გათავისუფლებული გლეხი საკუთარ ბედს თვითონ წყვეტდა, ვისაც სურდა იმას ეყმობოდა, ახლად არჩეული ბატონი ყმობის სიგელს უწერდა და ყმობის პირობება გაცილებით იოლი იყო, ვიდრე ძველი ბატონის სამსახური.<sup>25</sup>

1792 წლის 20 იანვარს ზურაბ თუმანიშვილმა საინანთო არუთინასშვილს არუთინის წყალობის წიგნი მისცა: „ტყუობიდან მოხუდილი და შენის ნებით ჩემი ყმობა მოინდომე და წერილიც მაშეცი, მეც მამულზე დაგაყენე. დღეის და დღეის იქით ჩემგან და ჩემის ჩამომავლობისაგან და შენ და შენ ჩამომავლობას ეს წყალობაც გქონდესთ: არც საქურთვიო გეთხოვებოდეს, არც მოახლე, არც ძიძა, არც

მსახური. თუ ნება არ იყოს თქუენი, არც საქორწილო, არც სადაპო. თუ ღ(მერთ)მან შეგაძლებინოს, მამული იყიდოთ, თქუენი ნასყიდის მამულის გაყიდვს, გაზითვის და გაცემის უფლებაც გქონდესთ ჩვენგ შეუკითხავად, ეერ დაგიშალოთ. ამას ვარდა ღ(მერთ)თმა გაშოროსთ, თუ თქუენს ჩამომავლობაში ამოსწყედეს ვინმე, როგორც კელმწიფისაგან ბეითალმანობათ განწესებული არის, იმა კუთლად თქუენ მოგვეცეს გზა. ამას ვარდა რაც სხუა ბატონყმობის სამსახური არის, ისე მემსახურებოდე“<sup>26</sup>.

ერეკლე მეორის სახელთან არის დაკავშირებული ისეთი ღონისძიებაც, როგორიც არის ოჯახის წევრთა ცალ-ცალკე გაყიდვის აკრძალვა, ყმის უმაჟულოდ გაყიდვა, გლეხის გაქცევაში თავადის დანაშუალის აღიარება და სხვ.

მე-18 საუკუნის დამლევს საქანონმდებლო პროექტებში გლეხთა საკითხმა ცხოველი გამომხატურება ჰპოვა.

ყამთა სიავისა და ძნელბედობის წყალობით საქართველოდან გადაკარგული გლეხების უკან დაბრუნება ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად გამოცხადდა.

აი რა არის ამ საკითხზე აღნიშნული ეგრეთწოდებულ „სამოქალაქო სჯულცილებაში“:

„ჩვენს საფარველსა ქვეშე შემოსულთ, ათი წელიწადი არაფერი სამეფო ხარჯი არა გამოერთმევათ რა, თუ არ წყალობა ჩვენგანი“ (მუხ. 5).

მომდევნო მე-6 მუხლში ნათქვამი იყო: „თავის ქალაქისა და ანუ სოფლის ხარჯი ორ წლამდე არა გამოერთვათ რა არაფერი, თუ არ სადმე ყარაულად გამოსვლისა, ისეთვე — ჯარათ, თუ სახმარო ანუ საჭირო იქნების სადმე, რადგანც ყარაულში და ჯარში გამოსვლა თავიანთის თავისათვის არის“.

ორი წლის შემდეგ სოფლისა თუ ხარჯში ერევოდნენ, მაგრამ შედავათი მაინც ეძლეოდნენ (მუხ. 7).

ათი წლის შემდეგ დავთარში ჩავარდებოდა და საქვეყნო საქმეებშიც ერევოდა, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი თავიანთ ნებით იყვნენ შემოსული შედავათი მაინც ეძლეოდათ<sup>27</sup>.

ისეთ ყმას, რომელიც გადაიხვეწა სხვაგან და თავისი ბატონის შიშით უკან აღარ ბრუნდებოდა, სამოქალაქო სჯულცილება აღუთქვამ-

<sup>23</sup> იქვე, გვ. 115.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 189-190.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 165-166.

<sup>27</sup> სამოქალაქო სჯულცილება, 11, დ. ფურცელადის რედ. 1966, გვ. 18-19.



და, რომ უკეთეს ეს გლეხი უკან დაბრუნდებოდა, იგი მეფის ყმად გახდებოდა, ხოლო მეფე ამ გლეხის ყოფილ ბატონს სხვა ყმას მისცემდა.

მე-17 მუხლი აცხადებდა:

„მათ, ყოველთ უცხოთ ქვეყანად შემოსულთ, იმისთანა ბატონი და შეწყენა მიეცესო ჩვენსგანით და ჩვენის ერთგულთ მსაჯულნიო, მოხელენით და ანუ სხვათგანით, რომე ამას იქით უცხოთ ქვეყნითგან უფრო მრავალნი დახარბდნენ ჩვენს საფარველსა ქვეშე შემოსელისა“.<sup>28</sup>

როგორც ვხედავთ, მეფის ხელისუფლება ვარკვეულ პოლიტიკას ატარებს გლეხების მიმართ, იცავს მათ „თავიანთი ბატონისაგან“. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ იგი გლეხთა ინტერესების დამცველია. არა, ყოველგვარი ხელისუფლება კლასობრივ ანტიგონისტურ საზოგადოებაში გაბატონებული კლასის ინტერესს იცავს და ამ მხრივ არც საქართველო წარმოადგენს გამონაკისს.<sup>29</sup>

ერეკლე მომხრეა გლეხთა საკითხის იმგვარად გადაჭრისა, როდესაც გლეხიცა და ბატონიც თავის რიგს — ბატონყმობის რიგს დაიცავენ.

პაატა მამაცაშვილმა თავის ყმას ერეკლე მეორესთან უჩივლა — „ბატონყმობის რიგს“ არ

ასრულებსო. ამის გამო გლეხის მიმართ ერეკლემ ასეთი ბრძანება გამოსცა: „ეს შენი ბატონი ასე რომ გიჩივის, ასე უნდა იცოდეს: თუ ამისი ან დებულება რომ გაქვს და ან რისა შემძლებელი ხარ, შენის შეძლებით ამას არ მსახურობ და კიდევ აჩივლებ, იცოდეს, დიდად გარდაგახთვეინებთ და კიდევ გაგახებებრებთ“.<sup>30</sup>

სწორია არჩილ ფანცხავას მოსაზრება იმის შესახებ, რომ „...უკანასკნელი მეფეების გლეხური პოლიტიკის ძირითადი შინაარსი იყო არა ბატონ-ყმური დამოკიდებულების შემსუბუქება, არამედ ჩარევა, ამ დამოკიდებულების რეგულირება გაბატონებული ფეოდალური კლასის სასარგებლოდ, მსხვილი და ურჩი ფეოდალების შემოჭვა და მეფის ხელისუფლების განმტკიცება, სამეფოს თავდაცვის უნარიანობის გაზრდა, ხაზინის შემოსავლიანობის გაზრდა. ამით ფეოდალური დამოკიდებულება კი არ სუსტდებოდა არამედ ძლიერდებოდა“.<sup>31</sup>

საგლეხო დონისძიებებს უადრესად დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან მათ ერთგვარი წესრიგი შეჰქონდათ ფეოდალური ურთიერთობის საკითხში, რის შედეგადაც აიკრძალა გლეხის უმიწოდ გაყიდვა, ყმის ოჯახის დაშლა და სხვ., რაც ზრდიდა გლეხის ინტერესს ინტენსიური მეურნეობის წარმოებისათვის.

<sup>28</sup> სამოქალაქო სჯულდგენა, 11, დ. ფურცელადის რედ. 1966, გვ. 18-19.

<sup>29</sup> დ. გვრიტიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 234.

<sup>30</sup> საქ. ცენტრალური არქივი, ფ. 229, დავთარი 24, საბ. 109.

<sup>31</sup> ა. ფანცხავა, მე-18 საუკუნის დასასრულის ფეოდალური ქართლ-კახეთის აგარაული ისტორიის ნარკვევები, 1965, გვ. 76.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კლენუმის

## რეკლამები № 5

26 სექტემბერი, 1968 წ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კლენუმის 1962 წლის 31 მარტის დადგენილების „სახელმწიფო და საზოგადო მოქმედების დაზარალების საჩივრებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ შესრულების მიმდინარეობაზე აჭარის ასსრ, კუთხისის ქალაქის, მახარაძისა და სამტრედიის რაიონების სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეების ამხ. ამხ. ა. გ. იობიძის, ნ. ყ. გობრონიძის და მ. ბ. სტურუას მოხსენებები და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ს. ი. ქაჯაიას თანამოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 მარტის დადგენილების „სახელმწიფო და საზოგადო მოქმედების დაზარალების საჩივრებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, შესრულების მიმდინარეობაზე, პლენუმი აღნიშნავს:

აჭარის ასს რესპუბლიკის, ქ. კუთხისის, მახარაძისა და სამტრედიის რაიონების სახალხო სასამართლოებმა პლენუმის ზემოთ აღნიშნული დადგენილების მიღების შემდეგ ჩაატარეს გარკვეული მუშაობა გაფლანგვა-მტაცებლობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში. 1967 წელსა და 1968 წლის 1-ლ ნახევარში საგრძობლად შემცირებულია როგორც მსჯავრდებულთა რაოდენობა შედარებით 1962 წელთან (აჭარის ასსრ თითქმის ორჯერ, ქ. კუთხისში 40%-ით, მახარაძეში 35% -ით, სამტრედიის რაიონში 41,4%-ით), ასევე გაფლანგულ თანხის ოდენობა გაუმჯობესდა საქმეთა განხილვის ხარისხი. ამავე პერიოდში ადგილი არ ქონია საკასაციო წესით განაჩენის გაუქმების ფაქტს, გაძლიერდა დასჯითი პრაქტიკა და გაუმჯობესდა საქმეთა განხილვის ვალდებ.

უკეთეს წინა წლებში მიყენებული ზიანის ამოღება არ აღემატებოდა 10—15%-ს, 1967 წელს მან მიაღწია აჭარის ასსრ 27%-ს, ქ. კუთხისში 36,6% -ს, მახარაძის რაიონში 100% -ს, სამტრედიის რაიონში 34% -ს, 1968 წლის 1-ლ

6. საბჭოთა სამართალი № 2

ნახევარში კი შესაბამისად 41,1%, 39,0%, 100,0% და 90,0% -ს.

ამავე დროს დასახელებულ სასამართლოთა მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რის შედეგად ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ძირითადი მაჩვენებლების მკვეთრი გაუმჯობესება.

აბსოლუტურ რიცხვებში ძალზე დიდია სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე მიყენებული ზიანის ოდენობა, არ არის მიღწეული მისი (ზიანის) მთლიანი ამოღება.


ყოველთვის არ არის გათვალისწინებული ამ დანაშაულობათა საშიში ხასიათი, რის შედეგად სასამართლო დასჯითი პრაქტიკა მთელ რიგ კონკრეტულ საქმეებზე არ პასუხობს კანონისა და პლენუმის დადგენილებათა მოთხოვნილებებს.

ქ. ბათუმის სახალხო სასამართლომ შ. ი. ნაკაშიძეს 4 ტონა ცემენტის დატაცებისათვის მიუსაჯა 1 წლის გამასწორებელი მუშაობა.

ქობულეთის სახალხო სასამართლომ ნიქარაძე, რომანაძე და ქათამაძე ცნო დამანაშაველ სსკ 94 მუხ. მეორე ნაწილით 1035 მან. საკომუნურნეო თანხის დატაცებისათვის და მიუსაჯა მათ თითო წლით გამასწორებელი მუშაობა, ეს მაშინ, როდესაც ნიქარაძე და რომანაძე წინათ მსჯავრდებული იყვნენ ანალოგიური დანაშაულისათვის.

რიგი სახალხო სასამართლო ჯერ კიდევ სერიოზულ შეცდომებს უშვებს როგორც სასჯელის, ისე დანაშაულის კვალიფიკაციის განსაზღვრის საკითხში, ხოლო საკასაციო ინსტანციები ხშირ შემთხვევებში ახდენენ განაჩენებში არაპრინციპულ და უსწორო ცვლილებების შეტანას. ასე მაგალითად:

აჭარის ასსრ უმაღლესმა სასამართლომ 1967 წელში შეცვალა გასაჩივრებულ განაჩენებიდან 17,2%, ხოლო 1968 წლის 1-ლ ნახევარში 40%.



რიგი სახალხო სასამართლოებისა. ზერეღედ და უკრიტიკოდ აკმაყოფილებენ მესამე პირთა სარჩელებს, აღწერილ ქონებიდან ნივთების ამორციხვის საკითხში (ქ. ბათუმის და ქობულეთის რაიონი).

დაგვიანებით იწერება და იგზავნება აღმასრულებელი ფურცლები დანიშნულებისამებრ (განსაკუთრებით დაგვიანებით იგზავნება კოლონიებში), რის შედეგად სახელმწიფო და საზოგადო ორგანიზაციებზე მიყენებული ზიანის მნიშვნელოვანი ნაწილი აუნაზღაურებელი რჩება. (აჭარის ასსრ 1968 წლის 1-ლ ნახევარში აუნაზღაურებელია 58,9%, ქ. ქუთაისში 70%, სამტრედიის რაიონში 10,0%). ანალოგიური და უფრო უარესი მდგომარეობა იყო 1967 და წინა წლებში. რიგმა სახალხო სასამართლოებმა შეასუსტეს პროფილაქტიკური ორგანიზაციული მუშაობა, რის შედეგად ძალზე ცოტა რაოდენობაა განხილული აღნიშნული კატეგორიის საქმეები გამსვლელი სესიით, მცირეა საზოგადო ბრალმდებელთა და საზოგადო დამცველთა მონაწილეობა (ამ მხრივ დამაკმაყოფილებლად მუშაობდა მხოლოდ ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლო). იშვიათად გამოაქვთ კერძო განჩინებები და ძალზე ცოტა რაოდენობითაა წაკითხული ლექცია-მოსხენებები.

ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით პლენუმში — **ა დ გ ე ნ ს:**

1. წინადადება მიეცეს აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს **ამხ. ს. ბ. მაკარაძეს**, ქუთაისის ქალაქის, მახარაძისა და სამტრედიის რაიონების სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეებს **ამხ. ამხ. ა. გ. იობიძეს**, **ნ. ყ. გობრონიძეს** და **მ. ბ. სტურუას** უახლოეს პერიოდში მიაღწიონ მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას, რისთვისაც:

ა) უზრუნველყონ შემოსულ საქმეთა დაწესებულ ვადებში განხილვა და არ დაუშვან უხარისხოდ გამოუძიებელ საქმეთა წარმოებაში მიღება და კანონის დარღვევით განაჩენებისა და განჩინებების გამოტანის არც ერთი ფაქტი.

ბ) ზუსტად იქნეს შესრულებული მოხსენე-

ბულ საკითხზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 მარტის დადგენილების მე-3 პუნქტის მოთხოვნა დასჯითი პრაქტიკის გაძლიერების შესახებ სსკ 38 და 39 მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით.

გ) მიაღწიონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე ბოროტმოქმედთა მიერ მიყენებული ზიანის მაქსიმალურ ამოღებას, ხოლო როდესაც ასეთი (ზიანის მთლიანი ამოღება) შეუძლებელი არის, აღმასრულებელი ფურცლები დაუყოვნებლივ გადაგზავნონ მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდის ადგილებში.

დ) აღნიშნული კატეგორიის საქმეები, როგორც წესი განხილული იქნეს გამსვლელი სესიით დანაშაულის ჩადენის ადგილებში, ამასთანავე საქმეთა განხილვა უზრუნველყონ მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენელთა ფართო მონაწილეობით.

ე) საქმეთა განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დანაშაულის წარმომშობი და ხელისშემწყობი მიზეზების დადგენა-გამომკვლავებასა და აღმოჩენილ დარღვევათა გარშემო კერძო განჩინების გამოტანის საკითხს, გააძლიერონ კონტროლი კერძო განჩინებების კანონის დაწესებულ ვადებში შესრულებაზე.

ვ) სისტემატურად ჩაატარონ ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და დაწესებულებებში ლექცია-მოსხენებები სოციალისტური საკუთრების დაცვის საკითხებზე, ამ მიზნით გამოყენებული იქნეს მოწინავე აქტივისტი სახალხო მსაჯულებიც.

2. იმის გამო, რომ აჭარის ასს რესპუბლიკის ხაზით დიდი ოდენობით იცვლება განაჩენები საკასაციო ინსტანციებში (სასჯელების, კვალიფიკაციის უსწორობისა და სხვა მიზეზებით) საჭიროდ იქნეს ცნობილი ჩატარდეს სათანადო თათბირი-სემინარი სოციალისტური საკუთრების დაცვის საკითხზე მიღებულ სახელმძღვანელო დადგენილებათა შესწავლის მიზნით.

3. აღნიშნული დადგენილება დაეგზავნოს რესპუბლიკის ყველა სახალხო სასამართლოს, სასამართლო მუშაკთა ოპერატიულ თათბირზე გაცნობის მიზნით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ვ. მანისურაძე**  
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი **ზ. მამანაშვილი**



საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კლენუმის

დ ე რ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 6

26 სექტემბერი, 1968 წ.

ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ანხ. გ. კ. ციტიშვილის მოხსენება „ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებს სწორად აქვთ გაგებული ბუნების დაცვის უზრუნველყოფის დიდი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

სახალხო სასამართლოები ძირითადად სწორად იყენებენ სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობას ბუნების დაცვის შესახებ.

ჯერ კიდევ არასაკმარისია დასჯითი პრაქტიკა ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევაში დამნაშავე პირთა მიმართ.

დამაკმაყოფილებელია ტყის უკანონოდ გაჩეხვით, თევზის უკანონოდ წარმოებით და უკანონო ნადირობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

1967 წელს 1966 წელთან შედარებით სასამართლოებში შემოსულ სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა შემცირდა 25,3 პროცენტით, მიმდინარე წელს შეიმჩნევა საქმეთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია. ასევე შემცირდა სამოქალაქო საქმეთა რაოდენობაც: 1967 წელს სასამართლოებში შემოვიდა 4,9 პროცენტით ნაკლები საქმე 1966 წელთან შედარებით.

საქმეთა უმრავლესობაზე სარჩელი დამაკმაყოფილებელია. 1966 წელს დამაკმაყოფილდა სარჩელთა 86,4%, ხოლო 1967 წელს — 83,7%.

კანონის ზუსტად დაცვით იხილავენ ბუნების დაცვის საქმეებს, ბორჯომის, ლავოდხის, საგარეჯოს, მაიაკოვსკის რაიონების სახალხო სასამართლოები.

მიუხედავად ჩატარებული ღონისძიებებისა ბუნების დაცვის კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში სასამართლო ორგანოებს ჯერ კიდევ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი.

ზოგიერთი სახალხო სასამართლო ბუნების დაცვის კანონების ბოროტ დამრღვევთა მიმართ საქმეების განხილვისას არ ითვალისწინებს ამ დანაშაულის საშიშროებას, რის შედეგადაც დამნაშავეებს უსაფუძვლოდ უფარდებენ სასჯელის მსუბუქ ღონისძიებას, როგორცაა გამაწვორებელი მუშაობა, ჯარიმა, ან პირობითი მსჯავრი, რიგი სასამართლოებისა სათანადოდ არ ასრულებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1950 წლის 19 დეკემბრის სახელმძღვანელო დადგენილებას დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების შესახებ, არა საკმარისია საქმეების განხილვა გამსვლელ სესიებზე, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობა პროცესებში, არასაკმარისად გამოაქვთ კერძო განჩინებები, სათანადო სიმაღლეზე არ დგას ბრაკონიერობის მიზეზებისა და ხელისშემწყობი პირობების გამოვლინებისა და აღმოფხვრის საქმე.

ხშირ შემთხვევაში გამოუვლინებელი რჩება ბრაკონიერების მიერ ფეთქებადი და საწამლავი ნივთიერებების შექმნის წყარო.

არასაკმარისად არის გამოყენებული დანაშაულის პროფილაქტიკის ისეთი ქმედითი ღონისძიებები, როგორცაა პრესა, რადიო, ლექცია-მოხსენებები.

ბრაკონიერების წინააღმდეგ არასაკმარისი ბრძოლის შედეგად 1967 წელს საკოლმეურნეო ტყეებში თვითნებურად იქნა გაჩეხილი 11.763 კუბომეტრი ტყე.

განსაკუთრებით ხშირია ტყის უნებართვოდ გაჩეხვის შემთხვევები აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური სს რესპუბლიკების, ლავოდხის, ამბროლაურის, დმანისის და ვანის რაიონების ტყეებში. ჯერ კიდევ ადგილი აქვს საახალწლოდ ნაძვის ხეების დიდი რაოდენობით კრას.

ამავე წელს გამოვლინებულ იქნა თევზის უკანონოდ წარმოების 1.645 შემთხვევა.

სასამართლოები ჯერ კიდევ უშვებენ შეცდომებს ბუნების დაცვის კანონების გამოყენებისას.

ადგილი აქვს თანამონაწილეობის საკითხის არასწორად გადაჭრის შემთხვევებს, რის შედეგად დამნაშავეთა ნაწილი გამოუვლინებელი და დაუსჯელი რჩება.

ახმეტის სახალხო სასამართლოს 1967 წლის 25/III-ის განაჩენით მხაროვი მსჯავრდებული იქნა იმისათვის, რომ მან ტყეში უნებართვოდ მოსჭრა წიფლის ხეები.

დადგენილია, რომ მხაროვმა ხეები მოსჭრა და ტყიდან გამოიტანა ტრაქტორისტების შათი-რიშვილისა და მებალიშვილის დასმარებით.

წინასწარი გამოძიების ორგანოები და სასამართლო არ დაინტერესდნენ იმის დადგენით, თუ რომელ ორგანიზაციას ეკუთვნოდნენ ტრაქტორები და არ დასმულა საკითხი ტრაქტორისტების ტყის უკანონოდ გაჩეხვაში თანამონაწილეობის შესახებ.

რიგ შემთხვევებში სასამართლოები წარმოებაში იღებენ არასრულად გამოძიებულ და არასრული კვალიფიკაციის საქმეებს.

ოჩამჩირის სახალხო სასამართლომ წარმოებაში მიიღო და 1968 წლის 14/III-ის განაჩენით მსჯავრი დასდო მარჩველაძეს საქართველოს სსრ სსკ 175 მუხლის II ნაწილით მასში, რომ მან შეიძინა ფეთქებადი ნივთიერება და მისი გამოყენებით მოახდინა ზღვაში აფეთქება თევზის მოსაპოვებლად.

სასამართლომ რეაგირების გარეშე დატოვა წინასწარი გამოძიების ხარვეზები, რაც იმაში გამოიხატება, რომ მარჩველაძის ქმედება დაკვალიფიციერებული იყო საქართველოს სსრ სსკ 175 მუხ. II ნაწილით და არა ამ მუხლის და სსკ 238 მუხლის I ნაწილის ერთობლიობით.

სასამართლოები თევზის უკანონო წარმოებისათვის დამნაშავეს საქართველოს სსრ სსკ 175 მუხლით მსჯავრდებისას მიყენებული ზარალის ოდენობას განსაზღვრავენ მათ მიერ ფაქტიურად მოპოვებული თევზის ოდენობის მიხედვით, რაც არასწორია.

ქარელის სახალხო სასამართლომ 1967 წლის 20/IV-ს განაჩენით, ელბაქიძეს საქართველოს სსრ სსკ 175 მუხლის II ნაწილით მიუსჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

დადგენილია, რომ ელბაქიძემ მდინარეში ჩაყარა რამოდენიმე კილოგრამი ქლორი, პირადად მან ამოიღო მხოლოდ 7 კგ. თევზი, ხოლო ფაქტიურად თევზი ამოწყდა მდინარის მთელ სიგრძეზე.

არც წინასწარი გამოძიების, არც სასამართლოს მიერ არ დასმულა საკითხი მოწამელით თევზის მარაგისათვის ფაქტიურად მიყენებული ზარალის ოდენობის განსაზღვრის და მისი ანაზღაურების შესახებ.

სასამართლოები არასაკმაო რეაგირებას ახ-

დენენ ბრაკონიერების საქმეებზე წინასწარი გამოძიების ხარვეზებზე.

ზნაურის სახალხო სასამართლომ 1967 წლის 10/I-ს განაჩენით პუხაევს საქართველოს სსრ სსკ 178 მუხლის I ნაწილით გამასწორებელი მუშაობა მიუსჯა, რაც პირობით ჩაუთვალა.

სასჯელის პირობით ჩათვლის ერთ-ერთ მოტივად სასამართლომ იმაზე მიუთითა, რომ პუხაევი ადრე ნასამართლევი არ არის. საბრალდებო დასკვნაში კი აღნიშნულია, რომ პუხაევი „მისი სიტყვით სამართალში არ ყოფილა“.

სახალხო სასამართლომ, იმის ნაცვლად, რომ რეაგირება მოეხდინა წინასწარი გამოძიების ამ აშკარა ხარვეზებზე, თვითონ დაუდო ის საფუძვლად განაჩენს.

ადგილი აქვს მთელ რიგ პროცესუალურ დარღვევებს, არის საკმაო მტკიცებათა გარეშე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევები. ამბროლაურის რაიონის სახალხო სასამართლომ 1967 წლის 25/IV-ის განაჩენით საღარაძეს მსჯავრი დასდო საქართველოს სსრ სსკ 178 მუხლის I ნაწილით.

სასამართლომ გამოიტანა რა გამამტყუნებელი განაჩენი აღნიშნა, რომ „ტყის დარღვევის აქტის რეალობა არ დადასტურდა და საერთოდ არ შეიძლება ამჟამად დადგინდეს 1965 წლის ტყის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამართალში მიცემულის აღიარებას“.


ამრიგად, სასამართლომ თვითონ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ გამამტყუნებელი განაჩენი დაამყარა მხოლოდ და მხოლოდ სამართალში მიცემულის აღიარებას.

მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლომ 1968 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით ტანდარიანს დააკისრა ტყის გაჩეხვით სატყეო მეურნეობისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

ერთადერთ მტკიცებას, რომელსაც სასამართლო დაეყრდნო, ტყის წესების დარღვევის აქტია, რომელიც უხარისხოა, რადგან ძირითადი მონაცემები (ხეების რაოდენობა და სხვა) წაშლილი და გადაკეთებულია: ამასთან, აქტს ხელს არ აწერს თვით დამრღვევი.

განაჩენები და გადაწყვეტილებები ბუნების დაცვის წესების დარღვევის საქმეებზე მცირე რაოდენობით საიზიარდება საკასაციო და საზედამხედველო წესით, რის გამოც საქმეობა სახალხო სასამართლოების მუშაობის შემოწმებისას მეტი ყურადღება მიექცეს მოცემული კატეგორიის საქმეებს.

სასამართლოების მიერ ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევის საქმეთა განხილვაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით პლენუმი ადგენს:



1. მიეთითოს სასამართლოებს ბუნების დაცვის კანონების დარღვევათა წინააღმდეგ საბჭოთა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის სანქციათა სათანადოდ გამოყენებით ვადამწყვეტი ბრძოლის ჩატარების აუცილებლობაზე.

2. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დარღვევის ფაქტში მონაწილე ყველა პირთა გამოვლინებას, რათა ბუნების დაცვის კანონების არც ერთი დამრღვევი არ დარჩეს დაუსჯელი.

3. სასამართლოებმა საქმის მასალების ყოველმხრივი შესწავლით უზრუნველყონ საკმარის მტკიცებებზე დამყარებული გადაწყვეტილებისა და განაჩენების გამოტანა.

იმის გათვალისწინებით, რომ ტყის უნებართვოდ გაჩეხვის, უკანონოდ ნადირობისა და თევზის უკანონოდ წარმოების საქმეებზე ერთ-ერთი ძირითადი მტკიცება დარღვევის აქტია, სასამართლოებმა გასაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ აქტების კანონის შესაბამისობის შემოწმებას.

4. სრულად შეისწავლონ ბუნების დაცვის კანონების დარღვევის კონკრეტული გარემოებები, გამოავლინონ ბუნების დაცვის საქმეში არსებული ნაკლოვანებები და კერძო განჩინებებით აცნობონ ამის შესახებ შესაბამის ორგანოებს სათანადო ზომების მისაღებად.

5. თევზის უკანონოდ წარმოების საქმეებზე ზარალის ოდენობა უნდა დადგინდეს არა მოზოვებული თევზის რაოდენობის მიხედვით, არამედ წყალსაცავში ფაქტიურად განადგურებულ თევზის მარაგის შესაბამისად.

სასამართლომ უნდა მიიღოს ყველა შესაძლო

ლონისძიება ფაქტიურად განადგურებული თევზის მარაგის ოდენობის დასადგენად.

6. იმის გამო, რომ თევზის უკანონოდ წარმოება, ხშირ შემთხვევაში ხდება ფეტქებადი ან მომწამვლელი ნივთიერებების გამოყენებით, საჭიროა ყოველ კონკრეტულ საქმეზე დაისვას საკითხი ამ ნივთიერებათა უკანონოდ შექმნის წყაროს დადგენის შესახებ.

7. თუ ტყის უნებართვოდ გაჩეხვით დამრღვევის მიერ მოპოვებულ ხე-ტყეზე დადებული იყო ყადაღა, სასამართლომ, განიხილავს რა საქმეს, უნდა გადაწყვიტოს ყადაღა დადებული ხე-ტყის შემდგომი ბედის საკითხიც.

8. ტყის უკანონო გაჩეხვის ან დაზიანების საქმეთა განხილვისას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დანაშაულის ჩადენაში ხელის შემწყობ პირთა გამოვლინებას და მათ მიმართ სათანადო ზომების მიღებას (სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, ზარალის დაკისრება).

იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ დანაშაულის ჩასადენად ან უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის ტყიდან გამოსატანად გამოყენებული იქნა სახელმწიფო, კოაპერატიული ან სხვა ორგანიზაციის მანქანები, ტრაქტორები, ელექტროჩურხები და სხვა, შესაბამისი ორგანიზაციათა მიმართ გამოტანილი უნდა იქნეს კერძო განჩინებები.

9. სახალხო სასამართლოებმა განაზოგადონ ბუნების დაცვის კანონების დარღვევის საქმეთა განხილვის პრაქტიკა და განზოგადების მასალები განიხილონ შესაბამის თათბირებზე დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ვ. მანისურაძე**  
 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი **ზ. მანსენიძე**



საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კლენუმის

რეკვიზიტი № 7

26 სექტემბერი, 1968 წ.

„სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოების მიერ კერძო (განსაკუთრებული) განჩინებების გამოტანის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1964 წლის 14 ოქტომბრის დადგენილების 1967 წ. მეორე ნახევრისა და 1968 წლის პირველ ნახევარში შესრულების მიმდინარეობა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს საქართველოს სსრ სასამართლებმა რამდენადმე გააძლიერეს მუშაობა დანაშაულთა ჩადენის ხელის შეწყობი მიზეზების, პირობების გამოვლინებისა და აცილების საქმეში.

განიხილა რა „სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოების მიერ კერძო (განსაკუთრებული) განჩინებების გამოტანის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1964 წლის 14 ოქტომბრის დადგენილების 1967 წ. მეორე ნახევრისა და 1968 წლის პირველ ნახევარში შესრულების მიმდინარეობა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს საქართველოს სსრ სასამართლებმა რამდენადმე გააძლიერეს მუშაობა დანაშაულთა ჩადენის ხელის შეწყობი მიზეზების, პირობების გამოვლინებისა და აცილების საქმეში.

ბევრი სასამართლო ზუსტად ხელმძღვანელობს რა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლებით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 321 და 367 მუხლებით, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოთაღნიშნულ დადგენილებით, კერძო განჩინებების გამოტანის გზით უფრო მკვეთრად რეაგირებს ცალკეული თანამდებობის პირების და მოქალაქეთა მიერ კანონების დარღვევის ფაქტებზე, გადაჭრით ამხელს მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დროს დაშვებულ შეცდომებს და ნაკლოვანებებს. რამდენადმე გაუმჯობესდა დანაშაულის მიზეზებისა და ხელისშემწყობი პირობების თავიდან აცილების თაობაზე სასამართლოების მიერ გამოტანილი კერძო განჩინებების ხარისხი, აგრეთვე გაძლიერდა კონტროლი მათ შესრულებაზე.

ამასთან ერთად სასამართლო მოღვაწეობის ამ მნიშვნელოვან უბანზე ადვილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებსაც.

საქართველოს სსრ ყველა სასამართლოს მიერ 1967 წლის პირველ ნახევარში არსებითად განაჩენის გამოტანით განხილული საქმეებიდან კერძო განჩინება გამოტანილია 4,2%-ზე,

1967 წ. მეორე ნახევარში — 4,8%-ზე, ხოლო 1968 წ. პირველ ნახევარში — 7,1%-ზე, მათ შორის 1967 წ. პირველ ნახევარში აფხაზეთის ასსრ სასამართლოების მიერ — 7,5%-ზე, 1967 წ. მეორე ნახევარში — 6,0%-ზე, 1968 წ. პირველ ნახევარში კი — 8,0%-ზე, აჭარის ასსრ სასამართლოების მიერ 1967 წ. პირველ ნახევარში სულ — 1,2%-ზე, 1967 წ. მეორე ნახევარში სრულიად არ ყოფილა გამოტანილი კერძო განჩინება, 1968 წლის პირველ ნახევარში კი მხოლოდ — 2,1%-ზე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოების მიერ 1967 წ. პირველ ნახევარში — 1,9%-ზე, 1967 წლის მეორე ნახევარში — 1,2%-ზე და 1968 წ. პირველ ნახევარში — 4,6% -ი.

დანაშაულის მიზეზების და ხელისშემწყობი პირობების გამოვლინებისა და თავიდან აცილების საქმეში კერძო განჩინებების გამოტანით მნიშვნელოვნად გააძლიერეს მუშაობა 1968 წ. პირველ ნახევარში ტყიბულის (39,5%), რუსთავის (20%), თერჯოლის (28,6%), ონის (36,8%), ცაგერის (30,8%), ხობის (36%), ბოგდანოვკის (100%), ახმეტის (33,3%), დუშეთის (17,20%), აბაშის (14,3%) და სხვა ქალაქებისა და რაიონების სახ. სასამართლებმა.

რიგი სასამართლოებისა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას არ ავლენს დანაშაულის მიზეზებს და ხელისშემწყობ პირობებს, არ გამოაქვს კერძო განჩინებები მაშინ, როდესაც ამის აუცილებლობა არის, ამ სასამართლოთა რიცხვს მიეკუთვნება: ჩხოროწყუს, ჩხატაურის, წყალტუბოს, წულუკიძის, ყვარელის, ქარელის, საგარეჯოს, სამტრედიის, ორჯონიკიძის (ხარაგაულ), ლენტეხის, ლაგოდეხის, ვანის, გორის, ბორჯომის, ბოლნისის რაიონების სასამართლოები, რომლებსაც 1968 წ. პირველ ნახევარში არა აქვთ გამოტანილი არც ერთი კერძო განჩინება.

ამავე პერიოდში გამოტანილი აქვთ მცირე რაოდენობით ან სულ ერთი ან ორი კერძო განჩინება ქ. თბილისის 26 კომისიის, ლენინის



და ოქტომბრის, ქ. გორის, ქ. ზუგდიდის, თიანეთის, ზესტაფონის დმანისის, ახალციხის, ახალქალაქის, ამბროლაურის, სიღნაღის, საჩხერის, მიათკოვსკის, მახარაძის, ლანჩხუთის რაიონის სახ. სასამართლოებს.

მცირე რაოდენობით გამოაქვთ კერძო განჩინებები საქმეთა პირველ ინსტანციით განმხილველ სასამართლო კოლეგიებსაც. განზოგადების დროს შესწავლილ კერძო განჩინებებიდან 47,6%-ზე მოქცეულია ყურადღება ცალკეული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ობერატიულ სამეურნეო საქმიანობის ნაკლოვანებებზე: განჩინება 29,2%-ში პროკურორებს ეცნობათ სამსჯავრო სხდომებზე გამოვლინებულ ისეთ მონაცემებზე, რომლებიც მოითხოვდნენ დამატებით შემოწმებას და სათანადო ზომების მიღებას 24,2%-ში. რეაგირებულია მოკვლევის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოში საქმის განხილვის დროს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დარღვევებზე.

ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ შენგელია ცნობილ იქნა დამნაშავედ ბორტ ხულოგნობაში და მილიციის მუშაისათვის წინააღმდეგობის გაწევაში, რისთვისაც მიესაჯა დანაშაულთა ერთობლიობით 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. ეს განაჩენი უცვლელად დატოვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ.

შემდგომში დადგენილ იქნა, რომ საქმე გამოძიებული იყო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის დარღვევით, კერძოდ დაზარალებულმა მილიციის ობერწმუნებულმა ქებურიამ, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მოკვლევაში, მოწმედ დაკითხა სამი მოქალაქე. შეაღვიანა შენგელიას დაკავების ოქმი, აგრეთვე მისი დაპატიმრების დადგენილება, შეგნებულად თავი აარილა სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულის სახით მის დაკითხვას დიდი მნიშვნელობა ქონდა ქეშმარიტების დასადგენად, ეს და სხვა შეცდომები შეუმიჩნეველი დარჩა საკასაციო წესით საქმის განმხილველ სასამართლო კოლეგიასაც. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა განაჩენი და სასამართლო კოლეგიის განჩინება გააუქმა და საქმე დააბრუნა დამატებით გამოძიებაზე, ამავე დროს გამოიტანა კერძო განჩინება დაშვებულ შეცდომათა შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წ. 14 ოქტომბრის განმარტების შესაბამისად იმ შემთხვევაში თუ საქმის სასამართლო განხილვისას დადგინდება ნიშნები,

რომელიც მიუთითებენ იმ პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე, რომელიც არ იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული და სასამართლო მივა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის აუცილებლობის დასკვნამდე, მაშინ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 253 და 257 მუხლების შესაბამისად, უნდა გამოიტანოს არა კერძო განჩინება, არამედ განჩინება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ. იმ შემთხვევაში კი, თუ არ არის სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკმაო საფუძველი, სასამართლოს შეუძლია კერძო განჩინებით აცნობოს პროკურორს სასამართლო სხდომაზე გამოვლინებულ იმ მონაცემებზე, რომლებიც დამატებით შემოწმებას მოითხოვენ.

ამავე დროს კი ზოგიერთი სასამართლო ჯერ კიდევ ვერ ერკვევა რა შემთხვევაში უნდა იქნეს გამოტანილი განჩინება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ და რა შემთხვევაში უნდა ეცნობოს პროკურორს სასამართლო სხდომაზე გამოვლინებულ მონაცემებზე, რომლებიც დამატებით შემოწმებას მოითხოვენ.


ლენინგორის რაიონის სახ. სასამართლო (თავმჯდომარე დემეტრაშვილი) ავტოავარიისათვის სამართალში მიცემული მამუკაშვილის სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მივიდა დალაქიშვილის სისხლის სამართალში მიცემის აუცილებლობის დასკვნამდე და გამოიტანა კერძო განჩინება, რომელშიც აღნიშნა: „წინასწარი და სასამართლო გამოძიების მასალებით მთლიანად დასტურდება დალაქიშვილის დანაშაული ავტოავარიაში, ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია მასალები მის მიმართ გადაეგზავნოს ლენინგორის რაიონის პროკურორს სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად“.

სასამართლო კი ვალდებული იყო აღეძრა სისხლის სამართლის საქმე და გამოეტანა არა კერძო განჩინება, არამედ განჩინება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში კანონის საწინააღმდეგოდ სასამართლომ დაუშვა უხეში შეცდომა იმ მხრივაც, რომ წინასწარ გადაწყვიტა დალაქიშვილის ბრალულობის საკითხი.

ზოგი სასამართლო იშვითად აბამს კერძო განჩინების აღსრულების კონტროლის განხორციელების საქმეში სახალხო მსაჯულებს და იმ საწარმოებისა და დაწესებულებების საზოგადოებრიობას, რომლებშიც გამოვლინებულია ნაკლოვანებანი.

საქმეთა საკასაციო და სახედაზმდევლო წესით განხილვისას, აგრეთვე სასამართლოების მუშაობის შემოწმებისას ჯერ კიდევ მცირე ყურადღება ეთმობა დანაშაულის მიზეზების და ხელის-



შემწყობი პირობების გამოვლინებისა და თავიდან აცილების შესახებ კანონის მოთხოვნების შესრულებას, ყველა სასამართლო არ უგზავნის პროკურორს კერძო განჩინების ასლს მუშაობის გაუმჯობესების, აგრეთვე სასამართლოების მიერ გამოტანილი კერძო განჩინებების ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლების მიზნით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ა დ გ ე ნ ს:

1) მიექცეს სასამართლოების ყურადღება იმაზე, რომ კანონის მოთხოვნათა და „სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოების მიერ კერძო (განსაკუთრებული) განჩინებების გამოტანის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წ. 14 ოქტომბრის დადგენილების ზუსტ და განუხრელ შესრულებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულთა თავიდან აცილებისა და კანონიერების განმტკიცების საქმეში.

2) მიეთითოს სასამართლოებს (მოსამართლეებს) თითოეული სისხლის სამართლის საქმის ვაწხილისას იმის აუცილებლობაზე, რომ ჯერ კიდევ სასამართლო სხდომისათვის მოსამზადებელ მოქმედებათა პროცესში დაადგინონ რა ღონისძიებებია ჩატარებული დანაშაულთა მიზეზების და ხელისშემწყობი პირობების თავიდან ასაცილებლად.

საკასაციო და საზედამხედველო წესით სასამართლო სხდომაზე საქმეთა განხილვისას მიღე-

ბულ იქნეს ყველა ღონისძიება დანაშაულთა მიზეზების და ხელისშემწყობი პირობების რაც შეიძლება სრულიად დასადგენად და საკმაო საფუძვლის არსებობისას ხდებოდეს რეაგირება მოკვლევის, წინასწარი გამოძიების და სასამართლოში საქმის განხილვის დროს კანონიერების დარღვევებზე.

3) ერთიით სასამართლოებს კერძო განჩინებების შესრულების კონტროლის საქმეში ფართოდ ჩააბან სახალხო მსაჯულები, აგრეთვე იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა საზოგადოებრიობა, რომლებშიც გამოვლინებულია დანაშაულის ხელისშემწყობი ნაკოვანებები.

4) სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ გამოტანილი კერძო განჩინებების ხარისხის ამაღლება, რადგან არამოტივირებული, დაუდევრად, ნაუცბადევედ შედგენილი განჩინება ლახავს სასამართლო ორგანოების ავტორიტეტს და ამცირებს გამოტანილი კერძო განჩინებების აღმზრდელობით პროფილაქტიკურ მნიშვნელობას. შესაბამისად სსსკ 321 მუხლისა კერძო განჩინების ასლი გაუგზავნოს პროკურორს.

5) ერთიით რესპუბლიკის ყველა სასამართლოს პერიოდულად განაზოგადონ სისხლის სამართლის საქმეებზე კერძო განჩინებების გამოტანის პრაქტიკა და განზოგადოების შედეგები განიხილონ მილიციის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს და პროკურატურის ორგანოების გაერთიანებულ თათბირებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **მ. მაისურაძე**  
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი **ზ. მესხაშვილი**

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის


**რ ე რ ვ ე ნ ი ლ ე ბ ა № 8**

13 დეკემბერი, 1968 წ.

**„პრასრულწლოვანთა დანაშაულის სამკეპაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1968 წლის 8 ივლისის № 6 დადგენილებისა და ამავე საკითხზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 15 აპრილის დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე**

მოისმინა რა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ს. ქაჯაიას მოხსენება „პრასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 3 ივლისის № 6

დადგენილებისა და ამავე საკითხზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 15 აპრილის დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე“, პლენუმი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში სასამართლო ორგანოები თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში



მოცემული კატეგორიის საქმეებზე ძირითადად სწორად ასრულებენ მოქმედი კანონმდებლობა და დასახელებულ დადგენილებათა მოთხოვნებს. ამავე დროს ზოგიერთი სასამართლოების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სოციალისტური კანონიერების დარღვევის ცალკეულ ფაქტებს, რაც უარყოფითად მოქმედებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობაზე. რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დიდია არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობა.

მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ხსენებული დადგენილების მესამე პუნქტის შესაბამისად არასრულწლოვანთა საქმეები წარმოებაში მიღებულ უნდა იქნეს განმწესრიგებელ სხდომაზე, ზოგიერთი მოსამართლე ჯერ კიდევ ერთპიროვნულად წყვეტს არასრულწლოვანი ბრალდებულის სამართალში მიცემის საკითხს (ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოში კეკელაშვილის ბრალდების საქმე, ლანჩხუთის რაიონის სახალხო სასამართლოში ჩხარტიშვილის ბრალდების საქმე).

იმის შედეგად, რომ რიგ შემთხვევებში არ ხდება საქმეთა საფუძვლიანად შესწავლა, ადგილი აქვს განმწესრიგებელი სხდომის განჩინებებით ისეთ საქმეთა წარმოებაში მიღებას, რომლებზედაც გამოძიების მიერ დაშვებულია პროცესუალური და სხვა არსებითი ხასიათის დარღვევები.

ლომძისა და სხვათა ბრალდების საქმეზე სსკ 110 მუხლის პირველი ნაწილთა და 228 მუხლის მესამე ნაწილით ვათვალისწინებულ დანაშაულთა გამო, არც ბრალდების წარდგენის დადგენილებაში და არც საბრალდებო დასკვნაში არცო სწორად ფორმულირებული ბრალდება. არასრულწლოვანი ლომიძე აღნიშნავდა, რომ მან დაზარალებული დაჭრა აუცილებელი მოკერიების ფარგლების გადაცალკების დროს და ამის დასამტკიცებლად მიუთითებდა მასზე მიყენებულ დაზიანებებზე, გამოძიების მიერ ამ საკითხზე ყურადღება არაა გამახვილებული ან უარყოფილი ეს გარემოება.

ადოკატმა საქმის გაცნობის შემდეგ, 1968 წლის 30 აგვისტოს წარადგინა შეამდგომლობა გამოძიების მასალების შევსების შესახებ, რომლებიც გამოძიებელმა უარყო 28 აგვისტოს თარიღით გამოტანილი დადგენილებით ანუ შეამდგომლობის აღტყობად 2 დღით ადრე.

მიუხედავად ასეთი სერიოზული დარღვევებისა ქარელის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ საქმე მიღებული იქნა თავის წარმოებაში.

წინააღმდეგ სსკ 237 მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნის, ჯერ კიდევ ადგილი აქვს საბრალ-

დებო დასკვნის სამართალში მიცემულთან ერთად მისი დამცველსათვის ან კანონიერი წარმომადგენლისათვის ჩაუბარებლობის ფაქტებს (გოგიბერაშვილის საქმე ლანჩხუთის რაიონის სახალხო სასამართლოში).

ხშირად სამსჯავრო სხდომის ოქმიდან არსიანს, თუ რა მონაწილეობა მიიღო საქმეთა განხილვაში პროცესის მონაწილე პედაგოგმა, მშობელმა ან არასრულწლოვანის კანონიერმა წარმომადგენელმა.

არის შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვანთა საქმეები იხილება ამ კატეგორიის საქმეთათვის სპეციალურად გამოყოფილ სახალხო მოსამართლეთა და მსჯულთა გარეშე, რაც უარყოფითად მოქმედებს საქმეთა განხილვის ხარისხზე.

რიცხვითი სასამართლოები სამსჯავრო გამოძიების არაჯეროვან ყურადღებას უთმობენ დანაშაულის წარმომშობი და ხელშემწყობი მიზეზების დადგენას. ამ მიმართულებით ძალზე ცოტა რაოდენობითაა გამოტანილი კერძო განჩინებები და უმნიშვნელო რაოდენობითაა შეტანილი წარდგინებები ზემდგომ სადირექტივო ორგანოებში.


ჯერ კიდევ ადგილი აქვს სამსჯავრო სხდომის მოუმზადებლობის შედეგად პროცესების ჩაშლას, რაც იწვევს საქმეთა განხილვის ვადების გაჭიანურებას. რესპუბლიკაში არსებითად განხილული საქმეებიდან 8% ვადების დარღვევითაა განხილული. ძალზე ცოტა რაოდენობით იხილება საქმეები გამსვლელ სესიებზე (14,8%), ამჟამად არასაკმარისია საქმეთა განხილვაში საზოგადოებრიობის მონაწილეობა (18,0%).

არის ცალკეული შემთხვევები უკანონო და უსწორო მსჯავრდადებისა, რის შედეგადაც ზემდგომ ინსტანციებში განაჩენები უქმდება და საქმე წარმოებით წყდება ან მათში შედის არსებითი ხასიათის ცვლილებები. გულრიფშის რაიონის სახალხო სასამართლომ სემიონოხინს მიუხაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ 16 წელს მიღწეული.

აღნიშნული განაჩენი ძალაში იქნა დატოვებული აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებით.

შემდგომში კი აღნიშნული საქმე შესაბამისად სსკ 12 მუხლისა წარმოებით შეწყდა, ვინაიდან სემიონოხინს არ ქონდა შესრულებული 16 წელი.

ადგილი აქვს დანაშაულის სიმძიმისა და დამნაშავეის პიროვნების გაუთვალისწინებლად ლმო-



ბიერი ან პირიქით მკაცრი სასჯელების გამოტანის შემთხვევებს, რის გამო განაჩენები უქმდებოდა ან კიდევ მათში შედის სათანადო ცვლილებები.

ყვარლის რაიონის სახალხო სასამართლომ ჭაჭუკაშვილს სსრ 91 მუხლის პირველი ნაწილითა და 150 მუხლის მეორე ნაწილით სსკ 46 მუხლის გამოყენებით შეუფარდა პირობითი მსჯავრი 2 წლის გამოსაცდელი ვადით, ეს მაშინ, როდესაც ჭაჭუკაშვილმა ერთ შემთხვევაში გაქურდა სასურსათო მაღაზია, საიდანაც წაიღო 52 მან. ნაჯაჭრი ფული, შემდეგ აფთიაქი, საიდანაც მოიპარა 190 მანეთი და სხვადასხვა დროს 4 მოქალაქის ბინა, საიდანაც წაიღო მნიშვნელოვანი რაოდენობის ქონება.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო მსჯავრდებულთა შორის 20%-ზე მეტს სასჯელი ჩაეთვალა პირობით, ძალზე მცირე რაოდენობით გადაეცა ისინი რაიადმასკომთან არსებულ არასრულწლოვანთა კომისიებსა და საზოგადოებრივ კოლექტივებს ხელახალი აღზრდიან და გამოსწორებისათვის.

მიუხედავად საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს რამდენიმე სახელმძღვანელო მითითებისა, ჯერ კიდევ ადგილი აქვს სასჯელის მოხდის რეჟიმის უსწოროდ განსაზღვრის ფაქტებს, რითაც ირღვევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 3 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებულ „სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიების შესახებ“ დებულების მე-8 და მე-9 მუხლების მოთხოვნები.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან პლენუმი აღდგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა რაიონისა და ქალაქის სახალხო სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიების ხაზით მომუშავე წევრებს, უფრო ღრმად შეისწავლონ მოქმედი კანონმდებლობა არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე, და ამავე საკითხზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წლის 3 ივლისის და საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 15 აპრილის დადგენილებები და უზრუნველყონ მათი ცხოვრებაში ზუსტად გატარება.

2. პლენუმი კვლავ მიაქცევს სასამართლო ორგანოების ყურადღებას, რომ არასრულწლოვანთა საქმეები სამსჯავრო გამოძიებაზე გატანამდე სრულყოფილად უნდა იქნეს შესწავლილი და მომზადებული. სამსჯავრო გამოძიება ჩატარებული უნდა იქნეს პროცესუალური კვლევისა და საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით. სამსჯავრო გამოძიებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის წარმომშობი მაზნების დადგენას, იმ პირთა გამოძიებას, რომლებმაც დანაშაულში ჩაბტეს ან წააქეზეს არასრულწლოვანები.

3. იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად შეემცირდეს დამნაშავეობა არასრულწლოვანთა შორის, სასამართლოებმა მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ არა მარტო ადმინისტრაციულ ორგანოებთან, არამედ რაიადმასკომებთან არსებულ არასრულწლოვანთა კომისიებსა და სხვა დინტირესებულ ორგანიზაციებთან.

4. არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის მოხდის რეჟიმის განსაზღვრის დროს ზუსტად ახელმძღვანელონ „სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიების შესახებ“ დებულების მე-8 და მე-9 მუხლებით (იხ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები № 23, 1968 წელი).

როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლის ა/წლის 23 ოქტომბრის სადირექტივო წერილშიაც აღინიშნა თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ არასრულწლოვანთათვის დაწესებული სასჯელის მოხდის 2 სახის რეჟიმი: საერთო და გაძლიერებული.

შესაბამისად ხსენებული დებულების მე-9 მუხლისა გაძლიერებული რეჟიმის არასრულწლოვანთა შრომითი კოლონიებში იმყოფებიან მამრობითი სქესის არასრულწლოვანნი, რომლებმაც ადრე მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულნი შემდეგი დანაშაულისათვის: ბანდიტიზმი, ისეთ მოქმედებათა განზრახ ჩადენა, რომლებმაც გამოიწვეეს მატარებლის მარცხი, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების დატაცება ძარცვის გზით, რომელიც ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში: სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით ყაჩაღობა, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება, რასაც მიძიმე შედეგი მოყვა, განზრახ მკვლელობა, გარდა მკვლელობისა აუცილებელ მოგერიების ფარგლების გადაცილებისას ან სულიერი აღფლავების მდგომარეობაში, განზრახ სხეულის მიძიმე დაზიანება, გარდა დაზიანებისა, რომელიც მიყენებულია აუცილებელ მოგერიების ფარგლების გადაცილებისას ან ძლიერი სულიერი აღფლავების მდგომარეობაში. გაუპატიურება დამამძიმებელ გარემოებებში, მილიციის მუშაკის ან სახალხო

რაზმელის სიტოცხლის ხელყოფა საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ბოროტი ან განსაკუთრებით ბოროტი ხელიგნობა, ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მარაგის ან ფეთქებადი ნივთიერების გატაცება ყაჩაღური თავდასხმის გზით.

ყველა დანარჩენი მსჯავრდებული შესაბამისად ჩსენებული დებულების მე-8 მუხლისა სასჯელს იხდის საერთო რეჟიმის არასრულწლოვანთა შრომით კოლონიაში.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოსა და ს/ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის სა-

ქმეთა სასამართლო კოლეგიების წევრებს, რომლებიც არასრულწლოვანთა ხაზით მუშაობენ, არ დატოვონ რეაგირების გარეშე კონკრეტულ საქმეთა საქასაციო და ზედამხედველობითი წესით განხილვისას გამოვლინებული კანონის მოთხოვნათა უმნიშვნელო დარღვევაც კი.

პლენუმი მიაქცევს სასამართლო ორგანოების ყველა მუშაკის ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ არასრულწლოვანთა შორის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი სრული ლიკვიდაცია არის უპირველესი და გადაუდებელი ამოცანა, რომლის შესასრულებლად მობილიზებული უნდა იქნეს ყველა შესაძლებლობანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **3. მანისურბძე**  
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი **ზ. მესხინაძე**

# გონიერი

# ჩიხნები

თარი მსახე\*

მაკ კენი პოლიციის სამმართველოში მუშაობდა. ბეჭებში ზომაზე მეტად განიერ, წოწოლათავიან კაპიტანს თმა ყოველთვის მოკლედ ჰქონდა შეკრებილი.

ამ საღამოს მუქი ყვივისფერი კოსტუმი ეცვა, ქული თვალეზამდე ჩამოეფხატა. თავის მანქანას ლოურენს-ბულვარზე მიაქროლებდა და სახე ისე ჩაებლუჯა, თითქოს საქულველ მტერს როგორც იქნა ყელში სწვდა და აღრჩობსო.

მანქანამ წყნარი ოკეანის ბულვართან შეუხვია და სანაპიროს გაუყვა. ჩაუარა ნეონით განათებულ სასტუმროებს, კაზინოებსა და ღამის კაბარებს, რომლებიც პარადიზ-კლუბამდე გადაჭიმულიყვნენ. შემთხვევით გამგლეღის თვალისაგან მათ იფარავდა ძალზე მაღალი კედლები. ოკეანის ტალღებზე დაღვრილი მთვარის შუქი ამ კედლებზე ვერცხლისფრად ირეკლებოდა.

მანქანა პარადიზ-კლუბთან შეჩერდა. მაკ კენი მანქანიდან გადმოვიდა, კლუბის მძიმე კართან მივიდა და ბრინჯაოს ჩაქუჩით ორჯერ დააკაკუნა, ჯერ სწრაფად, შემდეგ კი ნელა. კარი გაიღო და სიბნელეში ხმა გაისმა: „საღამო მშვიდობისა, სერ!“

ეს იყო მაურერის პირადი მცველი და პარადიზ-კლუბის გამგებელი ლუი სეიგელი, რომელიც პოლიციისა და თავისი დამქაში ბანდიტებისათვის კოპწია ლუის სახელით იყო ცნობილი.

— შემობრძანდით, კაპიტანო, — მიიპატიჟა მან სტუმარი საგულდაგულოდ ნეარჯიშევი დიმილით და ღამაში კბილები გამოაჩინა. — ბორი ამ წუთში გამოვა, რა მოგართვათ?

— ვისკი, თუ შეიძლება, — უპასუხა მაკ კენმა და ბუხრისკენ გაემართა.

ლუი მივიდა ბართან, დაასხა შოტლანდიური ვისკი, სოდიანი წყალი დაუმატა და მაკ კენს გაუწოდა.

კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ჯეკ მაუ-

რერი თავისი განუყრელი ადვოკატის ებ გოლოვიჩის თანხლებით.

ერთი შეხედვით მაურერი არაფრით განსხვავდებოდა სხვა მდიდარი, ყოვლისშემძლე ბიზნესმენებისაგან, რომლებიც პასიფიკ-სიტიში ისევე ენებენ ხოლმე. ტანმორჩილი და ჩასკვნილი იყო, შვეგერემანი სახე და შავი პრილა, საფეთქლებთან ოდნავ შეჭალარავებული თმა ჰქონდა. თუ კაცი კარგად დააკვირდებოდა, მაშინვე შენიშნავდა მის ბრტყელ, გველურ განგსტერის თვალებს, ცივ, მაგარ კენჭებს რომ მიუგავდა.

გოლოვიჩი, ოკეანის სანაპიროს ერთ-ერთი ცნობილი ადვოკატაგან, გარეგნულად თავის შეფს წაავავდა, მხოლოდ იგი მაურერივით ორმოცდაათი წლისა კი არ იყო, არამედ ხუთიექვსი წლით მასზე უფროსი. ამასთანავე, ბოლო წლებში გასუქდა და გამელოტდა. გოლოვიჩმა მიატოვა საადვოკატო პრაქტიკა, რომელიც მას განსაზღვრულ შემოსავალს აძლევდა და მთლიანად გადავიდა მაურერის სავაჭრო და იურიდიული საქმეების წარმოებაზე. მალე ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ შეფის მარჯვენა ხელი გახდა.

— მახარებს თქვენი ნახვა, კაპიტანო, — უთხრა მაურერმა მაკ კენს და ხელი ჩამოართვა. — იმედია, თავაზიანად მივიღეს. სიგარას არ ინებებთ?

— უარს არ ვიტყვოდი, — უპასუხა მაკ კენმა ღრმად დარწმუნებულმა, რომ კაცმა კარგ რამეზე უარი არ უნდა თქვას.

მაკ კენმა გოლოვიჩი აღმაცერად შეათვალიერა, მას ეს კაცი არ უყვარდა.

კაპიტანს კარგად ესმოდა, რომ გოლოვიჩი მაურერივით საშიში არ იყო, მაგრამ ამ არაზნადას მეტისმეტად ჰქონდა თავი გამოტენილი ყოველგვარი იურიდიული კაუსისტიკით და ძალიან ახლოს იდგა პოლიტიკანებთან.

— აი, რა! — მიმართა მათ მაკ კენმა. — მე თქვენ გადმოგილაგებთ ფაქტებს, დასკვნები კი

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. უფრ. „საბჭოთა სამართალი“, 1969 წ. № 1, გვ. 77—86.

თვითონ გააკეთეთ. სამი დღის წინ მოკლეს ჯუნ არნო და მისი მეკარე. სახლის მახლობლად ნაპოვნი იქნა რალფ ჯორდანის ინიციალებიანი პისტოლელი. ამის შემდეგ ბარდენი და კონრადი გაემართნენ ჯორდანის დასაქერად და იგი ყელგამოჭრილი, სამართებლით ხელში, აბაზანაში იაოვნეს. დანა, რომლითაც მან ჯუნი მოკლა, შეზობელ ოთახში ეგდო.

— რატომ გვიყვებით ყოველივე ამას? — გარბაზებით შეაწყვეტინა მას სიტყვა გოლოვიჩმა, — ყველაფერი ეს ვიცით პრესის წყალობით. რა დამოკიდებულება აქვს ამას ჩვენთან? ჯორდანმა მოკლა ჯუნი და მერე თავი მოკლა. — ჩემი აზრით, ყველაფერი ცხადია.

— შეიძლება არაფერი დამოკიდებულება არა აქვს, მაგრამ კონრადი ისეთი კაცია, ბევრ უსიამოვნებას მოგაყენებთ. ის არც ისეთი სულელაა, როგორც თქვენ გგონიათ! რამდენადაც კიცი, თქვენს საწინააღმდეგოდ უნდა მოქმედებდეს, მისტერ მაურერ!

მაურერმა შეხედა მაკ კენს და სქელი, თითქმის ზანგური ტუჩები თვითკმაყოფილმა ღიმილმა მოუბრიადა.

— კონრადი, უდავოდ, ჭკვიანი ბიჭია და მით უფრო უნდა მიხედეს, რომ ამ ქალაქში ორივე დავეტევიო.

— შესაძლოა არც დავეტევიო. კონრადს მიაჩნია, რომ ჯორდანი მოკლეს.

— და მისი აზრით, მე ვურევივარ ამ საქმეში? რას ჰკავებს ბოლოს და ბოლოს ეს. გზაზე კატა რომ გასრისონ, კონრადი ჩემს ნახელავად თვლის.

— მან ხელი ჩასჭიდა ჭორებს, თითქოს მის არნოსთან შეკობრობდით, — აუხსნა მაკ კენმა, — აი მისი ვერსია: როცა შეიტყვეთ, რომ მის არნომ საყვარლად ჯორდანი გაიხადა, პარტიკისთან ერთად გაემგზავრეთ მასთან. თქვენ მოკალით ქალბატონი, პარტიკი კი მისი მსახური. შემდეგ პარტიკი ბოლო მოუღო ჯორდანს, შეამზადა მისი საწინააღმდეგო სამხილი და თქვენთან გამოცხადდა. თქვენ კი, მისთვის ხმა რომ ჩაგვეწყვეტინებინათ სული გააფრთხობინეთ.

მაურერმა ისე გულწრფელად გადაიხარხარა, რომ მაკ კენმა თითქმის თავისუფლად ამოისუნ-

— როგორ მოგწონს ეიბ, — მიმართა მაურერმა გოლოვიჩს. — ეს კონრადი, როგორც ჩანს, გვარიანი ფანტაზიორია. როდისმე გსმენია ასეთი ამბავი?

მაგრამ გოლოვიჩს სულაც არ ეცინებოდა.

— რა სამხილები აქვს? — იკითხა მან.

— მას აქვს ჯორდანის თერძის ფიცით ჩამორთმეული ჩვენება, რომ მისტერ მაურერს

მის არნოსთან სამიჯნურო კავშირი ჰქონდა, ხოლო ჯორდანს მისტერ მაურერის ეშინოდა.

— დიდი ამბავი! — წამოიძახა მაურერმა. — კიდევ ვის შეუძლია ამისი დადასტურება.

— მეტს არავის.

მაურერმა ხელები გაშალა და გაიღიმა.

— ეს ჩვენება არ არის საკმარისი, — შენიშნა გოლოვიჩმა — კიდევ რა ცნობებია მის განკარგულებაში?

— ფლო პრესერი იყო დღეს დილით კონრადთან. — მიუგო მაკ კენმა. — მან განაცხადა, რომ პარტიკი გაჰქრა იმავე დღეს, საღამოს შვიდი საათის შემდეგ, ე. ი. სწორედ იმ დროს როცა მის არნო მოკლეს. მისტერ მაურერის დავლებით რაღაც საქმეები შეასრულა.

— როგორ გეკადრებათ! — გაიკვირვა გოლოვიჩმა, — მეძავის ჩვენებას ჩალის ფასიც არ აქვს. კიდევ რას იტყვი?

— კიდევ იმას ვიტყვით, — უპასუხა მაკ კენმა, — რომ ფლო მოკლეს ორი საათის შემდეგ, როცა კონრადს დაშორდა.

— მერე ვინ მოკლა?

— რედ პასკალმა.

მაურერმა მხრები აიჩეჩა.

მაკ კენი მოიღუშა, სიბრაზით სისხლი თვალებში მოაწვა. საოლქო პროკურორთან გამართულ თათბირზე კონრადის მიერ გაკეთებული მოხსენება ცოტა ღელვად როდი დაუჭდა, და ახლა ეს განგსტერი სულელად თვლის.

— სად გაქრა, პარტიკი, მისტერ მაურერ? — გაბოროტებით ჩაეკითხა იგი.

— ტონი ნიუ-იორკშია, — დაამშვიდა მაურერმა. — მცირედენი ვალები მქონდა შესაქრები და ამიტომ გავაგზავნე. ეს არის სწორედ დავალება, რომელიც უნდა შეესრულებინა. შვიდი საათის თვითმფრინავს გაჰყვა.

— თუ ასეა, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დააბრუნოთ უკან. ჯორდანის ბინის გეგმას პარტიკის ბინაში წააწყდენ.

— შეუძლებელია! ვინ წააწყდა?

— ვან როში.


— მოწმე ჰყავს?

— არა!

— მაშასადამე, მოწყობილი საქმეა — მაურერმა ჩაიციხა — ეიბს შეუძლია ამისი დასაბუთება. მოჰკიდებ ხელს, ეიბ?

გოლოვიჩმა თავი დაუქნია.

— ტონი, დღეს ან ხვალ მაინც რომ გამოჩნდებოდეს, კონრადის მხილება სანახევრო ძალას დაკარგავდა. სასწრაფოდ უნდა გამოიძახოთ, მისტერ მაურერ! — შენიშნა მაკ კენმა. ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. მაურერს თავი ისე ეჭირა თითქოს ყურადღებით ათვალიერებდა ხალიჩის მოხატულობას.



— კეთილი, — წარმოთქვა მან ბოლოს თვალებდახრილმა, — მაგრამ ტონი რომ არ დაბრუნდეს? დავუშვათ რომ იგი გაიპარა ფულიანად, რომლის შესაკრებლაც ვავგზავნე.

მაკ კენს სახე უტბად აენთო და დიდი ბანჯგელიანი ხელები დამუშტა.

— ეშმაკმა დალახვროს! — გამოსცრა კბილებში, — სჯობია არ გაიპაროს!

— კაპიტანო, მგონი ყველაფერს არ ამბობთ ბოლომდე. — მიხვდა გოლოვიჩი, რადგან მაკ კენს ხმაში არაჩვეულებრივი წუხილი იგრძნო.

— მის არნოს მეკარეს, — ნელა წარმოსთქვა მაკ კენმა, — მომსვლელთა გვარები შეჰქონდა სპეციალურ წიგნში. მკვლელობის დღეს შვიდ საათზე ვინმე ფრენსის კოლემანი ეწვია მის არნოს, ეს გვარი ვატარებული აღმოჩნდა წიგნში. ახლა კოლემანს ეძებენ და თუ იპოვენ, დააბატირებენ როგორც უმნიშვნელოვანეს მოწმეს. კონრადი ვარაუდობს რომ იგი უთუოდ დაინახავდა მკვლელს.

ოთახში ავის მომასწავებელი დუმილი ჩამოვარდა.

— აბა რას იტყვი?—დაარღვია დუმილი მაკ კენმა, — ამაზეც იზრუნებს გოლოვიჩი?

მაურერმა უცებ ასწია თავი. მის გველურ თვალებში ნაპერწყალმა გაიელვა.

— კაპიტანს უნდა მოველაპარაკო, — თქვა მან.

— გოლოვიჩი და სეიგელი ოთახიდან გავიდნენ. როცა კარი მიხურა, მაურერმა ჰკითხა მაკ კენს ისე, რომ სახეში არც შეუხედავს:

— როგორ თქვით, რა ჰქვიაო?

— ფრენსის კოლემანი.

— ვინ არის იგი?

— ყური მიგდეთ, მისტერ მაურერ! — მოდიო გულხანდილად...

— ვინ არის იგი?

— კინოს უმთუვარი სტატისტიკა. მკვლელობის დამეს მიახლოვა თავისი ოთახი გლენდალ-აენინოზე. მსახიობთა სამუშაოზე მოწყობის ბიუროში მისი ახალი მისამართი არ აღმოჩნდა.

— მის არნოს იცნობდა?

— ეპიზოდური როლი ჰქონდა მის არნოს უკანასკნელ ფილმში.

— პოლიცია მალე მიაგნებს?

— ალბათ რამდენიმე საათში.

— მისი ფოტოსურათი გაქვთ?

მაკ კენმა შიგნითა ჯიბიდან ამოიღო ფოტოსურათი და გაუწოდა. მაურერმა ყურადღებით დახვდა და სურათი განზე გადადო. მერე მეზობელ ოთახში გავიდა, რომელიც სეიგელის კაბინეტად ითვლებოდა. ცოტა ხნის შემდეგ უკან დაბრუნდა გრძელი თეთრი კონვერტით ხელში.

— დიდი ხანია ვაპირებდი ამის გადმოცემას, კაპიტანო, — მაურერმა გაუღიმა — მცირე ანაბარი, რომელიც თქვენს სახელზე შემქონდა, ალბათ შემოგეხარჯათ კიდევ.

მაკ კენმა კონვერტი გამოართვა.

ახლომეტი ათასია, — განუმარტა მაურერმა.

მაკ კენმა კონვერტი შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიღო.

— რითი გადავიხადოთ მადლობა? — შეეკითხა იგი.

— იცით რა, — მიუგო მაურერმა, — ვისურვებდი პირველს მე მცოდნოდა, სად იმალება მის კოლემანი. შემატყობინეთ?

— მას შეეძლო სულაც არაფერი დაენახა, — უპასუხა მაკ კენმა ხრინწიანი ხმით.

— მოხერხდება თუ არა? — გაუმეორა მაურერმა.

— ვფიქრობ, რომ კი. ჩემს ხალხს ვებრძანე: მაშინვე მიანატაკონ, როგორც კი დაუკავშირდებიან საოლქო პროკურატურას.

— არავინ დამასწროს მასთან მისვლა. გაიგებთ თუ არა მის მისამართს, თუ შეიძლება, მაშინვე დამირეკეთ. დაგელოდებით!

— სავსებით საეკარისია, კაპიტანო, — უთხრა მაურერმა. — დიდი მადლობა თანშრომლობისათვის!.

## II

ოთახში გოლოვიჩი შემოვიდა, კარი გამოხურა, მაურერს მიუახლოვდა და გვერდით მდგომი სავარძელში ჩაჯდა.

თავდახრილები დიდხანს დუმდნენ.

— არ უნდა წამეყვანა პარეტი.—მოულოდნელად წარმოთქვა მაურერმა. — ჩემი ბიჭებიდან ყველას მერჩია.

გოლოვიჩმა თვალში თვალი გაუყარა.

— რა აუცილებელი იყო ის ქალი საკუთარი ხელით მოგეკლა? — შეეკითხა იგი.

— სულაც არ ვნანობ. არა ერთხელ გავაფრთხილე, ვერჩიე, მოგუვი-მეთქი ამ ჯორდანს. ყოველთვის სიტყვას მაძლევდა და მაინც განაგრძობდა იმ პირტუყვანს შესხვრას.

— მე გეუბნები, შენი ხელით არ უნდა მოგეკლა! ნუთუ არ გეხმის, რომ ფორესტი სწორედ ამას ელოდებოდა.


მაურერმა გაიღიმა.

— ეს ჩემი პირადი საქმე იყო, ეიზ, — უთხრა მან, — ცოტა საიამოვნება როდი მომგვარა მომაკლავის უკანასკნელმა შემოხედვამ.

— ასე მთელი ორგანიზაციის საქმე შეიძლება ჩაფუთო, ჯეკ, — უთხრა გოლოვიჩმა, — სანდიკატი უქმაყოფილო იქნება.

— სინდიკატი! — დაიღრიალა გაცოფებულმა მაურერმა. — ყელამდე ვარ ამ სინდიკატი! მე ვერავინ მიკარნახებს თავის ნება-სურვილს!





— თუ კი კოლმანმა დაგინახა...

— ნუ ლეღავ, მასზე იზრუნებენ. უიმისოდ კი ფორესტი ვერაფერს გახდება. ხომ შესძლებს საქმის მიფუჩეჩებას, თუ კი ეს ქალი თამაშიდან გამოვარდა?

— შეეძლებ, მაგრამ ჯერ უნდა გაქვრეს.

— გაქვრება! მაკ კენი შეგვატყობინებს მისამართს.

— მაინც არ ღირს რისკზე წასვლა, ჯეკ, — უჩიხა გოლოვიჩმა მცირეოდენი ფიქრის შემდეგ. — იახტა გამზადებული უნდა იდგეს. ამ ქალიშვილის მკვლელობას დიდი აურზაური მოჰყვება. გირჩევნია აქედან შორს იყო.

მაურერმა მხრები აიჩიხა.

— ამ საქმეს ლუი მოკიდებს ხელს. იახტა ნაპირზეა მომდგარი. როგორც კი მაკ კენი დაჩეკავს, მაშინვე გემზე გავჩნდები.

— ვინ იზრუნებს ქალიშვილზე?

— ლუის ჰკითხე, მისი საქმეა.

გოლოვიჩი წამოდგა, ოთახი გადაჭრა, კარი გამოაღო და სეიგელი მოიხმო.

ლუი მოღუშული შემოვიდა; იცოდა რომ მაურერმა საკუთარი ხელით მოკლა ჯენ არნო, რასაც კარგი არაფერი უნდა მოჰყოლოდა. იმას მართო გაფიქრებაც რომ ახლა შეიძლებოდა ყველაფერი დაეკარგა ავადმყოფური ღვარძლით ავსებდა და აშმაგებდა.

— ლუი, ქალიშვილს ბოლო უნდა მოუღო, — უთხრა მაურერმა. — მაკ კენი ვეტყვის მისამართს. ჩვენს განკარგულებაში ნახევარი საათი იქნება. ყველაფერი უნდა მოთავდეს, ვიდრე კონრადი ჩაერევა საქმეში, ვის დასახელებ?

— მოუს და პიტს, — უბასუხა სეიგელმა დაფიქრების შემდეგ.

— პიტს? რომელ პიტს? — ჩაეკითხა მაურერი.

— პიტ ვაინერს. დასაფასებელი ბიჭია.

— ის ხომ არა, ხალიანი?

— სწორედ ის. ენა კარგად უჭრის. უხმაუროდ შეძლებს ბინაში შეღწევას. თუ ნახტომი შეეშლება, თავად მოუ ჩაერევა საქმეში. მაგრამ ეფიქრობ, აქამდე არ მივა საქმე, პიტსი ჰკვიანი ბიჭია.

კარზე დააკაკუნეს. ოთახში შემოვიდა დატან ფეინერი, რომელიც კლუბს პატრონობდა, თუ სეიგელი დაკავებული იყო.

— რაშია საქმე? — მოუთმენლად ჰკითხა მაურერმა.

— ეს-ეს არის შემოვიდა ერთი ქალბატონი, მისტერ მაურერ, და გადაწყვიტე თქვენთვის მომეხსენებინა. კონრადის ცოლი უნდა იყოს.

სეიგელმა გაჭირვებით ჩაუარა ფეინერს და სწრაფად გაუყვა რესტორნისაკენ მიმავალ კორიდორს. ერთი წუთის შემდეგ უკან დაბრუნდა აღგზნებული სახით.

— ზუსტად ასეა, კონრადის ცოლია!

გოლოვიჩმა მხრები აიჩიხა. ჯენი კონრადისულ არ აინტერესებდა! რამდენიმე საათის შემდეგ, მისი ფიქრით, მაურერი იახტაზე იქნება. და მაშინ იგი, გოლოვიჩი დაუწყებდა მართვას. მაურერის სამეფოს. აღსრულებდა ის, რაც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შორეულ ოცნებად მიაჩნდა. როგორც იქნა ეს საქმე მიასწავლომი გახდა. ახლა უკვე შეიძლება ნამდვილი ბატონ-პატრონი გახდეს და მაშინ მაურერის ცოლი დოლორესიც მასვე დარჩება.

— რაზე ფიქრობთ, ეიბ? — ჩაეკითხა მოულოდნელად მაურერი.

— ბევრ რამეზე, — უბასუხა გოლოვიჩმა დასახე მოეღრუბლა.

— ნუ გგონია, გულს ვარდი მეფინებოდეს! შენ წახვალ და მე მომიწევს მთელი სიმძიმის გადატანა, აწეწილი საქმის გამოსწორება.

— კი მაგრამ, მე ხომ მოკლე ხნით მივიღივარ, — მიუგო მაურერმა, — უნდა გაუძლო ჩემს დაბრუნებამდე. სადარდებელი არაფერი გაქვს.

გოლოვიჩმა გაიფიქრა, თუ ვინმეს აქვს სადარდო, ყველაზე მეტად მაურერსო, მაგრამ არაფერი თქვა.

### III


ჯენი კონრადმა შეშფოთებით მიმოათვალიერებ ხალხმრავალი ბარი. ამ ღამეს თითქმის არცერთი მარტონელა მამაკაცი არ მოსულა. ქალი უხერხულად გრძობდა თავს. კარგად ესმოდა, რომ დარბაზის კუთხეში მარტონმარტო დიდხანს ვერ იჯდებოდა.

როცა საბოლოოდ გადაწყვიტა, აქ დარჩენა არ ღირსო, შენიშნა მისკენ როგორ გამოემართა მალალი მამაკაცი, რომელსაც უზადოდ შეკერილი სმოკინგი ეცვა. უცნობი შეჩერდა ქალის მაგიდასთან და სახე მეგობრულმა ღიმილმა გაუხადარა.

— მეტყვიო, რომ მან მოგატყუათ! — დაიწყო სეიგელმა და ქალისკენ დაიხარა.

ჯენი იგრძნო, როგორ ცდილობდა მოსული თვალჩაიციებელი მზერით შეეცებუნებინა ქალი. იგი გადაწვა სავარძელზე ოდნავ შეშფოთებულ, მაგრამ გახარებული და აღგზნებული. სწორედ ასეა, — მიუგო ქალმა და საათზე დაიხედა. — იგვიანებს, მაგრამ აუცილებლად მოვა ის... ყოველთვის აგვიანებს.

— ქალი არ უნდა ელოდოს მამაკაცს, — შეა-



გება სეიგელმა და კიდევ უფრო გაუბადრა სახე ღიმილმა. იქნებ მე შეეძლო მისი შეცვლა.

ქალმა თავი მოიკატუნა, ვითომ ჭოჭმანობდა.

— მართალი ვითხრათ, არ ვიცი, ჩვენ ხომ სულ არ ვიცნობთ ერთმანეთს...

მამაკაცი მაინც მიუჯდა მაგიდას.

— სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს. მე ლუი სეიგელს მეძახიან, თქვენ ვინ ბრძანდებით?

— ჯენი... კონრადი.

— ჰოდა ძალიან კარგი, ხედავთ რა უბრალოდ მოწესრიგდა ყველაფერი. მოდით დავლით — გაეხარა სეიგელს.

სეიგელს ყოველთვის უკვირდა, როგორ მოახერხა კონრადმა ასეთი სანდომიანი ქალის ხელში ჩაგდება. ახლაც იგივე გაიფიქრა, როცა ქალს ახლოს გაეცნო.

— თუ არ ვცდები, რამდენიმე დღის წინაც განახეთ აქ. ასე არ არის? — ჩაეკითხა იგი.

ჯენიმ სეიგელის თვალბში გულწრფელი აღტაცება ამოიკითხა. მაშინვე მიხვდა, რაოდენ სასიხარულო მამაკაცს შეხვდა.

— თქვენ ახლა რაღაც ცუდი გაიფიქრეთ, — მიუხვდა სეიგელი. ის კარგად იცნობდა ქალებს. — ვივასშმოთ?

— ქარაგმებით ლაპარაკობთ, მაგრამ მშვიდ ვარ და ამიტომ უნდა ვივასშმო.

— შესანიშნავია! ვიდრე თქვენს კოხტა ცხვირზე პულსს წაიყრით, დარეკვას მოვასწრებ. მოდი, ხუთ წუთში შევხვდეთ ერთმანეთს.

— ხუთი წუთი არ მიყოფა გასაუბლრავად. — შეეცადა წინააღმდეგობის გაწევას ჯენი. მას არ უძვიარდა, როცა ვინმე უფეროსებოდა.

— ხუთ წუთში, — გაიმეორა სეიგელმა, დიშლით და სწრაფი ნაბიჯებით გადაჭრა ბარი. იგი შევიდა სადარბაზოში, სადაც ავტომატის რამდენიმე ფარული კაბინა იდგა, ნომერი აკრძა და პაპიროსი გააბოლას; ცოტა ხანს უნდა მოეცადა, ვიდრე ტელეფონს ჩართავდნენ.

ჯენიმ საგონებელში ჩააგდო. რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს? ნუთუ კონრადმა განზრახ გამოგზავნა თავისი ცოლი, რომ სეიგელს უსიამოვნება მიეყენოს? სეიგელს ეჭვი ეპარებოდა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა მეტი სიფრთხილე გამოეჩინა.

ყურმილში რაღაცამ გაიტაცუნა და გლებ მოუშე უკმაყოფილოდ წაიბუზღუნა:

— რა გნებავთ?

— სამუშაო გამოგინახე, — დაიწყო სეიგელმა და თავისი თავი არც დაუსახელებია. შენ და პიტმა უნდა იმოქმედოთ, გასაგებია? პიტი შეასრულებს საქმეს, შენ თვალი გეკვიროს. მომებნე პიტი და ტელეფონთან იჯექით, ვიდრე არ დაგორეკავთ. მისამართის გაგების შემდეგ ნახევარი საათი იქნება თქვენს განკარგულებაში, უნდა მოასწროთ საქმის მოთავება, მერე ფარაონები

გამოჩნდებიან. ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა. ნახტომი არ შეგეშალოთ, მოუ, შენა ხარ პასუხისმგებელი, გესმის?

— მესმის, — გაისმა პასუხად.

— სუფთად, უხმაურად და სწრაფად გააკეთე! ყოველ წუთს მელოდე.

სეიგელმა ყურმილი დაეცა, სწრაფად გაიარა კორიდორი და თავისი კაბინეტის კარი შეაღო. მაურერი და გოლოვიჩი იქვე ისხდნენ. მხოლოდ მაურერის ცოლი, დოლორესი, შემატებოდა.

იგი შემოტრიალდა მაღალ სკამზე და გაუღიმა. ასე დამცინავად იღიმება ხოლმე ლამაზი ქალი, რომელმაც იცის, როგორ იმოქმედოს მამაკაცზე.

— ჰელო, ლუი, როგორ ვითარდება შენი რომანი?

სეიგელს სახე აეღწეა, მან სწრაფად შეხედა ჯერ მაურერს, შემდეგ გოლოვიჩს. კარგად იცოდა, გოლოვიჩს როგორ მოსწონდა დოლორესი. ახლა მას შანსებიც ჰქონდა: მაურერს, რომ რამე მოსვლოდა, გოლოვიჩი მართო ორგანიზაციას კი არ დაეპატრონებოდა, არამედ დოლორესსაც.

მაურერმა ჰკითხა სეიგელს:

— აქ რას აკეთებს კონრადის ცოლი?

— არ ვიცი. ჩემთან ივასშმებს.

— დარწმუნებული ვარ კბილები უკაწაწებს, როდის შემოაჭვობ შენს ჯეჟკატურ მკლავებს. ვინ არ ინატრებდა ამას? — დაცინვით ამოიოხრა დოლორესმა.

— დოლი, ახლავე გადი! — ზედაც არ შეუხვლავეს ისე უბრძანა მაურერმა.

ქალი გავიდა.

მაურერმა გაბრაზებით აიქნია ხელები.

— აი, ალქაჯი!

— მისის კონრადს არ უნდა ვალოდინოთ, — თქვა გოლოვიჩმა.

— სწორია, — დაუდასტურა მაურერმა და სეიგელს შეხედა. — დაუმეგობრდი, ლუი, შეიძლება გამოგვადგეს, მაგრამ ენას კბილი დააჭირე. შეამოწმე, რამის დასაცინვლად ხომ არ მოსულა.

სეიგელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და კორიდორში გავიდა. ჯენი კოქტეილ — ბართან უცდიდა.

— ეს არის საქმე! — მიაგება ქალმა, — ხუთი წუთით, თქვით, და თხუთმეტ წუთს გადააცილეთ.

სეიგელს გაეღიმა.

— აბონენტი დაკავებული იყო. აბა, წავიდეთ, ვივასშმოთ! შესთავაზა ქალს და მაგრად მოჰკიდა ხელი.

3260 50 322.

ИНДЕКС 76185

საქართველოს  
საბჭოთაო კანონმდებლობა

# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 2

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Юридической комиссии при Совете Министров  
Грузинской ССР